პრეზიდენტი

„მჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს ყველა წევრი სასამართლოს განვითარების რთულ ეტაპზე თავის სიმაღლეზე იქნება“

– განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 17 იანვარს უზენაესი სასამართლოს ახლად არჩეულ მოსამართლეებთან შეხვედრისას.

პარლამენტის მიერ არჩევის შემდეგ უზენაესი სასამართლოს სამმა მოსამართლემ ლენგერ ბოჭორიშვილმა, მურმან ისაევმა და ჯემალ ლეონიძემ უზენაესი სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის წინაშე მოსამართლის ფიცი დადეს. აღსანიშნავია, რომ სამივე მათგანი უზენაესი სასამართლოს გამოცდილი მოსამართლეა და წარმატებით აქვთ ჩაბარებული მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა. დღეიდან ისინი უკვე ახალი ვადით შეუდგებიან მოსამართლის უფლებამოსილების შესრულებას.

იხ. მე-2 გვ.

სახელმწიფო მინისტრი

მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება „დრეზდნერ ბანკთან“

გერმანიის „დრეზდნერ ბანკი“ უკვე რამდენიმე წელია მონაწილეობს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებში. აღსანიშნავია, რომ იგი ერთ-ერთი გერმანული ბანკია, რომელიც ყველაზე აქტიურად თანამშრომლობს ჩვენი ქვეყნის რამდენიმე ბანკთან.

17 იანვარს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი „დრეზდნერ ბანკის“ რეგიონალურ ხელმძღვანელს, მენეჯერს გერდ კრუზეს შეხვდა. სტუმარმა სახელმწიფო მინისტრს გააცნო საქართველოსთან ამ გერმანული ბანკის თანამშრომლობის შედეგები. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ „დრეზდნერ ბანკს“ რამდენიმე ქართულ ბანკთან ჰქონდა წარმატებული პარტნიორობის პრაქტიკა, მაგრამ ბოლო დროს გერმანულ ბანკს საქართველოში მის ორ კომპანიონ ბანკთან – „თბილკომბანკთან“ და „თბილკრედიტბანკთან“ ფინანსური პრობლემები წარმოექმნა. როგორც გერდ კრუზემ აღნიშნა, „დრეზდნერ ბანკმა“ აკრედიტივებისა და სესხის პირობების საფუძველზე, საგარანტიო უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენების გარეშე, „თბილკომბანკისა“ და „თბილკრედიტბანკის“ ინტერესების გათვალისწინებით, გასცა მათთვის კრედიტები.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

ორ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 3408 მკითხველი. მათ შორის, 53% აშშ-დან, 31% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №14 (3755) ხუთშაბათი, 18 იანვარი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტის ფოსტიდან

„ჩვენ ერთად შევძლებთ მშვიდობის, თავისუფლებისა და ჩვენი ხალხების კეთილდღეობის საქმის“ წინ წაწევას

„მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად არჩევა მომილოცეთ. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ამერიკელმა ხალხმა ამგვარი არჩევანი მოახდინა და მადლობელი ვარ, რომ მექნება თქვენისთანა ლიდერებთან მუშაობის შესაძლებლობა“ – სწერს ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული 48-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ პრეზიდენტებს უახლოეს წლებში არაერთ გამოწვევასთან მოუხდებათ შეჭიდება. „მწამს, რომ ერთმანეთის პატივისცემის, თანამშრომლობისა და გულწრფელი დიალოგის წყალობით ჩვენ ამ გამოწვევებს წარმატებით გავართმევთ თავს. მომავალი დიდ შესაძლებლობებსაც წარმოაჩენს. ჩვენ ერთად შევძლებთ ამ შესაძლებლობათა გამოყენებას და მშვიდობის, თავისუფლებისა და ჩვენი ხალხების კეთილდღეობის საქმის წინ წაწევას,“ – აღნიშნავს ჯორჯ ბუში და დასძენს, რომ „დემოკრატიისა და თავისუფლების ღირებულებებს ენერგიული მხარდაჭერა სჭირდება მთელ პლანეტაზე. მამაჩემი გულთბილად საუბრობს ამ ღირებულებათა დაცვის საქმეში თქვენ მიერ გამოჩენილ სიმამაცეზე“.

ჯორჯ ბუში – უმცროსი ყოველივე საუკეთესოს უსურვებს საქართველოს პრეზიდენტს და მის ოჯახს ახალ ათასწლეულში.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური – საქინფორმი.

ალმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს

მთავრობის მორიგ სხდომას, რომელიც 17 იანვარს გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით, ესწრებოდნენ ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი წერეთელი და ვახტანგ რჩეულიშვილი, რომლებმაც თავიანთი აზრი გამოთქვეს ზოგიერთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საჭიროა თანამდებობათა დასახელებების ერთიანი სისტემა

სხდომა დაიწყო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის მიერ წარმოდგენილი „სახელმწიფო მოსამსახურეთა თანამდებობების დასახელების შესახებ“ კანონპროექტის განხილვით. აღნიშნული კანონის მიზანია სახელმწიფო დაწესებულებებში მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა თანამდებობების ერთიანი დასახელებების შემოღება. იგი, როგორც სხდომაზე აღინიშნა, არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებათა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე. შინაგან საქმეთა, უშიშროების, თავდაცვის სამინისტროების სისტემაზე, საქართველოს პროკურატურაზე, სახელმწიფო საზღვრის დაცვის და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტების, სამთავრობო დაცვის სამსახურის სისტემაზე, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებსა და საგანგებო ლეგიონზე, რადგან ამ დაწესებულებების სტრუქტურა რეგულირდება შესაბამისი კანონებით.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი

ა. სხიერელის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში კალათბურთის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ახალგაზრდა მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებასა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ევროპის ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ამირან სხიერელი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 15 იანვარი ქ. თბილისი

თ. კაველიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი, საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საორგანიზაციო, სამეცნიერო-მეთოდური და კადრების განყოფილების უფროსის მოადგილე **თალიკო კაველიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

დიალოგი ექსპერტთან

საქართველო უკვე თვითონ გახდა, როგორც ქვეყანა, დასავლეთის ყურადღებისა და გამოქომაგების ობიექტი

მიუხედავად იმისა, რომ აშშ ახლადარჩეულ პრეზიდენტს საკუთარი კაბინეტის ჩამოყალიბება ბოლომდე ჯერ არ დაუსრულებია, ამერიკულ პრესაში უკვე გამოჩნდა მასალები, რომელთა გაცნობის შემდეგ გრჩება შთაბეჭდილება, რომ სულ მალე ოფიციალური ვაშინგტონი საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც, ამერიკულ პრესაში გამოყენებული ფრაზეოლოგიით თუ ვიტყვით, „მსოფლიო მორიგის შეებულებაში ყოფნის დროს“ საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა: სხვას რომ თავი დავანებოთ, თავად რუსული პრესაც კი აღნიშნავდა, რომ, ვიდრე ამერიკა არჩევნებითაა გართული, რუსეთს ხელსაყრელი დრო დაუდგა და მან ამ ერთგვარი „ვაკუუმით“ უნდა ისარგებლოს. ვლადიმერ პუტინმაც სწორედ ამასობაში „მოასწრო“ საქართველოსთან, ასე ვთქვათ, „ნაწილობრივად“ სავიზო რეჟიმის შემოღება. ამ ფაქტით რუსეთის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ და ახლა უკვე ამჟღავნად გაუსვა ხაზი იმას, რომ რუსულ იმპერიულ ინტერესებს ბევრი რამ აქვთ საერთო აფხაზურ-ოსურ სეპარატისტულ ინტერესებთან, ხოლო იდეაში ორივე საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფას გულისხმობს. ამასთან მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაც – როგორც სავარაუდო იყო, საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთი გადაკვეთა ამერიკული და რუსული ენერგოკომპანიების ინტერესებმა, რაც საბოლოოდ „ეი-ეს-თელასისათვის“ გაზის მიწოდების შეწყვეტაშიც კი გამოიხატა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი პოლიტოლოგები და ექსპერტები კვლავაც ცდილობენ ურჩიონ საკუთარ ხელისუფლებას, რომ ის რუსეთთან მიმართებაში ზომიერების ფარგლებს არ გასცდეს, იგივე ამერიკულ პრესაში ბოლო ხანს საქართველოსადმი მხარდაჭერის ტენდენციაც გამოიკვეთა. შეიძლება ვიფიქროთ – ეს, უბრალოდ, ფაქტების კონსტატაციაა, მაგრამ, მეორეს მხრივ, გამორიცხული არ არის, პრესაში წამოწყებულ ამ კამპანიას მიზნად ჰქონდეს ჩვენთან დაკავშირებით გარკვეული საზოგადოებრივი აზრის შექმნა, შემდეგ კი – კონკრეტული ნაბიჯებიც. საინტერესოა, რას გვეტყვის ჩვენი ტრადიციული ექსპერტი, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის მოადგილე შალვა ფიჩხაძე.

იხ. მე-3 გვ.

გიხაროდენ!

ზუგდიდიდან გატყობინებთ: მეოთხე შვილიშვილი შეგვეძინა



„საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველი გირეკავთ. შარშანაც, როცა მესამე შვილიშვილი მომილოცეთ, გავიხარეთ თქვენი ყურადღებით. ამ დღეებში მე და ჩემი მეუღლე ლამზირა კვლავ სიხარულით აივსეთ. გაჩნდა მეოთხე შვილიშვილიც: ჩემს ვაჟიშვილს, ეკონომისტ გიორგის და მის მეუღლეს მარიკას მეორე შვილი შეეძინათ. პატარა მეგი უკვე დედისერთა არ არის, ძმაცა ჰყავს, ჩემი სახელი დაარქვეს (ძალიან გავიხარე).

ჩვენს ქალიშვილს იურისტ ირინესაც ქალ-ვაჟი ჰყავს მარიამი და დათო (გთხოვთ ისინიც დამისახელოთ).

მეოთხე შვილიშვილის შეძენაზეც, რომ იტყვიან, ქუდი ჭერსა ვკარით, ბავშვი ხომ სუფთა ფურცელია და ჩვენ უნდა დავწეროთ, გწამდეთ, საქართველოს სიყვარულით გავზრდით, – დაგვირეკა სამეგრელოდან ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის თანაშემწემ კადრებისა და პირადი შემადგენლობის დარგში, პოლიციის პოლკოვნიკმა ვალტერ გაწერელიამ.

გაწერელიების ოჯახის სიხარულს ჩვენც ვუერთდებით.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

მხარე

კახეთი სიმშვიდეს ითხოვს

16 იანვარს თელავში გაიმართა კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, უშიშროების მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე, გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი, მხარის მაჟორიტარი დეპუტატები. 2000 წელს გაწეული მუშაობის და შემდგომი ამოცანების შესახებ სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი თამაზ თამაზაშვილი. ამავე საკითხზე ინფორმაცია წარმოადგინა ასევე საოლქო პროკურორმა გიგლა აგულაშვილმა.

იხ. მე-3 გვ.

სამართალდამცავებს ექნებათ ყოველგვარი მხარდაჭერა წესრიგის დასამყარებლად

ინფორმაცია

მოშე კაცავი – ჩამოსვლის წინ

ისრაელის პრეზიდენტმა მოშე კაცავმა, რომელიც 25 იანვარს ოფიციალურ ვიზიტად თბილისს ეწვევა, იერუსალიმში განაცხადა, რომ „ძალიან დიდ მნიშვნელობას“ ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, ასევე, რუსეთის და უკრაინის ლიდერებთან ვლადიმერ პუტინთან და ლეონიდ კუჩმასთან დაგეგმილ შეხვედრებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს ისრაელში საქართველოს საელჩოში, მოშე კაცავიმ თქვა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები მათი ხელმძღვანელების პირად კონტაქტებსაც უნდა დაეფუძნოს.

მან მადლობა გადაუხადა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს ანტისემიტიზმთან ბრძოლაში ძალისხმევისათვის და აღნიშნა, რომ არც რუსეთი, არც უკრაინა და არც საქართველო არ შედიან იმ ქვეყნების სიაში, სადაც, ისრაელის შეფასებით, ანტისემიტიზმი ბოლო პერიოდში „სერიოზულად იჩენს თავს“.

მზადდება ახალი ხელშეკრულება

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი ივანოვმა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ გუშინ მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის მეგობრობის და თანამშრომლობის შესახებ ახალი ხელშეკრულების პროექტის მომზადების საკითხზე იმსჯელეს, რის შესახებაც ამ ქვეყნების პრეზიდენტები გასულ წელს მინსკში დსთ სამიტის მსვლელობისას შეთანხმდნენ, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან.

განხილვის თემა იყო რუსეთის და საქართველოს უშიშროების საბჭოების აპარატების კონკრეტული ღონისძიებები მიმდინარე წელს, ასევე ეროვნული უშიშროების საკითხები.

მხარეებმა იმსჯელეს მიმდინარე წელს დაგეგმილი „კავკასიის ოთხეულის“ უმაღლეს დონეზე შეხვედრის მომზადების თაობაზე.

საუბარი შეეხო აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას და რუსეთის როლს სხვა ცხელ წერტილებში კონფლიქტების მოწესრიგებაში.

ნუგზარ საჯაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეხვედრაზე ასევე განიხილებოდა პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაცია.

მისი თქმით, ქართველი სამართალდამცავები საგანგებო ზომებს ატარებენ ამ რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისათვის.

იკარგებოდა 1.5 მილიონი დოლარი

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი ახორციელებს ღონისძიებებს ალკოჰოლიანი სასმელების ბრუნვიდან გადასახადებისათვის თავის არიდების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით.

როგორც შემოწმებით დადგინდა, აქციზურ გადასახადს თავი რომ აარიდოს, მეწარმეები 0,26 ლიტრის ტევადობის ბოთლებისთვის (ასეთი სახის ბოთლი საქართველოს ბაზარზე არ არსებობს) განკუთვნილ აქციზურ მარკებს, აკრავს 0,5 ლიტრის ტევადობის ბოთლებს და ამ „ოპერაციით“ თითოეულ ბოთლზე 24 თეთრის „ეკონომიას“ აკეთებს. მარტო ამ დარღვევის გამო წელიწადში დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი იკარგებოდა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ასეთი სახის დარღვევები უკანასკნელ ხანს მინიმუმამდე შემცირდა.

„კვარციტი“ ამუშავდება

შპს „კვარციტი“ „თბილკრედიტბანკში“ შენახულ 12 მილიონ ლარამდე ღირებულების ოქროს დორე შენადნობის ეტაპობრივად რეალიზაციას დაიწყებს და მიღებული შემოსავლით ფინანსური სიძნელეების გამო დეკემბერში გაჩერებულ საწარმოს კვლავ აამუშავებს, უთხრა პრაიმ-ნიუსს „კვარციტის“ ხელმძღვანელმა გიზო ტაბატაძემ.

მისი თქმით, დორე შენადნობის რეალიზაციაზე თანხმობა საწარმომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსგან მიიღო.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

მადლიერება

მრავალჟამიერ, ბატონო ლაურ!

უღრმესი მადლიერების გრძნობით მსურს დღეგრძელობა და ჯანმრთელობა ვუსურვო უროლოგიის ცენტრის დირექტორს, მსოფლიოში სახელგანთქმულ დასტაქარს, პარლამენტის წევრს ლაურ მანაგაძეს, რომლის მადლიან მარჯვენას, ვინ მოთვლის, რამდენი ასეული ადამიანისათვის დაუბრუნებია ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხალისი.

დიდ მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბატონ ლაურის აღზრდილ ახალგაზრდა ნიჭიერ ექიმს ზაზა ჭანტურიას და, საერთოდ, მთელ პერსონალს იმ ყურადღებისა და სითბოსათვის, რომელსაც ისინი უხვად გასცემენ.

ბატონო ლაურ! იყავით დღეგრძელი, რომ თქვენი მადლიანი ხელი, დიდი ადამიანური თანაგრძნობა და სითბო, ღმერთმა არ მოუშალოს ადამიანებს.

პატივისცემით,

გივი ყირმელაშვილი,
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული მწვრთნელი, დოცენტი, ევროპის ასოციაციის „სპორტი და ჯანმრთელობის“ კავშირის პრეზიდენტი.

პროკურატურა

მკლავაძეებიც ბლომად გვყავნან და ფანტიაშვილებიც

თბილისის პროკურორის მოადგილემ აკაკი ბუღალაშვილმა 15 იანვარს, როცა მისი უწყება 2000 წლის შედეგებს აჯამებდა, დიდი დანანებით თქვა: გასულ 2 წელიწადში დედაქალაქში აღირიცხა უცხოელ მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი 70 დანაშაული, რომელთა შორის არის 1 მკვლელობა, 1 – ყაჩაღობა, 16 ძარცვა, 36 – ქურდობა...

იხ. მე-2 გვ.

უკანასკნელ საათს

ოფიციალური წყაროები კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან წუხელ იუწყებოდნენ, რომ პრეზიდენტი ლორან კაბილა ჯერ კიდევ ცოცხალია და საზღვარგარეთ მკურნალობს, მის ნაცვლად კი ქვეყანას მართავს მისივე ვაჟი ჯოზეფ კაბილა.

გუშინ კვლავ გაიხსნა ქვეყნის აეროპორტები და ნაწილობრივ გაუქმდა კომენდანტის საათი. გუშინვე დედაქალაქ კინშასიში პატრის ლუმუმბას მკვლელობიდან მე-40 წლისთავი აღნიშნეს.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით 0+5; დღისით +8+13.
მთაში: ღამით -2+3; დღისით +2+7.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით 0-5; დღისით +4+9.
მთაში: ღამით -5-2; დღისით +1+6.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი. ღამით -1-3; დღისით +7+9.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

18 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	2.9732	ლარი
გერმანული მარკა	1	0.9715	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0200	ლარი
ევრო	1	1.9000	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0712	ლარი

ინტერპანორამა

გუშინ ღაზის სექტორში მოკლეს პალესტინის სახელმწიფო ტელევიზიის და რადიოს ხელმძღვანელი ხიშამა მექი. ექსპერტთა თქმით, თუკი პალესტინის ხელისუფლება ამაში ისრაელს დაადანაშაულებს, ეს დამანგრეველ ზემოქმედებას მოახდენს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე.



გუშინ პრაღაში, ჩეხეთის სახელმწიფო ტელევიზიის ადრე გაფიცულმა ჟურნალისტებმა ხელში ჩაიგდეს ტელევიზიის შენობა. ფინანსურმა დირექტორმა ვლადისლავ პოლუსკამ საკუთარ თავზე აიღო გენერალური დირექტორის ფუნქციები.

SVOBODA
SLOVA

პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც აქამდე მხარს უჭერდნენ გაფიცულებს, მოკმი არიან – არ მოელოდნენ ასეთ თვითნებობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. პენსიას ვიღებ 35 ლარს.

გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა შეღავათი კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდისას და ასევე მიწის გადასახადისაგან გათავისუფლება?

მიხეილ გიორგაძე.

– მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების საყოფაცხოვრებო, კომუნალურ მომსახურებას სახელმწიფო ახორციელებს. რაც შეეხება ელექტროენერგიის გადასახადს, მისი უფასო მომსახურება განისაზღვრება თვეში 30 კვტ საათის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის ყოფნის შემთხვევაში 45 კვტ. საათის ოდენობით. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლებული არიან მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები. ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირები მიწის გადასახადისაგან, სამწუხაროდ, შეღავათებით ვერ სარგებლობენ.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

„მჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს ყველა წევრი სასამართლოს განვითარების რთულ ეტაპზე თავის სიმაღლეზე იქნება“

(პირველი გვერდიდან)

„თქვენ ის ადამიანები ბრძანდებით, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — რომელთაც ყველაზე მეტად შეუძლიათ დაუმტკიცონ საზოგადოებას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მართლმსაჯულება არსებობს და თავისი სიმართლე არავის დაეკარგება. თქვენი საქმიანობით უნდა დაარწმუნოთ მოსახლეობა, რომ მისი სამშობლო არის სამართლის ქომაგი და სამართლის გარანტი“.

საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილებით ილაპარაკა უზენაესი სასამართლოს შეულახავი ავტორიტეტისა და დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის გზაზე მისი გამორჩეული მნიშვნელობის შესახებ.

„თქვენ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ სერიოზულ, რთულ საქმეთა გამო განაჩენის გამოტანას სჭირდება არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია, არამედ ადამიანური გამბედაობა და დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

თქვენ მიერ განხილულ ყველა საქმეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და მჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს ყველა წევრი სასამართლოს განვითარების რთულ ეტაპზე თავის სიმაღლეზე იქნება“, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური — საქინფორმი.

პრეზიდენტის ფოსტიდან

მსოფლიო ბანკი საქართველოსთან ნაყოფიერ თანამშრომლობას აგრძელებს

მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისათვის გამოგზავნილ წერილში მადლობას უხდის სახელმწიფოს მეთაურს იმ ინტერესისა და ენთუზიაზმისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ინტერნეტის რევოლუციისა და მსოფლიო ბანკის პროექტისადმი — „გლობალური განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“.

„მსოფლიო ბანკის ამ ახალი გლობალური ინიციატივის უკეთ განხორციელების მიზნით, ჩვენ ამჟამად ვაგრძელებთ კონსულტაციებს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა შუამავლებთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან, ნათქვამია ვულფენსონის წერილში. ჩვენ ასევე რამდენიმე ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოშიც (საქართველოს მთავრობის მტკიცე მხარდაჭერის წყალობით) ვხელმძღვანელობთ ქვეყანათა განვითარების პროექტებს.“

აღსანიშნავია, რომ 1999 წლიდან ქვეყანათა განვითარების გუნდი მსოფლიო ბანკის საქართველოს დეპარტამენტთან ერთად ხელს უწყობს პროგრამის — „საქართველოს გლობალური განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“ — განხორციელებას, რომელიც ერთ-ერთი პირველი და ყველაზე წარმატებულია ქვეყანათა განვითარების პროექტებს შორის.

ახლახან პრაღაში მსოფლიო ბანკის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრებზე წარმოადგინეს ეგრეთ წოდებული პორტალი „საქართველო ინტერნეტში“, რომელსაც რეგულარულად აჩვენებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებზე. მსოფლიო ბანკის ქვეყანათა განვითარების გუნდი ქართველ პარტნიორებთან ერთად მუშაობს საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარების კატალოგზე.

„თქვენი პირადი მხარდაჭერის წყალობით, საქართველო იყო პირველი ქვეყანა, სადაც შეიქმნა ქვეყანათა განვითარების ორგანიზაცია, არაკომერციული, რეგისტრირებული კავშირი — „საქართველოს განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“ (GeDG), რომელშიც ჩართულია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები და რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას“, — აღნიშნულია წერილში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ გასულ თვეში პროგრამა „ინფოდევმა“ — ტრანსფონდმა, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიო ბანკი პროგრამასთან — „გლობალური განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“— თანამშრომლობით, არაკომერციულ კავშირს „საქართველოს განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“ გამოუყო გეგმით გათვალისწინებული 50 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობის გრანტი, რათა კავშირმა მიაღწიოს მნიშვნელოვან პროგრესს და მთავრობისა თუ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით გახდეს ფართო ალიანსი საინფორმაციო სიერის ელექტრონიზაციისა და ელექტრონული კომერციის დანერგვის სფეროში.

„ვიმედოვნებთ, რომ ინტერნეტის ქსელის ეფექტი, რომელიც ამ პროგრამით შეიქმნება, წერს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი, საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, ისარგებლოს მდიდარი ცოდნით; მისთვის ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა ქვეყნების, საზოგადოებათა და კერძო პირთა მიერ ამ პროგრამაში თავმოყრილი ინფორმაცია. იმედი გვაქვს, რომ „საქართველოს განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“, როგორც პროგრამის „გლობალური განვითარება ინტერნეტის მეშვეობით“ შემადგენელი ნაწილი და პარტნიორი ქვეყანა, იქნება თქვენს ქვეყანაში ახალი, ინტერნეტზე დაფუძნებული ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. ამ ინიციატივაში მონაწილეობის მიღება საშუალებას მისცემს საქართველოს საზოგადოებებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირებს, შეიძინონ ინტერნეტის უახლესი ტექნოლოგიები, რაც შეამცირებს ინფორმაციის ღირებულებას, გააუმჯობესებს გამჭვირვალე საინფორმაციო ინფრასტრუქტურას და ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიოს მზარდ ციფრულ ეკონომიკაში“.

დასასრულ, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოსთან ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და განვითარდება.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური — საქინფორმი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს

(პირველი გვერდიდან)

სათანადო განხილვის შემდეგ კანონპროექტი მოიწონეს.

კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ სხდომას წარუდგინა კანონპროექტი კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ. როგორც მან თქვა, კანონპროექტი გარკვეულწილად შეავსებს იმ სამართლებრივ ვაკუუმს, რომელიც არსებობს კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და შემოტანის საქმეში. ამდენად, მისი მომზადების აქტუალურობა განპირობებულია კულტურის სფეროში მიმდინარე სახელმწიფო რეფორმის აუცილებლობით. კანონპროექტის მთავარი ამოცანა ის არის, რომ დადგინდეს კულტურულ ფასეულობათა კატეგორიები, კანონის მოქმედება კულტურულ ფასეულობათა და მათი საკუთრების სუბიექტების მიმართ. განისაზღვროს იმ კულტურულ ფასეულობათა კატეგორიები და მათი რეესტრების შედგენის პრინციპები, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოდან საზღვარგარეთ გატანას. ამ კანონპროექტის დადებითად შეფასების შემდეგ მთავრობამ მოიწონა, აგრეთვე, კულტურის სამინისტროს დებულების პროექტი, რომელიც მომზადებულია შესაბამისი კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და განსაზღვრავს სამინისტროს საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს, ხელმძღვანელობის ორგანიზაციას, ხელმძღვანელთა უფლებებსა და მოვალეობებს, სამინისტროს სტრუქტურას, ტერიტორიულ ორგანოებს, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციას.

კანონშემოქმედება განუყოფელია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობისაგან

სხდომაზე განიხილეს საკითხები „2001 წელს აღმასრულებელ ხელისუფლებაში კანონის პროექტების მომზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ და „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლებიც წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ჯონი ხეცურიანმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რაც ამ ხელისუფლების დაწესებულებათა მიერ კანონპროექტების შემუშავებას და საქართველოს პრეზიდენტთან წარდგენასაც გულისხმობს.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს ყოვლისმომცველი მასალის წარმოდგენისათვის. მან შენიშნა, რომ შეთანხმებული საქმიანობის შედეგად სოლიდური სამუშაო შესრულდა კანონშემოქმედების სფეროში. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა ახლანდელი ურთიერთობა გვაძლევს უნიკალურ შანსს ამ სფეროში ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამასთან არ შეიძლება ნორმალური დავარქვათ იმ მდგომარეობას, როცა პრეზიდენტის ინიციატივით შეტანილი კანონპროექტი პარლამენტში წლობით უმოძრაოდ დევს. ასეთების რაოდენობა კი, არც მეტი არც ნაკლები, 119–ა. ეს საგანგაშო ვითარებაა. აქ ან პარლამენტი არ იჩენს ინტერესს, ან გარკვეულ ჯგუფს არ აინტერესებს ამა თუ იმ კანონის მიღება. ამავე დროს აღმასრულებელი ხელისუფლების ის სტრუქტურები, რომლებსაც ევალებათ პარლამენტთან მუშაობა, ვერ იჩენენ საჭირო აქტიურობას.

ქვეყნის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ძალიან ხშირად ირღვევა თანამშრომლობის პრინციპი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებსა და პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს შორის. საჭიროა, რომ სამინისტროები აქტიურად იყვნენ წარმოდგენილი პარლამენტში და უზრუნველყონ თანამშრომლობის აუცილებელი დონე. საერთოდ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ამ ბოლო ხანს პარლამენტში კანონშემოქმედებითმა საქმიანობამ უკანა პლანზე გადაიწია. ძალიან მგრძნობიარე და სერიოზული საკითხია სახელმწიფო სიმბოლიკის მიღება. ამიტომ, აქ საჭიროა კონსულტაციების გამართვა, რომ შემდეგ საქმე არ გვქონდეს მოულოდნელ გართულებებთან. საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტოთ, აგრეთვე, საკითხი, რომელიც ეხება საერთაშორისო კონვენციებთან საქართველოს მიერთებას.

ნურავინ ნუ ფიქრობს, ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა, რომ რეფორმების პროცესი საქართველოში შენელდა, სრულებითაც არა, რეფორმები გრძელდება და გაგრძელდება, მომავალში საქართველო იქნება რეფორმატორული ქვეყანა.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სულ უფრო მასშტაბური ხდება

სხდომაზე მოისმინეს და მოიწონეს გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის კარლო გუჯაბიძის ინფორმაცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. ალბათ, ძნელია არ დაეთანხმო მომხსენებელს, რომ მარტო ადმინისტრირებით შეუძლებელია ისეთ მანკიერ მოვლენასთან ბრძოლა, როგორიცაა კორუფცია, რომელსაც ჩვენთან საკმაოდ ნოყიერი გარემო და ხელშემწყობი პირობები აქვს. კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებაზე მრავალმა ფაქტორმა უნდა იმოქმედოს, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელისუფლების ყველა ორგანოს შეთანხმებულ და გეგმაზომიერ მოქმედებას. საკანონმდებლო ბაზის შემდგომ სრულყოფას, მოქმედი კანონმდებლობის აღსრულებაზე კონტროლის გამკაცრებას.

ამ საკითხზე მსჯელობისას ქვეყნის პრეზიდენტმა ყურადღება დაუთმო ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებას და აღნიშნა, რომ შესაბამისმა უწყებებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები ამ ბოროტების აღსაკვეთად. სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოწმება საჭიროა, თქვა მან, მაგრამ აქაც წესრიგია დასამყარებელი, თორემ ეს შემოწმებები არცთუ იშვიათად ცოტა სხვანაირ ქმედებაში გადაიზრდება. მეჩაიეობის რეაბილიტაცია აუცილებელია და იგი განხორციელდება. ამასთან დაკავშირებით მისახედია ჩაის ფაბრიკების დავალიანების საკითხი.

ხე-ტყის ქვეყნიდან გაზიდვის პრობლემას რომ შეეხო, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ უკვე დროა ვიზრუნოთ საკუთარი წარმოების ორგანიზაციაზე, რომ გაიყიდოს მზა პროდუქცია, ვთქვათ, ავეჯი.

პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ენერგეტიკის მინისტრი არ მივიდა ტელესტუდიაში და არ მიიღო მონაწილეობა შესაბამის გადაცემაში, რაც სრულიად დაუშვებელია. მან მოსთხოვა ყველა სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელებს გამოიჩინონ აქტიურობა და განუხრელად გამოკვეთონ თავიანთი პოზიცია ამა თუ იმ პრესის ორგანოში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

* * *

სხდომაზე მოისმინეს და მოიწონეს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მიხეილ უკლებას ინფორმაცია სააქციო საზოგადოება „ეი-ი-ეს — თელასისათვის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი აქტივების გადაცემის შესახებ.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 14 იანვარი ქ. თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებულ თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული თანამშრომლები:

ღირსების ორდენით:

სალომე ყურშაიშვილი — უფროსი მასწავლებელი.

ღირსების მედლით:

მერი ბაჩრამიძე — უფროსი მასწავლებელი; **ცისანა ბეგლარიშვილი** — დოცენტი; **ქეთევან დეკანოზიშვილი** — დოცენტი; **ლარისა დვალიშვილი** — უფროსი მასწავლებელი; **მარიამ კაპიანიძე** — უფროსი მასწავლებელი; **თამარ კარიაული** — არქივარიუსი; **როზა კბილაძე** — უფროსი მასწავლებელი; **თინა კვახაძე** — უფროსი მასწავლებელი; **ლამარა კონიაშვილი** — უფროსი მასწავლებელი; **თამარ ლეონიძე** — უფროსი მასწავლებელი; **ანჟელინა სოკოლოვსკაია** — უფროსი მასწავლებელი; **ქრისტინე სოხაძე** — უფროსი მასწავლებელი; **მარინე ყუბანეიშვილი** — უფროსი მასწავლებელი; **რუსუდან ხაბურზანია** — უფროსი მასწავლებელი; **ზეინაბ ხახანაშვილი** — უფროსი მასწავლებელი; **კლარა ჯაბუა** — უფროსი მასწავლებელი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 14 იანვარი ქ. თბილისი

რ. კოფმანის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის მინერალური ნედლეულის შესწავლაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი **როზალია კოფმანი** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

ბრიფინგი

მთავრობის სხდომის შემდეგ

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის უშუალო დავალებით 17 იანვარს სრულიად ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ამიერიდან მთავრობის სხდომის დამთავრებისთანავე ჟურნალისტებისათვის გაიმართება ბრიფინგი, რომელსაც უხელმძღვანელებენ სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი და პრეზიდენტის პრესმდივანი კახა იმნაძე. ბრიფინგის მიზანია, მთავრობის წევრებმა მასმედიის წარმომადგენლებს მიაწოდონ დამატებითი ინფორმაცია სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

ჯონი ხეცურიანმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხზე — „აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების მომზადების, გამოცემის, გამოქვეყნებისა და მოქმედების შესახებ“ — ჟურნალისტებს შემდეგნაირი განმარტება მისცა: — „როდესაც საქართველოს პრეზიდენტს პარლამენტში განსახილველად შეაქვს კანონპროექტი, იგი დროულად უნდა განიხილონ. ახლა 75 კანონპროექტი ელოდება განხილვას. ამიტომ უნდა დაწესდეს მკაცრად რეგლამენტირებული ვადა როგორც კომიტეტში, ისე პარლამენტში. ასევეა მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებიც უკან უნდა იქნეს გამოთხოვილი“.

როგორც ცნობილია, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, რომ დღეისათვის პროკურატურაში 120 ვაკანსიაა, და ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა: „როდესაც კანონში იწერება ვადები, იგი უკვე რეგლამენტირებული ხდება და ამიტომ გენერალური პროკურორი თანამდებობაზე ვერ დანიშნავს იმას, ვისაც ჩაბარებული არა აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები. აუცილებელია პროკურატურაში გადაიწიოს გამოცდების ჩაბარების ვადა. გამოცდები უნდა მოეწყოს ადვოკატურაშიც, რადგან იქ სრული ქაოსია და ჯერ კიდევ პოსტსაბჭოური დებულებებით მუშაობენ. ისიც კი არ ვიცით, რამდენი ადვოკატია დღეს ჩვენს ქვეყანაში!“

ჯონი ხეცურიანი ასევე სკეპტიკურად უდგება კანონს „სასამართლო ექსპერტიზის შესახებ“. მისი თქმით, ცნება — „დამოუკიდებელი ექსპერტი“ — კანონით საერთოდ არ არსებობს?!

ბრიფინგზე ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა და საქართველოს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარემ ზაზა შენგელიამ.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება „დრეზდნერ ბანკთან“

(პირველი გვერდიდან)

სამწუხაროდ, ვერც „თბილკომბანკმა“ და ვერც „თბილკრედიტბანკმა“ დათქმულ ვადაში ვერ გაისტუმრეს აღებული სესხი, ასევე ვერ შეასრულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებანი. თანხა დაახლოებით 3 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალს აყენებს გერმანულ ბანკს. ამჟამად მოლაპარაკება თბილისში მიმდინარეობს. ეროვნული ბანკი, როგორც დამოუკიდებელი საფინანსო ინსტიტუტი, მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობს. როგორც აღნიშნა შეხვედრაზე „დრეზდნერ ბანკის“ მენეჯერმა, მოლაპარაკების ფარგლებში შესაძლებელია გერმანულმა მხარემ დაუშვას „თბილკრედიტბანკის“ ვალის რესტრუქტურიზაცია, ხოლო, რაც შეეხება „თბილკომბანკს“, იქ სიტუაცია გაცილებით რთულია. გერდ კრუზეს თქმით კი, ეს ინციდენტი არანაირ ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს საქართველოში „დრეზდნერ ბანკის“ მომავალ საქმიანობაზე.

სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ ამგვარი საფინანსო გარიგების გაფორმებისას, რისკის ფაქტორი რომ გაცილებით დაბალი იყოს, სათანადო დოკუმენტებში ნათლად უნდა დადასტურდეს უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები.

როგორც გიორგი არსენიშვილმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება ბანკთან, რომელსაც დაახლოებით 130 წლის გამოცდილება აქვს, ასევე საქართველოს ეკონომიკურ პროცესებში „დრეზდნერ ბანკის“ სამომავლო მონაწილეობაც. შეხვედრაზე განიხილეს ენერგეტიკის სექტორში ერთობლივი პროექტების განხორციელების ინიციატივა.

საქინფორმი.

პროკურატურა

მკლავაძეებიც ბლომად გვყავან და ფანტიაშვილებიც

(პირველი გვერდიდან)

დაზარალებულთა შორის 12 ამერიკის მოქალაქეა, 11 — თურქეთისა, 4 — გერმანიისა, 3 — ირანისა, 2 — ესპანეთისა, — 1 საფრანგეთისა... არის პაკისტანელიც, იაპონელიც, ჩინელიც, რუმინელიც, ინგლისელიც... რაც ყველაზე საგანგაშოა, აღარ ვარჩევთ დიპლომატიური მისიის, წითელი ჯვრის, საინვესტიციო კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად.

ესეც მადლის დაფასება, ესეც ქართული სტუმართმოყვარეობა (!)...

და ეს საგანგაშოა იმ ფონზე, რაც ბოლო ხანს თბილისში შეიმჩნევა, — ჩასაფრება სადარბაზოებში, თავდასხმა — ქუჩებში, ხანდახან დღისით-მზისით. უფრო მეტიც, — ეს ყველაფერი გაცილებით სამიმო ხდება, როცა ადამიანებს წიწილებივით ხოცავენ. 1998 წელს დაფიქსირდა 75 განზრახ მკვლელობა, 1999 წელს — 78, 2000 წელს — 81. ეს უკვე ახალი პრობლემაა, ახალი თავსატეხია, რომლის გამოც თბილისის სამართალდამცავებს არაერთი ღამის გათენება მოუწევთ. სხვანაირად, ქვეყნის იმიჯს ბევრი რამ აკლდება...

ბევრი რამ აკლდება ქვეყნის ბიუჯეტსაც. ძალზე დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ თბილისის აეროპორტი 2000 წელს მოემსახურა 76.010-ით ნაკლებ მგზავრს, ვიდრე 1999 წელს. წარმოიდგინეთ: — შესრულდა 1.011 რეისით ნაკლები. რა ხდება? სად გაიქცნენ ჩვენი მგზავრები, მეტწილად სტუმრები უცხოეთიდან? როგორც საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის მოადგილემ **ომარ მუღალაშვილმა** 17 იანვარს, ასევე, მარშანდელი შედეგების შეჯამებისას თქვა, — შებღალულ ქართულ სტუმართმოყვარეობას ზედ ერთვის ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობის მოუწესრიგებლობაც და აეროპორტის ცალკეულ თანამდებობის პირთა კორუფციული მადის ზრდაც. ყოველივე ამის გამო სტუმრები ჩადიან აზერბაიჯანში, სომხეთში და მერე „შავი გზებით“ შემოდიან საქართველოში.

რაც მთავარია, ძალიან მაგრები ვართ იქით გატანაში. იმდენი ლითონი, იმდენი ხე-ტყე გადის საზღვარგარეთ, — ჩვენივე ნებით, — მტრისას! მარტო კახეთიდან 1999 წელს გასულია 10.114 კუბური მეტრი, 2000 წელს კი — 46.000 კუბური მეტრი. იქაურ ტყეებს 100-ზე მეტი ფირმა თუ ინდივიდუალური მეწარმე შესევია. ახლა უკვე გასაგებია, თუ თვით სატყეო დეპარტამენტი რატომ უჭერს მხარს მორატორიუმის გამოცხადებას ტყის ჭრაზე, როგორც ამას ჩვენი ანტიკორუფციული პროგრამის პროექტი მიუთითებს...

დღეს წლის შედეგებს აჯამებს საქართველოს გენერალური პროკურატურა. და აქაც, ისევე როგორც თბილისის პროკურატურასა და ტრანსპორტის პროკურატურაში, ყველაზე დიდი სჯა-ბაასი იქნება სწორედ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ამასთან ერთად იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებიც დღეს ქვეყანას, ხალხს აწუხებს. ჩვენმა სამართალდამცავებმა სულ ახლახან დაამხეს შეიარაღებული ბანდები და იმედია, არ გაუჭირდებათ კორუმპირებული კლანების დამარცხებაც. ყოველ შემთხვევაში, საქმეს უკვე ისეთი პირი უჩანს, რომ ამ მავნე სენს მალე აუცილებლად ნეკნებს დავამტვრევთ. მერე კი ყველაფერი გაიოლდება!

ბონდო გულიაშვილი.

სიტუაცია

ალტერნატივა არა აქვს

ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის ორმა დამ თბილისში, სახალხო დამცველის ოფისში, შიმშილობის აქცია დაიწყო, ხოლო მეუღლემ გამოაცხადა, რომ მთელი ოჯახი მზადაა, უსამართლობისა და უკანონობის საპასუხოდ მიმართოს უკიდურეს ზომას — პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვოს სხვა ქვეყანაში.

შეიდწელიწადნახევრის წინათ დაპატიმრებული და ამ ხნის მანძილზე ორჯერ გასამართლებული თენგიზ ასანიძე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, ჯერ კიდევ, თხუთმეტი თვის წინათ შეიწყალა, კვლავ ბათუმის ერთ-ერთ იზოლატორშია მოთავსებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს უსამეელოდ გაჯანჯლებული საქმე მან უნდა განიხილოს, მაგრამ განსასჯელის ეტაპირებისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორჯერ გამოგზავნილი ბადრაგი ბათუმიდან უარით გაისტუმრეს.

მიგვაჩნია, რომ ეს უპრეცედენტო ფაქტები, მთლიანად „ასანიძის ისტორია“ არის შედეგი ქვეყნის ერთ ნაწილში ადამიანის კონსტიტუციური უფლებების უხეშად დარღვევისა, და ეწინააღმდეგება დათბობის პოლიტიკურ კურსს.

ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ გამოვხატავთ აჭარის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის გულისთქმას, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ და უვნებლად გადაიყვანონ თენგიზ ასანიძე თბილისში და გაიმართოს სამართლიანი, ობიექტური სასამართლო პროცესი.

ვიმედოვნებთ, ბოლოს და ბოლოს, საღი აზრი გაიმარჯვებს და შესაბამისი ორგანოები, თუ პასუხისმგებელი პირნი აღიარებენ კანონის უზენაესობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას საქართველოში ალტერნატივა არა აქვს.

სმკ აჭარის სამხარეო ორგანიზაცია.

ბათუმი, 17. 01. 2001.

დედაქალაქის ახალი მთავრობა

თბილისის საკრებულომ გუშინ გამართულ სხდომაზე დედაქალაქის ახალი მთავრობა დაამტკიცა.

მთავრობის შემადგენლობაში არიან: დედაქალაქის 6 რაიონის გამგებელი წყნეთის ჩათვლით, სამი ვიცეპრემიერი, ერთი პრემიერი და 11 საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი.

თბილისის მთავრობაში შემავალ ანტიკორუფციულ, იურიდიულ, ეკონომიკურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურებს დაემატა 6 ახალი სამსახური — კულტურის, ტრანსპორტის რეგულირების და მართვის, განათლების საქალაქო მეურნეობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, კეთილმოწყობის, და, ასევე, აპარატის უფროსი. ადგილობრივი მოსაკრებლებისა და განათლების საქალაქო მეურნეობის სამსახურები საკრებულომ ოთხშაბათს დაამტკიცა და მათ ხელმძღვანელებად შესაბამისად ისნის რაიონის ყოფილი გამგებელი დავით ლომაია და ჩუღურეთის რაიონის ყოფილი გამგებელი მიხეილ სტურუა დანიშნა.

მთავრობის ახალი შემადგენლობა საკრებულოს დასამტკიცებლად ქალაქის პრემიერმა გიორგი მერაბძემ წარუდგინა.

დევნილი ჩეჩენი ბავშვებისათვის

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“ დღეს პანკისის ხეობაში დევნილ ჩეჩენ ბავშვებს დაურიგებს კრებულის „მზე დედა ჩემი“ 3 ათას ეგზემპლარს, სადაც თავმოყრილია ჩეჩნების ზეპირი ხალხური შემოქმედების ნიმუშები.

როგორც პრაიმ-ნიუსს „კავკასიურ სახლში“ უთხრეს, ქართულ, რუსულ და ჩეჩნურ ენებზე გამოცემული კრებული დაურიგდება დუისის, ჯოყოლოს, ომალოს და ბირკიანის სკოლებს.

270 ათასი დოლარის კონტრაბანდა

დაზუსტებული მონაცემებით, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე „ზემო ლარსი“ რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს არა სპირტის კონტრაბანდული ტვირთი, არამედ კონიაკის დიდი ოდენობა.

კონიაკი აზერბაიჯანიდან საქართველოზე ტრანზიტით რუსეთში გადაჰქონდათ და მისი ღირებულება 270 ათას დოლარს შეადგენს.

დიდი პოეტის ცხოვრება

ასე ერქვა ლიტერატურულ საღამოს, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალთა საკრებულოს (თავმჯდომარე ციალა სვანიძე) ინიციატივით გაიმართა და ირაკლი აბაშიძის ხსოვნას მიეძღვნა. ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინა თსუ-სთან არსებული ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრის ხელმძღვანელმა, საქართველოს რადიოს ცნობილმა დიქტორმა თინათინ ელბაქიძემ.

პოეტის ქალიშვილმა ირინემ მადლობა მოახსენა ლიტერატურული საღამოს ინიციატორებს, ირაკლი აბაშიძის არდავიწყებისთვის.

განმარტავენ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 17 იანვრის ნომერში დაიბეჭდა პრაიმ-ნიუსის ინფორმაცია, „საქგაზი“ ბუნებრივი გაზის შეწყვეტას აპირებს“, რომელშიც დაშვებულია უზუსტობა. კერძოდ, ბოლო აბზაცში ვკითხულობთ: „საქგაზი“ სს „თბილგაზისთვის“ ბუნებრივი გაზის შეწყვეტას აპირებს, რომელსაც ამ უწყების მიმართ 18 893 000 ლარის დავალიანება აქვს“.

სს „საქგაზის“ პრესცენტრი გაცნობებთ, რომ ამჟამად „თბილგაზს“ ბუნებრივ გაზს აწვდის „იტერა“ და არა სს „საქგაზი“. ამიტომაც ეს უკანასკნელი „თბილგაზს“ გაზის მიწოდებას ვერ შეუწყვეტს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიალოგი ექსპერტთან

საქართველო უკვე თვითონ გახდა, როგორც ქვეყანა, დასავლეთის ყურადღებისა და გამოქომაგების ობიექტი

შალვა ფიჩხაძე.

(პირველი გვერდიდან)

— ბატონო შალვა, რით შეიძლება აიხსნას ამერიკული პრესის ჩვენი ქვეყნის მიმართ ბოლო ხანს გამოვლენილი ინტერესი, საქართველოს მხარდამჭერი პუბლიკაციების მომრავლება?

— არა მარტო ამერიკულ პრესაში, ამ ბოლო ხანებში საქართველოსადმი მხარდამჭერი პუბლიკაციები გამოაქვეყნა ბრიტანულმა მედიამაც. კერძოდ, მხედველობაში მაქვს გაზეთი „ფაინენშელ ტაიმსი". რაც შეეხება ჩვენდამი ინტერესს, მას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: პირველი ის არის, რომ საქართველოზე რუსეთის ზეწოლა უკვე აშკარა და დაუფარავი ფორმებით გამოვლინდა: რუსეთმა სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობისათვის სრულიად მიუღებელი და აღმაშფოთებელი — დიფერენციული სავიზო რეჟიმი შემოიღო. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებაში ცუდი არაფერია, რამდენადაც ეს ორი სუვერენული სახელმწიფოს საქმეა, მაგრამ საქართველოდან გამოყოფის მოსურნე რეგიონებში გამარტივებული რეჟიმის ჩვენს დაუკითხავად შემოღების ფაქტმა სრულიად ლოგიკურად გამოიწვია საქართველოსადმი მსოფლიოს ყურადღების გამახვილება. ბუნებრივია, დაისვა კითხვაც — რატომ შემოიღო რუსეთმა სავიზო რეჟიმი მხოლოდ საქართველოს მიმართ და რატომ გამოვიდა სუპერსახელმწიფოს პრეტენზიების მქონე უზარმაზარი ქვეყანა ბიშკეკის ხელშეკრულებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ დაეფიქსირებინა თავისი დამოკიდებულება ერთი პატარა ქვეყნისადმი?

— არ ფიქრობთ, რომ ამით რუსეთმა, ფაქტობრივად, აღიარა კავკასიის რეგიონში არსებულ სხვა სახელმწიფოთაგან საქართველოს განსხვავებული მნიშვნელობა?

— რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯით რუსეთმა თვითონ გვაქცია ფაქტორად, რომელმაც მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო. ჩემი აზრით, საქართველოსადმი ყურადღების კოეფიციენტი უკვე ნელ-ნელა უახლოვდება იმ კოეფიციენტს, რომელიც სსრკ-ს დაშლის შემდეგ დასავლეთს გააჩნდა ბალტიის ქვეყნების მიმართ.

— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში პუტინმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა?

— იმისათვის, რომ ვთქვა, დაუშვა თუ არა პუტინმა პოლიტიკური შეცდომა, მე მოვლენები პუტინის თვალთახედვიდან უნდა შევაფასო. ისეთი რუსეთისათვის, როგორც მე მინდა, რომ ეს ქვეყანა იყოს, რა თქმა უნდა, ეს შეცდომაა, მაგრამ რუსეთისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირის აღდგენა სურს, ეს, ალბათ, გამართლებული ნაბიჯია.

— ცნობილია, რომ სავიზო რეჟიმის შემოღება საქართველოს მიმართ რუსეთის ზეწოლის პირველი მაგალითი არ არის, მხოლოდ ამ ეტაპზე რატომ გახდა დასავლეთში ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი?

— გეთანხმებით, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის მხრიდან ზეწოლა ადრეც იყო, რაც სულ სხვაგვარი და უფრო უარესი ფორმითაც ვლინდებოდა. ამის შემდეგ რუსეთს ცოტა მივავიწყდით. ახლა კი, გარდა სავიზო რეჟიმისა, რუსეთმა ჩვენს საწინააღმდეგოდ მოიმარჯვა კიდევ ერთი — ენერგეტიკული „მათრახი", რომელსაც ეს ქვეყანა მუდმივად გვიქნევს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გაზის მოწოდება ბოლო ხანს რუსეთმა წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით შეგვიწყვიტა. ამით მან ირიბად საქართველოს, პირდაპირ კი — ამერიკული კომპანიის საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა, რასაც ამერიკელები არ მოითმენენ.

— სხვათა შორის, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული კომპანიების არსებობა, ასე არ არის?

— დიახ, ამ გზით ამერიკელებს ჩვენი პრობლემების თანაზიარად ვხდით. ამერიკელებმა რუსებზე საკმაოდ სერიოზული ზეწოლა მოახდინეს და გაზის მოწოდება — მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც — ამიტომაც აღდგა.

— ისე ხომ არ გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში ამერიკელებს მხოლოდ პრაგმატული კერძო ინტერესები ამოძრავებთ?

— არა, რადგან საქართველო უკვე თვითონ, როგორც ქვეყანა, გახდა დასავლეთის ყურადღებისა და გამოქომაგების ობიექტი. რა გასაკვირია, რომ რამდენიმე წლის წინათ დასავლეთის თვალში საქართველო ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა სახელმწიფოდ, რომელიც შეუქცევადად ადგას დემოკრატიისა და დასავლური ფასეულობების გზას. ამიტომ ადრე ჩვენდამი გამოჩენილ ყურადღებას მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის მიმართ პატივისცემის ფაქტორი განაპირობებდა. დღეს კი ეს პიროვნული ფაქტორი ობიექტურ ფაქტორად გადაიქცა. ახლა იმიტომ გვექომაგებიან, რომ საქართველომ დასავლეთს დაუმტკიცა — დასავლური ფასეულობებისაკენ სწრაფვაში ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის საქართველო ერთ-ერთი ლიდერია ყველა იმ ნაკლის მიუხედავად, რაც ჩვენში დღეს გვაქვს.

— ანუ, გამოდის, რომ ისინი საკუთარ თავს არ ეწინააღმდეგებიან, როდესაც, ერთის მხრივ, უკვე სერიოზულ ყურადღებას გვაქცევენ, მაგრამ იქვე აფიქსირებენ, რომ „კავკასიაში არის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი დემოკრატია"?

— აქ წინააღმდეგობა კი არა, აშკარა ის არის, რომ მათ ჩათვალეს — ჩვენთან ღირს მუშაობა. დასავლეთი დარწმუნდა, რომ, სხვებთან შედარებით, ჩვენ მტკიცედ გვიჭირავს დასავლური კურსი. მოდით, ვიკითხოთ, რატომ არ გვქონდა ჩვენ იგივე გამოქომაგება, როდესაც რუსეთი ჩვენს მიმართ აშკარა აგრესიას ავლენდა და რუსული თვითმფრინავები სოხუმს ბომბავდა? იმიტომ, რომ მაშინ დასავლეთისთვისაც და, ალბათ, ჩვენთვისაც, აშკარად გაუგებარი იყო, საით წავიდოდით. კიდევ ვიმეორებ, დასავლეთი მაშინ მარტო შევარდნაძის გამო გვთვლიდა ყურადღების ღირსად, ახლა ეს დამოკიდებულება ნელ-ნელა ტრანსფორმირდება და პიროვნულიდან სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულებად ყალიბდება.

— რამდენად მნიშვნელოვანია ცივილიზებული მსოფლიოს ჩვენს მიმართ დამოკიდებულებათა ამ ტრასფორმირების პროცესში იგივე შევარდნაძის ფაქტორი და რაც ხდება, იმასაც ნიშნავს თუ არა, რომ დასავლელებს ნამდვილად გაუმართლა პოლიტიკოსად კომუნისტურ სინამდვილეში ნაწრთობმა „ძველმა მეგობარმა", როდესაც ის არ აღმოჩნდა უზურპატორი და ერთპიროვნული მმართველი?

— ფაქტია, დღეს ჩვენ კარგად გვესმის, რომ ნორმალური ცივილიზებული სახელმწიფოსათვის გაცილებით მნიშვნელოვანია ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა, ვიდრე მხოლოდ ის, რომ ქვეყანას ძლიერი პიროვნება მართავს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძის დამსახურებაა.

— რატომ აღნიშნავს ამერიკული პრესა, რომ „ენერგორესურსებით მდიდარ ამ რეგიონში საქართველო მათი მთავარი მოკავშირეა", მაშინ, როდესაც არსებობს აზერბაიჯანი?

— ამ რეგიონში საქართველო ის ქვეყანაა, რომელიც ყველაზე უფრო ერთგულია იმ ფასეულობებისა, რამაც ამერიკა ამერიკად აქცია — ეს არის საბაზრო ურთიერთობები, ადამიანის უფლებებისა და პიროვნების თავისუფლების დაცვა, ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობები და თავისუფალი არჩევანის უფლება. ხომ ფაქტია, რომ, ყველა იმ ნაკლის მიუხედავად, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ არჩევნების დროს აქ აღინიშნა, საქართველო ევროსაბჭოში მაინც ყველაზე ადრე მიიღეს. აქ ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ის იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნები უფრო თავისუფლად და დემოკრატიულად ტარდება, ვიდრე სხვა ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებში.

— წეღან ჩვენ პრაგმატული ინტერესები ვახსენეთ და ისევ ამ საკითხს მინდა დავუბრუნდე: თუნდაც ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე არის მოსაზრება, რომ დასავლეთს ჩვენს მიმართ, უპირველეს ყოვლისა, მაინც საკუთარი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებს...

— რა თქმა უნდა, ეს ინტერესი დასავლეთს აქვს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველო ყველაზე უფრო შეუქცევადად დაადგა დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზას. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ეს ისეთივე სიმდიდრეა, როგორიც ბუნებრივი რესურსები, რომელიც შეიძლება გქონდეს, მაგრამ გონივრულად ვერ გამოიყენო. ამიტომ ამ სიტუაციის კარგად გამოყენება ქვეყნის მთავრობაზე, მოსახლეობის განათლების დონეზე და მის სურვილზეა დამოკიდებული. საბედნიეროდ, საქართველოს საზოგადოებრიობამაც და ხელისუფლებამაც დასავლეთს დაუმტკიცეს, რომ ის სწორად აფასებს, კარგადაც იყენებს საკუთარ გეოპოლიტიკურ მდებარეობას.

— ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებს „მსოფლიო პოლიციელს" უწოდებდნენ, ახლა გაჩნდა გამოთქმა „მსოფლიო მორიგე", რომლის „შვებულებაში ყოფნის დროსაც ცუდი ამბები ხდება". რამდენად იგულისხმება დასავლურ პრესაში ნათქვამ ამ ფრაზებში რუსეთის ბოლოდროინდელი მოქმედებები?

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ: რუსეთმა ჩვენს საპირისპიროდ გადმოდგმული თავისი ბოლოდროინდელი ნაბიჯებით ბევრი ვერაფერი მოახდინა, გარდა იმისა, რომ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოგვაქცია, ხოლო ქართული საზოგადოებრიობა კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ჩვენ დამხმარე და მეგობარი რუსეთში კი არა, დასავლეთში უნდა ვეძიოთ.

— საინტერესოა, როგორ შეაფასა დასავლურმა პრესამ პუტინის ბაქოში ვიზიტი, იყო თუ არა ეს კავკასიაში რუსული პოლიტიკის მართლაც დამაჯერებელი ნაბიჯი?

— მე მგონი, აქ უფრო მნიშვნელოვანია, როგორ შეაფასა ეს ვიზიტი თავად რუსულმა პრესამ. მართალია, ემოციურობით ცნობილი „ნეზავისიმაია გაზეტა" წერდა, რომ „ეს არის გარღვევა" და „ახალი პოლიტიკა", მაგრამ გაწონასწორებული და სხვათაგან ობიექტურობით გამორჩეული „იზვესტია" აღნიშნავდა, რომ ამ ვიზიტს „დიდი შედეგები არ მოჰყოლია". მე კი ვიტყოდი, რომ ჩვენთვის კარგია, თუკი რუსეთს აზერბაიჯანთან ნორმალური დამოკიდებულება ექნება, რადგან ეს კავკასიაში სტაბილურობის ერთგვარად დამაიმედებელი ფაქტორია.

— საინტერესოა, რა „დიდ შედეგებს" მოელოდა ამ ვიზიტისაგან თავად რუსეთი და რას გულისხმობდა „იზვესტია", როდესაც ის პუტინის ბაქოში ვიზიტს ამგვარად აფასებდა?

— არ ვიცი, რას მოელოდა რუსეთი; მაგრამ თუ მას აზერბაიჯანზე გამავალი ენერგომატარებლების როგორმე რუსეთისაკენ შებრუნება სურდა, ეს აღარ გამოვა, რადგან უკვე დამტკიცებულ პროექტებს ვეღარაფერი შეცვლის. ვიზიტი კი პოლიტიკაა, რაც მხოლოდ შედეგებით განისაზღვრება.

— მოდით, ახლა ის ვიკითხოთ, რა იწერებოდა ამ ვიზიტის შესახებ ქართულ პრესაში: საინტერესოა, საიდან მოგვევლინა აზრი იმის შესახებ, თითქოსდა პუტინმა ალიევს დაავალა ვადაზე ადრე გადადგომა ერჩია შევარდნაძისათვის?

— ძალიან გთხოვთ, ასეთ სასაცილო და არასერიოზულ საკითხებზე ნუ მოვცდებით! თუ ვინმე ასეთ სიზმრებს ხედავს, ეს მისი პრობლემაა.

— როგორ ფიქრობთ, მოჰყვება თუ არა კონკრეტული ნაბიჯები დასავლურ პრესაში ჩვენს სასარგებლოდ წამოწყებულ კამპანიას?

— ვფიქრობ, მოჰყვება, მაგრამ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამერიკის ადმინისტრაციის პოზიციაზე, რომელიც საქართველოს მიმართ, ჯერჯერობით, გამოკვეთილი არ არის, თუმცა შეინიშნება იმედისმომცემი სიგნალებიც.

— რას გულისხმობთ?

— თუნდაც, ზბიგნევ ბჟეზინსკის ბოლოდროინდელი ინტერვიუ „შპიგელისათვის", სადაც ნათქვამია, რომ „ამერიკა რუსეთის მიმართ მკაცრ პოლიტიკას განახორციელებს", ან გავიხსენოთ ჯორჯ ბუშის ასევე ბოლოდროინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ „ამერიკა რუსეთში მხოლოდ იმ პროგრამებს დააფინანსებს, რომლებიც ბირთვული იარაღის შემცირებისაკენ იქნება მიმართული".

— კი, მაგრამ ეს, ალბათ, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საბოლოოდ უარს არ იტყვის თავის იმპერიულ ზრახვებზე, სხვა შემთხვევაში, დასავლეთისათვის რუსეთიც ისეთივე ახალი დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის, როგორიც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები?

— ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი ასეთი გახდეს, მაგრამ ამ ქვეყანაში ხალხის მასაც და ხელისუფლებაც სხვაგვარად ფიქრობს: რუსეთში ახლახან მოწყობილი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რომელიც, სხვათა შორის, ერთ-ერთმა სოლიდურმა ორგანიზაციამ ჩაატარა, ყოველი სამი რუსი მოქალაქის აზრით, ორს სსრკ-ს აღდგენა სურს. ჩვენთან ეს პირიქითაა — ალბათ, ყოველი სამი გამოკითხულიდან მხოლოდ ერთი თუ იტყვის, რომ საბჭოთა წარსულში დაბრუნება უნდა. ეს კი ნიშნავს: ჩვენ ერთმანეთს ვერ ვეთანხმებით ფუძემდებლურ ფასეულობებში, რადგან საბჭოთა კავშირის აღდგენა ჩვენთვის სუვერენიტეტის დათმობაა. რასაც ყველაზე ნაკლებად შევეგუებით. ჩემი აზრით, თუ რუსეთი არ გათავისუფლდა კომუნისტური იდეოლოგიისაგან, საბოლოო ჯამში, თავად რუსეთისათვის იქნება ცუდი, რადგან გერმანია მხოლოდ მაშინ აყვავდა, როდესაც მან ნაციონალ-სოციალისტურ იდეოლოგიაზე ბოლომდე თქვა უარი.

ესაუბრა
ელზა ჯიმუხაძე.

პოლიცია

ოპერაცია არ ხორციელდება სპონტანურად

გასულ კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 137 სს დანაშაული, რომელთაგან 110 (80,3 პროცენტი) უკვე გაიხსნა. წინა კვირასთან შედარებით შემცირდა მკვლელობების, სხეულის დაზიანების, ავტომანქანის გატაცების შემთხვევები, თუმცა ოდნავ გაიზარდა ქურდობის ფაქტები.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა ერთ კვირაში გამოავლინა 54 დანაშაული, მათ შორის 4 — ნარკოტიკების რეალიზაციისა.

გამოვლინდა 21 ჯგუფური დანაშაული, გაიხსნა ადრე ჩადენილი 28 დანაშაული, დაკავებულია 27 ძებნილი.

პარასკევს, 12 იანვარს, კახეთის სამხარეო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულმა სამსახურებმა ფრიად მნიშვნელოვანი და სარისკო ოპერაცია განახორციელეს. პანკისის ხეობის ერთ-ერთ სოფელში, ლამის ორთვიანი ტყვეობიდან გამოიხსნეს, მძევლად აყვანილი ზაურ გონაშვილი და ვლადიკავკაზელი ვლადიმერ მაკიევი. გონაშვილი შეიარაღებულმა ნიღბიანმა ბანდიტებმა გასული წლის 13 ნოემბერს გაიტაცეს ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანიდან, მაკიევი კი 25 ნოემბერს.

მთელი ამ ხნის მანძილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს, კახეთის პოლიციის სამხარეო სამმართველოსა და ახმეტის პოლიციის თანამშრომლები აგროვებდნენ ინფორმაციას მათი სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ, ადგენდნენ იმ პირთა ვინაობას, ვინც ჩაიდინა ეს მძიმე დანაშაული.

ზოგიერთი იკითხავს, ნამეტანი ხომ არ გაუჭიანურდათ სამართალდამცველებს ინფორმაციის შეგროვება და მძევალთა განთავისუფლება? ამ საქმეში და, განსაკუთრებით პანკისის ხეობაში არსებულ ვითარებაში ჩახედული კაცი, ასე კატეგორიულად არ დასვამს კითხვას. პროფესიონალების პოზიცია კი ასეთია. ოპერაციის წარმატებით დამთავრების შემდეგ შსს მინისტრის მოადგილემ, პოლიციის გენერალ-მაიორმა კახა ბაკურაძემ განაცხადა:

— მძევალთა ტყვეობიდან გამოხსნის ოპერაციის სპონტანურად ჩატარება არ შეიძლება, აჩქარებას და „იმპროვიზაციას" შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს, რაც მთავარია, საფრთხეში ვერ ჩავაგდებთ ტყვედ აყვანილი მოქალაქის სიცოცხლეს, ოპერაციისთვის საფუძვლიანი მომზადებაა საჭირო.

ოპერაცია ჩატარდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადამოწმდა ყველა მოპოვებული ინფორმაცია, როცა უკვე დარწმუნებით ვიცოდით რომელ სოფელში, კონკრეტულად სად იმყოფებოდნენ გატაცებულები, ვინ იყვნენ გამტაცებლები, რა ძალები გააჩნდათ მათ.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მძევალთა გამოხსნის ყველა ოპერაცია ძალისმიერი მეთოდის გამოუყენებლად, მოლაპარაკებების გზით განხორციელდა. ამჯერად სხვადასხვა გარემოებათა გამო აუცილებელი გახდა ძალის გამოყენება. რა თქმა უნდა, დიდი იყო რისკის ფაქტორი, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ დარჩა. პოლიციის თანამშრომლების სწრაფმა და ორგანიზებულმა მოქმედებამ შედეგი გამოიღო, მძევლები გაათავისუფლეს. თუმცა ორმხრივი ინტენსიური სროლის დროს ფეხში დაიჭრა ზაურ გონაშვილი, მსუბუქი ჭრილობა მიიღო ვლადიმერ მაკიევმაც.

დაიჭრა ერთ-ერთი გამტაცებელიც, რომელმაც სხვა ბანდიტებთან ერთად მოახერხა მიმალვა, თუმცა როგორც უკვე ვთქვით, პოლიციას დადგენილი აქვს გამტაცებელთა ვინაობა.

ოპერატიული მოსაზრებებითა და გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით სამართალდამცველები ჯერჯერობით არ ასახელებდნენ არც სოფელს და არც სახლს, საიდანაც გაათავისუფლეს მძევლად აყვანილები. ჯერჯერობით არ სახელდება კონკრეტულ დამნაშავეთა გვარები. ამასთან ღიად აღინიშნება მართლაც ფრიად საგულისხმო ფაქტი — მძევლების გამოხსნის ოპერაციაში პოლიციის თანამშრომლებს დიდი დახმარება გაუწიეს ჩეჩენმა ლტოლვილებმა. ეს არ ყოფილა შეიარაღებული დახმარება. ლტოლვილებმა იზრუნეს იმაზე, რომ ოპერაციის ჩატარებისას არ მომხდარიყო რაიმე ექსცესი და ამით ხელი არ შეშლოდათ სამართალდამცველებს მძევლების გათავისუფლებასა და პანკისის ხეობიდან მშვიდობიანად გამოყვანაში.

პოლიციის ინფორმაციით, ჯერჯერობით ტყვეობაშია ოთხი გატაცებული მოქალაქე, მათ შორის ორი ესპანელი. სამართალდამცველები არც იმას გამორიცხავენ, რომ გატაცებული უცხოელები სულ სხვა ადგილას ჰყავდეთ გადამალული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო და კახეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველო ინტენსიურად ახორციელებს, აგრეთვე, პანკისის ხეობიდან ნარკოტიკების გამოტანის აღკვეთის რადიკალურ ღონისძიებებს.

9 იანვარს შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და კახეთის პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი, ეროვნებით ჩეჩენი, ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში მცხოვრები ასლან ფარაზოვი, რომელსაც საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული, ოთხ შეკვრად დაფასოებული, 17 გრამი ჰეროინი და 1 მილიგრამი ჰეროინის ხსნარი.

პოლიცია მუშაობას არ ანელებს კახეთის სხვა ზონებშიც. მაგალითად, შსს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოსა და გურჯაანის რაიონის პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, სოფელ ვაზისუბანში მცხოვრები, ნასამართლევი გიორგი პაიჭაძე და თბილისელი კახაბერ იარაჯული, რომლებმაც რამდენიმე თანამზრახველთან ერთად 2000 წლის 3 აგვისტოს, ღამის 3 საათზე, მოახდინეს შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში მცხოვრებ შამილ ხუჩოშვილის ოჯახზე, სცემეს ოჯახის წევრები და იარაღის მუქარით გაიტაცეს 550 დოლარი, 300 ლარი და ოქროს სამკაულები. პოლიცია ყველა ღონეს ხმარობს ამ ყაჩაღური თავდასხმის სხვა მონაწილეთა დასაკავებლად.

ვალერიან გოგოლაშვილი.

კანონმდებლობა

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი

წლეულს ივნისში, კეთილი ნების ადამიანთა მხარდაჭერით საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს კანონში „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" ცვლილებები და დამატებები შეიტანა. კანონის მე-4 მუხლის ტექსტი ჩაითვალა პირველ პუნქტად და დაემატა შემდეგი შინაარსის მეორე პუნქტი: „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი — ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". რადგანაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, როგორც ცალკე დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულის არსებობა ამ კანონით ეჭვს აღარ იწვევს — მივუბრუნდეთ საქართველოს კანონს საჯარო სამსახურის შესახებ, სადაც განმარტებულია: „ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის განმარტება კანონმდებელმა ჩინებულად ჩამოაყალიბა, და ისიც დასძინა, რომ იგი არის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება. კანონის მე-2 მუხლში ვკითხულობთ: „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ — დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანაა საჯარო ხელისუფლების განხორციელება". გავაგრძელოთ მე-2 მუხლის ჩაკითხვა — „სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: (ბ) საქართველოს სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები"...

„ბ" პუნქტმა განუსაზღვრა თავისი ადგილი საქართველოს კანონში — საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურს. ახლა ისღა დარჩენილა, რომ სამსახურმა თავისი საქმიანობის სფეროში განახორციელოს მინიჭებული უფლებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში შეიქმნას მაკონტროლებელი ორგანოს სრულფასოვანი იმიჯი. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული მის სახელმძღვანელოდ შექმნილ კანონმდებლობაზე, რითაც ეს სამსახური დღეისათვის განებივრებული არ არის. საქართველოს კანონში საჯარო სამსახურის შესახებ მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია. საჯარო სამსახური იყოფა შემდეგ სახეებად (ა) სახელმწიფო სამსახური; ბ) სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში".

ამავე კანონის მე-5 მუხლში განმარტებულია, თუ ვინ ეწევა საჯარო სამსახურს: ა) სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი; ბ) მოხელე; გ) დამხმარე მოსამსახურე; დ) შტატგარეშე მოსამსახურე. დღეისათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურში, მოხელე, დამხმარე მოსამსახურე და შტატგარეშე მოსამსახურე სულ 213 ადამიანია დასაქმებული, რომელთა საქმიანობის ინტერესების ამოსავალი სახელმწიფოს ინტერესებია. ქვეყანაში შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მყარი საკანონმდებლო ბაზა, რაც მისი ავტორიტეტისა და სრულფასოვანი მუშაობის საფუძველი გახდება. უპრიანი იქნებოდა, კანონმდებლობაში დროულად შევიდეს დამატებები და შესწორებები სატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურის შესახებ. დამატებები და ცვლილებები უნდა შევიდეს ზოგად ადმინისტრაციულ, ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა, საპროცესო კოდექსში და სხვა სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტებში.

ჩვენს ქვეყანაში სატრანსპორტო საქმიანობა და მისი სერვისული მომსახურება ბიუჯეტის შევსების სასიცოცხლო არტერიაა, ამიტომაც ბრძანებდა ქვეყნის პრეზიდენტი: სატრანსპორტო საქმიანობიდან შემოსავალი ამოუწურავიაო. ასევე ამოუწურავია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურის საქმიანობაც, თუკი ამას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან ექნება მხარდაჭერა.

ლევან კობერიძე,
ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახურის უფროსის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში.

მხარე

კახეთი სიმშვიდეს ითხოვს

(პირველი გვერდიდან)

როგორც სხდომაზე აღინიშნა, კახეთის მხარეში სამართალდამცავი ორგანოების მიერ 2000 წელს გარკვეული მუშაობა ჩატარდა კანონიერების დაცვის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და კრიმინოგენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემცირდა ისეთ დანაშაულთა რაოდენობა, როგორიცაა ყაჩაღობა, ძარცვა, ავტოავარიით ადამიანის სიკვდილი. გააქტიურდა მუშაობა ძებნის ხაზით, გაიხსნა რეზონანსული დანაშაულობები, გაიზარდა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენა და ა. შ.

ამასთან, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ 2000 წელს მნიშვნელოვნად, 81 ერთეულით გაიზარდა დანაშაულთა საერთო რაოდენობა და უკანასკნელ 5 წელიწადში ყველაზე მაღალ ზღვარს მიაღწია. გაიზარდა ასევე მძიმე და ისეთ საშიშ დანაშაულთა რაოდენობა, როგორიცაა განზრახ მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, გაუპატიურება, ადამიანის მოტაცება, ქურდობა, შემცირდა ეკონომიკურ სფეროში გამოვლენილი დანაშაულობები. არადამაკმაყოფილებელია კორუფციასთან ბრძოლის ტემპი. გადამჭრელი ზომებია მისაღები ხე-ტყის უკანონო ჭრის და ელექტროსადენების ქურდობის ფაქტების აღსაკვეთად. რადიკალურად უნდა შეიცვალოს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისადმი დამოკიდებულება.

განსაკუთრებული მსჯელობა გაიმართა პანკისის ხეობაში არსებული ვითარების ირგვლივ. როგორც ბატონმა კახა თარგამაძემ აღნიშნა, ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა შეფარება — ეს იყო ჰუმანური აქტი და ხელისუფლების მიერ გადადგმული გამართლებული ნაბიჯი. თუმც ისიც ნათელი იყო, რომ ამის შედეგად ვითარება ხეობაში და მთლიანად რეგიონში გართულდებოდა. მას შემდეგ, რაც ძირითად მიმართულებებზე შეიქმნა შინაგანი ჯარის საგუშაგოები, მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა გამორიცხული არაფერია და ყველა და ყველაფერი მზად უნდა იყოს ყოველგვარი პროვოკაციული ქმედების აღსაკვეთად. გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის თქმით, ხეობაში იკვეთება სხვადასხვა სახელმწიფო თუ რელიგიურ მრწამსთა ინტერესები. ამიტომ იგი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. მით უმეტეს დაუშვებელია აქ კანონიერების დაცვის შესუსტება. არადა, მდგომარეობა აქ კვლავაც დაძაბულია კრიმინოგენური თვალსაზრისით. იგი იწვევს ათას მითქმა-მოთქმას.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებო იყო კახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის ზაურ გუმაშვილის გამოსვლა. მისი თქმით, მეტად უარყოფით რეაქციას იწვევს ხეობაში ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ დანაშაულზე დაკავებულ პირს რამდენიმე დღეში კვლავ გარეთ უშვებენ და დაუსჯელობის სინდრომი ბადებს ახალ დანაშაულს. ხეობის მოსახლეობა კი დათრგუნული და დაშინებულია. იგივე არასასურველ მოვლენაზე ისაუბრა თელავის რაიონის გამგებელმა მედეა მეზვრიშვილმა. მან გაიხსენა არცთუ შორეული ფაქტები, როცა შეიარაღებულმა ქისტებმა თელავსა და იყალთოში დაჭრეს ადგილობრივი მცხოვრებლები. დამნაშავეთა ვინაობა ყველასათვის ცნობილია, მაგრამ სათანადო ზომები არ არის მიღებული. სამართალდამცავებმა ამის მიზეზად თავად დაზარალებულთა მიერ ჩვენების მიუცემლობა დაასახელეს და კიდევ მოწმეთა ინსტიტუტის უმოქმედობა. თუმცა იქვე ითქვა ისიც, რომ აშკარაა სამართალდამცავთა პასიურობა, რომელიც ხალხის აზრით მთლად უანგარო არ უნდა იყოს. როგორც ზემოთ ითქვა, დაუსჯელობის სინდრომი ყაჩაღს ათავხედებს, ხალხს კი თრგუნავს. როგორც კი ხალხი იგრძნობს სამართალდამცავთა შეურიგებლობას დამნაშავეთა მიმართ, აუცილებლად ამოუდგება მათ მხარში. ამის მაგალითად 1995 წლის მოვლენები დასახელდა, როცა მხედრიონის თავამშვებულობასთან ბრძოლა სწორედ თელავიდან და კახეთიდან დაიწყო.

სხდომაზე აღინიშნა, აგრეთვე, ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის არასაკმარისობა. ცნობილი მოვლენების შემდეგ პანკისის ხეობა გახდა ნარკოტიკების გავრცელების ყველაზე აქტიური კერა. ამაზე დაწვრილებით საუბარი იყო რწმუნებულის აპარატის წინა სხდომაზე, რომელზეც მდგომარეობა შეფასდა როგორც კატასტროფული. ნარკოტიკების, კერძოდ, ჰეროინის მოხმარება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. სამართალდამცავები და თავად საზოგადოება ვერ ახორციელებს ამ საშიში სენის აღმკვეთ გადამჭრელ ღონისძიებებს.

იქნება ამიტომაც, სხდომაზე მდგომარეობის გაჯანსაღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად საკადრო ცვლილებები დაასახელა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა ბიძინა სონღულაშვილმა. მან კიდევ ერთხელ დაამოწმა, რომ სამართალდამცავებს ექნებათ ყოველგვარი მხარდაჭერა მხარეში წესრიგისა და სიმშვიდის დასამყარებლად.

ზურაბ არჩენიშვილი.
„სრ" საკ. კორ.

ჯანდაცვა

დავიწყებული ჭირი

მალარია უკანასკნელ ხანს ბევრი ქვეყნისათვის, მათ შორის ევროპისათვის პრობლემატური გახდა. საქართველოში 1996 წელს დაფიქსირდა მალარიის პირველი 3 ადგილობრივი შემთხვევა აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს. მას შემდეგ ადგილობრივ შემთხვევათა რიცხვი მატულობს. 2000 წლის 10 თვეში აღინიშნა ადგილობრივი მალარიის 167 შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში. დაავადებულთა ნახევარზე მეტი ბავშვია.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ და გაეროს მუდმივმა კოორდინატორმა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში მარკო ბორზოტიმ წლეულს 7 დეკემბერს მოაწყვეს დონორთა შეხვედრა გაეროს ოფისში. შეხვედრის თემა იყო საქართველოში მალარიის მოსალოდნელი ეპიდემიის გავრცელების საშიშროების თავიდან აცილებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა ძიება.

მალარია უძველესი დროიდან ენდემურია ჩვენი ქვეყნისათვის. ავადობისა და სიკვდილიანობის მიზეზი კოღო ანოფელესია, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში საქართველოში მალარიის ეპიდემიამ ბევრი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მალარიის წინააღმდეგ მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა, რის საფუძველზეც 1970 წელს ეპიდემია ჩაქრა. მაგრამ 1970-1996 წლებში მალარიის 139 შემთხვევა მაინც აღირიცხა; უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან იყო შემოტანილი.

მოსაზღვრე ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები — მოსახლეობის 52 პროცენტი მალარიის შესაძლო გავრცელების ადგილებში ცხოვრობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დახმარება გაუწია მოსახლეობას მედიკამენტებით, ინსექტიციდებით და ლაბორატორიული აღჭურვილობით. მაგრამ მიუხედავად ეპიდზედამხედველობისა და დაავადების კონტროლის ღონისძიებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა, მალარიის შემთხვევებმა იმატა და აშკარაა, რომ უახლოეს მომავალში მან შეიძლება დრამატული სახე მიიღოს.

ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირის გამო საქართველოს მალარიის პრობლემის გადაჭრა საერთაშორისო ორგანიზაციების დაუხმარებლად გაუჭირდება. იმედია, რომ დონორებთან შეხვედრის შედეგად მალარიასთან ბრძოლის პროგრამაში საერთაშორისო პარტნიორების სამომავლო საქმიანობა განისაზღვრება.

რიტა ჩაკვეტაძე.

ქვეყნის უშიშროება

ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და ქვეყნის უსაფრთხოების „მცირე კონსტიტუცია“

ჯერ კიდევ მაკიაველი შენიშნავდა, რომ ერთი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დომინანტად გამოცხადება და სხვებზე მბრძანებლობის მცდელობა „ომისაკენ მიმავალი ავანტიურა და პოლიტიკური ფუნდამენტალიზმია“. დღევანდელ მსოფლიოში კი საყოველთაოდ (მათ შორის გაეროს წესდებით) აღიარებულია, რომ ნებისმიერი ფუნდამენტალიზმი და მისი შესატყვისი პოლიტიკური რადიკალიზმი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რომელიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მომავალს. ასეთი ფუნდამენტალიზმი და რადიკალიზმი თვითონ ამ ქვეყნის მომავალსაც უქმნის დიდ საფრთხეს და ამის არაერთი ფაქტი იცის ისტორიამ, თუნდაც ფაშისტური და ბოლშევიკური ფუნდამენტალიზმის სახით, მილიონობით ადამიანი რომ შეიწირა მსხვერპლად.

ფუნდამენტალიზმი ყველაზე დიდ საფრთხეს მაინც იმ პატარა ერებსა და ქვეყნებს უქმნის, რომელთა სამხედრო-თავდაცვითი პოტენციალი შეზღუდულია და ამ მხრივ დაუცველი არიან შესაძლო აგრესიისაგან. რაზე უნდა დააფუძნონ თავიანთი უსაფრთხოება ამ ქვეყნებმა ასეთ ობიექტურ პირობებში? ამ კითხვაზე სწორი პასუხი ისევ და ისევ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისადმი, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი კომპლექსური და დაბალანსებული მიდგომაა.

მაგრამ თუ პრიორიტეტზე მიდგება საქმე, ამ შემთხვევაშიც ქვეყნის უსაფრთხოება უმთავრესად საშინაო პოლიტიკაზე და მის განმსაზღვრელ სოციალურ-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და ა. შ. სფეროებზე უნდა იქნეს ორიენტირებული და მერე — წმინდა სამხედრო-თავდაცვითზე. ახლანდელი ენერგეტიკული კრიზისი და მისგან გამომდინარე სოციალური დაძაბულობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დღევანდელ ეპოქაში ენერგეტიკას და მისგან გამომდინარე სოციალურ, ეკოლოგიურ თუ დემოგრაფიულ უსაფრთხოებას არანაკლები, მეტი თუ არა, მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საერთო უშიშროებისა და თავდაცვის უზრუნველსაყოფად, ვიდრე წმინდა სამხედრო-თავდაცვით ღონისძიებებს. სწორედ ასეთი გზით მივალთ პროფესიული ეროვნული ჯარისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სპეცსამსახურების საიმედო სისტემამდე.

ერთი სიტყვით, საპრეზიდენტო პროგრამა და მასზე დაფუძნებული ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების კონცეფციაც ხანგრძლივი მშვიდობისა და უსაფრთხოების რეალურ გარანტიებს მხოლოდ მაშინ მოგვცემს, როცა უშიშროების პოლიტიკის შემუშავება, მისი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და, რაც მთავარია, მათი ცხოვრებაში განხორციელება უშუალოდ ქვეყნის შიგნით არსებულ ჯანსაღ ეროვნულ ძალებს, მათი დიდი პოტენციალის ამოქმედებას დაემორჩილება.

აქ ვგულისხმობ როგორც ინტელექტუალურ, ისე მწარმოებელ ძალებს, რომელთა შორის თანამშრომლობა, როგორც წესი, ყველაზე მეტად სახელმწიფო მმართველობის ქვედა საფეხურზე — ადგილობრივი მმართველობის დონეზე აისახება. ასე იყო, სხვათა შორის, ისტორიულადაც და ასე უნდა იყოს მომავალშიც, რადგან ქვეყნის ნამდვილი უსაფრთხოება იწყება ხალხის ნებიდან და მზადყოფნიდან, დაიცვას ქვეყანა ნებისმიერი შინაგანი თუ გარეგანი საფრთხისაგან. სადავო არაა, რომ ქვეყანა, რომლის მოქალაქეები გულხელდაკრეფილი ელოდებიან ნათელ მომავალს, მას ვერ იხილავს.

ამასთან დაკავშირებით, უინტერესო არ იქნება გარკვეული კუთხით შევეხოთ „მსტოვართა“ ინსტიტუტს, რაზეც იყო დაფუძნებული „ოქროვანი ხანის საქართველოს“ უსაფრთხოება. იგი, როგორც ცნობილია, შემოიღო დავით აღმაშენებელმა და ფუნქციური თვალსაზრისით ე. წ. „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეს“ დაუქვემდებარა და ამ გზით სახელმწიფო მართვა-გამგეობა და მისი უსაფრთხოება ერთმანეთთან ორგანულად დააკავშირა.

ზოგჯერ, როცა ამ მოვლენაზე ლაპარაკობენ, დავით აღმაშენებელს აკრიტიკებენ — ქვეყანა მსტოვრებით აავსო, ყველა თემში, ყველა სოფელში მსტოვარი ჰყავდაო (გავიხსენოთ, თუნდაც 300 მანდატურის სახლი), მაგრამ ქვეყნის მაშინდელ ნამდვილ უსაფრთხოებას სწორედ ასეთი პრიმიტიული „საჯარო და სახალხო“ სისტემა სჭირდებოდა მტრული ელემენტების ხელყოფისაგან, თანამედროვეობაში ეს საკითხი ფრთხილ და სათუთ მოპყრობას მოითხოვს თითოეული ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მეტად დამაფიქრებელი, მე ვიტყოდი, საგანგაშო მდგომარეობა:

ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალ რეფორმებში ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ მიზნით და იმ სტრატეგიული მიმართულებით, რომ მხარის, თემის, თუ თითოეული სოფლის უსაფრთხოების მთელი კომპლექსი, ეკოლოგიური უსაფრთხოებიდან დაწყებული, დესტაბილიზაციის თავიდან აცილებისა და წესრიგის დაცვით დამთავრებული, ხალხის ადგილობრივი ძალებით უნდა იყოს უპირატესად უზრუნველყოფილი, გარდა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული და საგანგებო საერთო-სახელმწიფო მდგომარეობისა.

არ შეიძლება შენს სახელმწიფოში, შენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები წარმატებით იყენებდნენ „მსტოვართა“ ინსტიტუტს“ შენივე მოქალაქეების ხელისშეწყობით და შენ გულხელდაკრეფილი უყურო ამას. იმის შიშით, რომ „აღმაშენებლის დრო არ მოვიყვანოთ ისევ“ (ღმერთმა ქნას). ვფიქრობ, რომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში თითოეული მოქალაქის სისხლხორცეულ საქმედ უნდა იქცეს აქტიური მონაწილეობა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მხოლოდ ასეთი ფართო სოციალური ბაზით შევძლებთ ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების პრობლემის სრულყოფილ გადაწყვეტას. ამასვე ითვალისწინებს პროგრამის მეორე და მეოთხე მიმართულებათა ცხოვრებაში გატარება — „უშიშროების სტრუქტურების ფუნქციური და ორგანიზაციული გარდაქმნა“ და „დემოკრატიის გაძლიერება“, რაც, ბუნებრივია, მოქალაქეების პატრიოტული და პოლიტიკური აქტივობით არის შესაძლებელი, — ნებით თავის ღვიძლ საქმედ გაიხადოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის, მისი უსაფრთხოების ამოცანები.

ცხადია, რომ ამ მშენებლობას დიდი მხარდაჭერა უნდა ადგილებიდან, რადგან მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მისთვის მტკიცე საძირკვლის მომზადებას და ამავე დროს ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად ზემოთ აღნიშნული პროგრამული მოთხოვნის — „დემოკრატიის გაძლიერებასაც“. ადგილობრივ თვითმმართველობას ამ მხრივაც ალტერნატივა არა აქვს.

საპრეზიდენტო პროგრამის ეს უკანასკნელი სტრატეგიული მიმართულება დღეისათვის არსებული ძველი საბჭოური რგოლების თვისებრივ რეორგანიზაციას თხოულობს, რაც, თავის მხრივ, ორგანულად უკავშირდება მესამე მიმართულებას — „თავდაცვის საბჭოური მოდელის დაძლევას“. ამ მოდელიდან განსაკუთრებულ ანომალიას წარმოადგენს ე. წ. „სამხედრო კომისარიატების“ სისტემა, რომელიც ამასთან, დასამალი არაა, ბიუროკრატიზმისა და კორუფციის დამატებით წყაროს წარმოადგენს ისედაც მოზრდილი ძალოვანი სტრუქტურების მთელ სახელმწიფო სისტემაში. ვფიქრობ, ამ სისტემას რომ რეფორმირება სჭირდება, ცხადზე ცხადია. შეიძლება ითქვას, დრო არ ითმენს (ისე, როგორც არ ითმენს სასამართლოს დიდი რეფორმა, რომელშიც მოიაზრება მთელი სამართალდამცავი სისტემა: პოლიცია, უშიშროება, პროკურატურა, გამოძიება, მოკვლევა და არა მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები, თუნდაც სასამართლო ხელისუფლება. ამის გარეშე ილუზია უფროა სასამართლო ხელისუფლების ახალ პროდუქციაზე ფიქრი მოკვლევის, გამოძიების და პროკურატურის ურეფორმობის პირობებში).

პანკისის ხეობაში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებს, რომ ასეთი ნეიტრალიზება აუცილებელი და გადაუდებელი სადღეისო საქმეა (ალბათ შემთხვევითი არ იყო პრეზიდენტის ამასწინანდელი მინიშნება კახეთიდან დიდი წესრიგის დაწყების შესახებ). იგივე მოვლენები იმაზეც მიგვანიშნებს, რომ თითოეულ კონკრეტულ რეგიონში უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრაში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერაცაა აუცილებელი. ამ მხრივ საქართველოს მთისა და ბარის რეგიონებს თავიანთი ძველი ტრადიციები აქვთ, რომელთაც ხალხი უმეტესად დღესაც იცავს. როდესაც 1918-20 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეფორმების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას განსაზღვრავდა, ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „...ჩვენი უძლიერესი და უძველესი ეროვნული მემკვიდრეობის გამოყენების მნიშვნელობას ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაში“.

ამ დიდმნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მითითების გათვალისწინება აუცილებელია დღევანდელი გარდამავალი პერიოდის რეფორმების გატარების დროსაც. განსაკუთრებით ბევრი ეროვნული ტრადიციაა შემორჩენილი ადგილობრივ მმართველობაში ხალხის უშუალო და აქტიური ჩართვის თვალსაზრისით. „ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაშია ჩვენი ხსნა“, — ხაზგასმით აღნიშნავდა დიდი ივანე და ამის დასტურად მოჰყავდა „მამასახლისის“, „კომლის“, „ხევისბერისა“ და „ერთა საბჭოს“ ინსტიტუტები, როგორც „საყრდენი თვითმმართველობისა და ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული ბუნებისა“.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაამართლებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოსწრებულად შერქმეული „მცირე კონსტიტუცია“ მასში ჩადებულ დიდ პოლიტიკურ აზრსა და მიზანს — „ქვეყნის უშიშროებისა და თავდაცვის ერთიანი სისტემის ფორმირება“ გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. ამ გაგებით რუსული მასმედიის მიერ სავიზო რეჟიმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი და მასთან დაკავშირებული ანტიქართული ინსინუაციები კვლავ ბუმერანგივით დაუბრუნდებათ მის ინიციატორებს, როგორც ეს აფხაზეთის სამხედრო ავანტიურის დროს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ უწინასწარმეტყველა მის ინსპირატორებს.

უეჭველია, რომ მოვლენების შემდგომი განვითარება კიდევ უფრო ნათელყოფს ამას და ჩვენც საშუალება გვექნება უფრო კონკრეტულად, უემოციოდ და მიუკერძოებლად, სამართლიანად და ობიექტურად ვილაპარაკოთ საერთაშორისო ურთიერთობათა იმ უპრეცედენტო ფაქტზე, როცა „თანამეგობრობის“ ერთი ქვეყანა ასეთ არამეგობრულ აქტებს ახორციელებს მეორე ქვეყნის მიმართ, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რას მოუტანს ეს ყველაფერი ხვალ და ზეგ თანამეგობრობას, რუსეთს და საქართველოს; იყო კი ეს ყველაფერი ინიციატორების მხრიდან პრაქტიკული პოლიტიკის მიზნით გადადგმული ნაბიჯი თუნდაც მათი ქვეყნისათვის, საერთაშორისო იმიჯს თავი რომ დავანებოთ?

ჯემალ გახოკიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13.

განსჯა

რა არის ვლადისლავ არძინბას თვითდაჯერებულობის მიზეზი?

ასეთი კითხვა გამიჩნდა ჯერ კიდევ 1999 წლის 7-9 ივლისს სტამბოლში საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის გამართულ მორიგი მოლაპარაკებების დროს არძინბას თვითდაჯერებული და ლამის გამომწვევი ქცევისა თუ განცხადებების გამო, რამაც ჩვენს საზოგადოებრიობაში საკმაო გაღიზიანება გამოიწვია. ამ კითხვაზე კიდეც შევეცადე გამეცა პასუხი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1999 წლის 20 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „რას გვიკარნახებს მწარე გამოცდილება“, სადაც აფხაზ სეპარატისტებთან ინფორმაციულ ომში ჩვენი წარუმატებლობის მიზეზებზე მქონდა საუბარი.

ცხადია, სტამბოლის მოლაპარაკებებმაც არაფერი ხელშესახები არ მოგვცა და არძინბას თვითდაჯერებულობამაც მხოლოდ იმატა. ამისი მაჩვენებელია არძინბას მიერ 2000 წლის 14 თებერვალს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, ბატონ კოფი ანანისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი ადანაშაულებს გაეროს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიმართ უსამართლობაში და, კერძოდ, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების უგულებელყოფასა თუ მათი შინაარსის სეპარატისტული ხელისუფლების საზიანოდ შეცვლაში. არძინბას ამ წერილს საფუძვლიანი პასუხი გასცა ბატონმა ლევან ალექსიძემ (გაზ. „სვობოდნაია გრუზია“, 28 მარტი, 2000 წ.). მაგრამ არძინბა თავისას განაგრძობს და „ნეზავისიმაია გაზეტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც 2000 წლის 29 სექტემბერს გამოქვეყნდა, პირდაპირ აცხადებს: „აფხაზეთი არასოდეს არ გახდება საქართველოს ავტონომიური ერთეული“. მეტად ნიშანდობლივია ის რეკლამა, რომელსაც გაზეთი უკეთებს ამ პუბლიკაციას და თვით არძინბას პიროვნებას, როგორც „რესპუბლიკის პრეზიდენტს“. გაზეთის სარედაქციო წინათქმაში აღნიშნულია: „30 სექტემბერს სრულდება 7 წელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედების შეწყვეტის დღიდან. ამ თარიღის წინ აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მისცა ინტერვიუ „ნეზავისიმაია გაზეტასათვის“.

ინტერვიუს ამშვენებს ვ. არძინბას სურათი სამუშაო პოზაში, ქაღალდებით ხელში, წარწერით: „აფხაზეთის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა კვლავ არის ამიერკავკასიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი პოლიტიკოსი“ (მითითებულია ფოტოს ავტორიც).

აქვეა მსხვილი შრიფტით გაკეთებული განცხადება: „რესპუბლიკის პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა არასწორად თვლის რუსეთის ბაზის გაყვანას გუდაუთიდან“. ჩანს, ინტერვიუში ეს პუნქტი რედაქციას განსაკუთრებით აღელვებს.

როგორც ვხედავთ, გაზეთი არ იშურებს საშუალებებს არძინბას ავტორიტეტის წარმოსაჩენად, მაგრამ მთავარი ის არის, რას გვთავაზობს ეს უკანასკნელი თავის ინტერვიუში, რასაც „ნეზავისიმაია გაზეტა“ ხალისით აცნობს თავის ფართო მკითხველს.

ვ. არძინბასათვის დასმული პირველი კითხვა ეხება აფხაზეთში სიტუაციის მოგვარების შესახებ მოლაპარაკებათა პროცესის მდგომარეობას და დევნილი მოსახლეობის დაბრუნებას. ვ. არძინბა კმაყოფილებით აღნიშნავს „საქართველოსა და აფხაზეთს შორის“ წარმოებულ იმ მოლაპარაკებათა შედეგებს, რომელნიც მიზნად ისახავენ უსაფრთხოების ზონაში სტაბილურობის დამყარებას და შეიარაღების შეზღუდვას. მას მოსწონს მხარეთა შორის ხელმოწერილი დოკუმენტები, რომელნიც გულისხმობს ერთობლივი ჯგუფების შექმნას ტერორიზმისა და სხვა „პოლიტიკურად მოტივირებული სამართალსაწინააღმდეგო ფაქტების“ შესწავლასა და იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, რომელნიც მოუწოდებენ კონფლიქტის ძალისმიერი ხერხებით გადაწყვეტას. ყველა ეს ღონისძიება, არძინბას აზრით, უნდა განხორციელდეს სამშვიდობო ძალების და გაეროს მეთვალყურეთა მონაწილეობით და კონტროლით. ამასთან, მისივე აზრით, ახალი ომის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ მშვიდობის დამყარების შესახებ შეთანხმების ხელისმოწერით. რომელიც დაემყარება ეფექტიან საერთაშორისო გარანტიებს. იგი სინანულს გამოსთქვამს იმაზე, რომ მხარეები უკვე ორი წელია ვერ შეთანხმებულან ამ დოკუმენტის ტექსტის თაობაზე. ვ. არძინბას თანახმად, ეს დოკუმენტი შეიცავს პაქტს გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების შესახებ, მაგრამ რადგან „ქართული მხარე“ დევნილთა დაბრუნებას მხოლოდ პოლიტიკურ საკითხად მიიჩნევს გალში თავისი იურისდიქციის აღსადგენად და ცდილობს ხელი შეუშალოს დაბრუნების პროცესს, მან ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება მათი დაბრუნების შესახებ. ამის შედეგად გალის რაიონში თითქოს დაბრუნდა დევნილთა უმრავლესობა და მათი რიცხვი აქ შეადგენს 60 ათასს. არძინბა ურჩევს „ქართულ მხარეს“, თავი დაანებოს ამ ადამიანთა „ხურდა ფულად“ გამოყენებას პოლიტიკურ თამაშში.

სურათი ნათელია. არძინბა მისალმება გარანტიებს მისი რეჟიმის წინააღმდეგ ძალის გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ანუ ე. წ. „სტაბილურობის“ შესანარჩუნებლად და დევნილებზეც იჩენს „მზრუნველობას“, რასაც თურმე არ აკეთებს „ქართული მხარე“ პოლიტიკური ინტერესების გამო.

მეორე კითხვაა, როგორ ესახება არძინბას აფხაზეთის სტატუსი?

პასუხი ამ კითხვაზე არძინბასათვის მხოლოდ ერთმნიშვნელოვანია: „აფხაზმა ხალხმა აირჩია დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების გზა და მისი ეს ნება კიდევ ერთხელ დადასტურდა 1999 წლის 3 ოქტომბერს გამართული რეფერენდუმით“. არძინბა, ცხადია, არ აზუსტებს იმას, თუ რა იგულისხმება „აფხაზეთის ხალხში“ („народ Абхазии“) და არც იმას, რომ ფაქტობრივად ამ „რეფერენდუმში“ არ მონაწილეობდა აფხაზეთის 300 ათასი მცხოვრები, არა მარტო ქართველები (240 ათასი), არამედ რუსები, ბერძნები, სომხები და თვით ის აფხაზებიც, რომელთაც დატოვეს აფხაზეთი. ხოლო თუ ამათგან ვინმე დარჩა, ეს ტერორიზებული რამდენიმე ასეული ადამიანია (გალის რაიონის მოსახლეობა აქ გამორიცხულია). მაგრამ რიხით ნათქვამი „აფხაზეთის ხალხი“, ჩანს, შთამბეჭდავია, განსაკუთრებით რუსეთის სახელმწიფო დუმის ზოგიერთი წევრისათვის.

მეორე „უცილობელი“ არგუმენტი აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრისათვის არძინბასათვის არის 1994 წლის 4 აპრილს გაკეთებული ერთობლივი „განცხადება“ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ღონისძიებების გასატარებლად, რომელსაც ხელს აწერდნენ კონფლიქტში მონაწილე „მხარეები“, ე. ი. საქართველოს ხელისუფლების და სეპარატისტული ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, აგრეთვე, გაეროს, ეუთოს და რუსეთის წარმომადგენლებიც. ამ „განცხადებას“ ემყარება არძინბა კოფი ანანისათვის 2000 წლის 14 თებერვალს გაგზავნილ წერილშიც და მისი პირობების დარღვევაში ადანაშაულებს გაეროს.

რადგან ეს „განცხადება“ ლეგალურად აქვს განხილული ლ. ალექსიძეს „სვობოდნაია გრუზიაში“ გამოქვეყნებულ ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ წერილში, მას აღარ შევეხები, მხოლოდ იმას კი აღვნიშნავ, რომ არძინბა სრულიად თვითნებურად აცხადებს, თითქოს ამ „განცხადებამ“ „დააფიქსირა აფხაზეთისა და საქართველოს შორის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი დამოკიდებულების არარსებობა“. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ არ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების არც ერთი დოკუმენტი, სადაც არ იყოს დადასტურებული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უცილობლობა და აფხაზეთის მის შემადგენლობაში ყოფნა (ამასვე აღიარებს რუსეთის ფედერაციის ყველა სახელმწიფოებრივი ინსტანციაც), აფხაზეთს საქართველოსთან აკავშირებს ყველა კონსტიტუციური დოკუმენტი, რომელიც მიღებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც — იგივე საქართველოს ხელისუფლების 1992 წლის გადაწყვეტილება 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმების შესახებ და, მით უმეტეს, 1995 წლის კონსტიტუცია.

და, თუკი მშვიდობის შესახებ „განცხადებებსა“ თუ შეთანხმებებს ასეთი ძალა შეიძლება მიენიჭოს, რატომ არღვევდა „აფხაზური მხარე“ ომის დროს რუსეთის ინიციატივითა და მონაწილეობით დადებულ შეთანხმებებს (მოსკოვისა თუ სოჭის), რის შედეგადაც ყოველთვის „ქართული მხარე“ მარცხდებოდა?

ასე რომ, არძინბას განცხადება — აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში შეყვანის მოდელის ჩვენთვის თავზე მოხვევის ყოველგვარი ცდები წარმოადგენს 1994 წლის 4 აპრილის განცხადების უხეშ დარღვევას და მოწესრიგების პროცესის მხოლოდ ჩიხში შეყვანა შეუძლიაო, წმინდა წყლის დემაგოგიაა. კონფლიქტის მოწესრიგება რომ უკვე დიდი ხანია ჩიხშია მოქცეული, ეს ფაქტია, მაგრამ არა დასახელებული „განცხადების“ პირობების შეუსრულებლობის გამო, არამედ სეპარატისტული ხელისუფლების და პირადად არძინბას „პრინციპულობის“ ანუ სიჯიუტის წყალობით.

შემდეგი კითხვა ეხება რუსეთის „სამშვიდობო ძალების“ როლს. არძინბას აზრით, ეს ძალები რეგიონში სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად, ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ ამოცანებს. ამის დამადასტურებელია ის, რომ 7 წლის მანძილზე არ წარმოებს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები. არძინბა „სამშვიდობო ძალების“ დამსახურებად მიიჩნევს იმასაც, რომ ვითომდა მათ 1998 წლის მაისში არ დაუშვეს კონფლიქტის ზონაში ორივე მხარის მძიმე ტექნიკის შეყვანა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში 40 ათასი ქართველის გამოდევნა გალის რაიონიდან სწორედ სეპარატისტთა ძალების მიერ მძიმე ტექნიკის გამოყენებით მოხდა. არძინბა საჭიროდ მიიჩნევს სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებას და წინააღმდეგია მათთვის საპოლიციო ფუნქციების დაკისრებისა, რის შესახებაც ქართული მხარე აყენებს საკითხს. იგი უკმაყოფილოა იმით, რომ უკანასკნელი ცდილობს შეცვალოს სამშვიდობო ძალების მანდატი, რითაც ქმნის არაჯანსაღ ატმოსფეროს და უშლის მათ ხელს შეასრულონ დაკისრებული ამოცანა. არძინბას აზრით, სამშვიდობო ძალები უნდა დარჩნენ აფხაზეთში კონფლიქტის სრულ მოწესრიგებამდე და მათ გარშემო სპეკულაციას ბოლო უნდა მოეღოს. არძინბამ იცის, რომ კონფლიქტის „საბოლოო მოწესრიგებას“ იმ სახით, როგორც მას წარმოუდგენია, ბოლო არ ექნება და, ამდენად „სამშვიდობო ძალებიც“ აქ გაურკვეველ დრომდე უნდა დარჩნენ და უზრუნველყონ საზღვარი თვითგამოცხადებული რესპუბლიკისათვის.

ედიშერ ხოშტარია-ბროსე.

(გაგრძელება იქნება).

ნანა დევდარიანი თენგიზ ასანიძის თბილისში ეტაპირებას ითხოვს

ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის ყოფილი დირექტორის, პრეზიდენტის მიერ 1999 წლის აპრილში შეწყალებული და ამჟამად ბათუმის იზოლატორში მყოფი თენგიზ ასანიძის საკუთარ სასამართლო პროცესზე დასასწრებად თბილისში ეტაპირების მოთხოვნით სახალხო დამცველის მოადგილემ თემურ ლომსაძემ მიმართვა გაუგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს სოსო გოგიტიძეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს განუცხადა სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა, იგი საჭიროდ მიიჩნევს გასული წლის 28 ნოემბრის უზენაესი სასამართლოს განჩინების შესრულებას ასანიძის საკუთარ პროცესზე დასწრებასთან დაკავშირებით. ამის გამო დევდარიანი ოთხშაბათს დილით კიდევ ერთ მიმართვას გაუგზავნის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს.

სახალხო დამცველის თქმით, ანალოგიური მიმართვები ორშაბათს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა გაუგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს.

თენგიზ ასანიძის სასამართლო პროცესი უზენაეს სასამართლოში მიმდინარე წლის 24 იანვარს არის დაგეგმილი.

აზერბაიჯანში მზადდება მსხვილმასშტაბიანი ამნისტია

ოთხშაბათს სტრასბურგში დაგეგმილი აზერბაიჯანის ევროპის საბჭოში მიღების საკითხის განხილვის წინ, პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ქვეყნის მილი მეჯლისს განსახილველად წარუდგინა მსხვილმასშტაბიანი ამნისტიის შესახებ ბრძანებულების პროექტი.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს აზერბაიჯანის პრეზიდენტის პრესსამსახურში, ამ პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია დაახლოებით 9 ათასი ადამიანის ამნისტია.

პატიმრობიდან გათავისუფლდება აზერბაიჯანის 2300 მოქალაქე, 800-ს სასჯელი გაუნახევრდება. ასევე ამნისტია შეეხება პირობითად მისჯილ 4400 პირს, 1300-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდება, გაათავისუფლებენ 120 სამხედრო მოსამსახურეს, რომლებიც დისციპლინურ სამხედრო ნაწილებში იხდიდნენ სასჯელს.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

საფიქრალი

არავის აქვს უფლება ამ შიშს, ამ ინტუიციას ანგარიში არ გაუწიოს

სამცხე-ჯავახეთის ქართული სოფლები მომხდური მტრის დამხვდური „მოყვრის“ ხელშეწყობით თითქმის განადგურდა და ვერანთა ბუდედ იქცა. ეს პროცესი საქართველოს დამოუკიდებლობის და შემდგომ წლებშიაც გრძელდებოდა, მაგრამ სრულიად სხვა ფორმით. მაგალითად, იმის მაგიერ, რომ გათურქებული ქართველები თავად დაბრუნებოდნენ თავიანთი ერის ზნე-ჩვეულებებს, ენას (რისი რეალური საშუალება მაშინ მათ ნამდვილად ჰქონდათ), პირიქით, თურქებთან ერთად ავიწროებდნენ სოფლებში დარჩენილ ქართულ ოჯახებს, არ აძლევდნენ სარწყავ წყალს, შეშას, საძოვრებზე ჰპარავდნენ პირუტყვს, აშინებდნენ მწყემსებს, მეველეებს, ღამით იარაღით თავს ესხმოდნენ ხალხს და ამ გზით იძულებულს ხდიდნენ მათ, როგორც სოფლის და ამ კუთხის უკანასკნელ „მოჰიკანებს“, უარი ეთქვათ ქართველობაზე, ანდა თავიანთი საცხოვრებელი ჩალის ფასად გაეყიდათ.

საყურადღებოა ისიც, რომ თურქებსა და გათურქებულ მესხებს ამ საქმეში სომხების მხრიდანაც გამოუჩნდათ მიმდევრები, რის შედეგადაც როგორც ახალქალაქის, ისე ახალციხის მახლობელი სოფლები ქართველი მოსახლეობისაგან თანდათან დაცარიელდა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ეს ავადმყოფობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც გავრცელდა და, თუ ასე გაგრძელდა, იგი კარგს არაფერს გვიქადის.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი გარემოება: როცა ქართველი მოსახლეობა შევიწროების გამო მთავრობის რომელიმე ინსტანციაში საჩივარს სწერდა, ისინი ყოველთვის მტყუანი გამოდიოდნენ, რადგან თურქთა ბინის გაჩხრეკისას მათ იარაღი ვერასოდეს უპოვეს. ბოლოს გაირკვა და შემოწმებითაც დადასტურდა, რომ ისინი იარაღს სოფლის სასაფლაოებზე სპეციალურად გაჭრილ საფლავებში მარხავდნენ. როცა ეს გარემოება გაირკვა, უკვე გვიან იყო... ომი დაიწყო... ამ საქმისათვის მთავრობას აღარ ეცალა... ამის გამო სამცხეში მცხოვრები თურქები და მათი დამქაშები კიდევ უფრო გათავხედდნენ, ბანდიტობასთან ერთად არც ჯაშუშობაზე ამბობდნენ უარს. სტუმრობაც კი ჭირდა ამ მხარეში მათი მიზეზით. სხვადასხვა რაიონში ჩასახლებულებს საშუალება არ ჰქონდათ სამშობლოში დარჩენილი თითოოროლა ნათესავი მოენახულებინათ. ეს განსაკუთრებით ომის წლებში გამოვლინდა. გავიხსენებ ერთ შემთხვევას, რომელიც მკითხველისათვის შეიძლება მოსაწყენიც კი იყოს, მაგრამ მან სამუდამო დაღი დაასვა ჩემს მახსოვრობას... ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო 1934 წელს ჩვენი ოჯახი სოფელ ხიზაბავრიდან ბაღდათში გადასახლდა... ყმაწვილი ვიყავი და ვერ შევეჩვიე ახალ ყოფას. სულ ის მიწა მედგა თვალწინ, სადაც ბავშვობა გავატარე, ძნელი იყო უმისობა... მერე სურვილის ასრულების მომენტიც გამოჩნდა და მხარზე ღვინით სავსე ტიკჭორითა და ჩემოდნით ხელში გავეშურე. საღამო ხანს ახალციხიდან ავტობუსმა გამასწრო და ფეხით მომიწია სიარული...

რა დამავიწყებს, რაც გადამხდა, როცა თურქებს გადავეყარე... ძლივს გადავრჩი ცოცხალი მხოლოდ იმიტომ, რომ შელამებისას თავის გასამხნევებლად სიმღერა წამოვიწყე... თურმე არ უნდა მემღერა ქართულად (?!). ბედად ჯარისკაცებმა გამოიარეს და იმათ გადამარჩინეს, თორემ სიცოცხლედ დამიჯდებოდა მშობლიური მიწის მონატრება და ბავშვური შიშის დასაძლევად წამოწყებული ქართული სიმღერა.

ჩემი ბავშვობის ეს და სხვა მოგონება, რომელიც მშობლიურ კუთხის ავბედობასთანაა დაკავშირებული, ძველი ჭრილობის გახსნას უფრო ჰგავს; იგი დღესაც მწარავს, გულს მიკლავს და მეხსიერებიდან არ ამოდის. ახლა ცდილობენ კვლავ დაგვიპირისპირონ ახალი „პრობლემა“ „თურქი მესხებისა“. ან რატომ მიიჩნევენ ამ საკითხს პრობლემად? თუ „თურქ მესხებს“ არ სურთ ფერგანში, თავის ტომთან ახლოს მდგომი ხალხის გვერდით ცხოვრება, ან ვერ ეგუებიან მათ, მაშინ მოიქცნენ ისე, როგორც 1829 წელს მოიქცა ასი ათასობით გამაჰმადიანებული ქართველი; მოიქცნენ ისე, როგორც ამას უხმაუროდ და კაცურად აკეთებს ჩვენს მიწაზე ოდითგან შემოხიზნული გულმართალი ებრაელი ერის წარმომადგენლები. მათ ხომ ყველას გასაგონად საჯაროდ განაცხადეს, რომ „სხვის მიწაზე მასპინძლობის დაჩემება უზნეობაა, რომელიც თავის მხრივ სულიერ სიმწირეს შობს“. ამ პატიოსანი ერის შვილებმა, მავანთა და მავანთა გასაგონად, ისიც თქვეს, რომ „მათ შვილებს არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ ადამიანური ღირსებაც სჭირდებათ — ღირსება მამებისა, ღირსება საკუთარი მეობის“ (გაზ. „კომუნისტი“, №187, 1989).

აქედან გამომდინარე, მე პრობლემად ის უფრო მიმაჩნია, რომ ვიღაცის კარნახით ან საამებლად, სამცხე-ჯავახეთში, კანონიერად ჩასახლებული ქართველები შევავიწროვოთ და მათ ადგილას უკანონოდ, ჩვენდა საზიანოდ, ამ მხარის ამაოხრებელი „თურქი მესხები“ ჩავასახლოთ. მით უმეტეს, რომ დღევანდელ საქართველოს მათი მსგავსი ზრახვების მქონე ხალხი არ აკლია.

ზემოთ თქმულს კიდევ ამას დავძენ: როცა 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან თურქების გასახლების ამბავმა იმერეთსაც მიაღწია, სათანადო ორგანოებმა თავი მოუყარეს იქ როგორც დროებით, ისე მუდმივად მცხოვრებ სამცხე-ჯავახელებს, საერთო კრება ჩაუტარეს და თავის კუთხეში დაბრუნება შესთავაზეს. აღუთქვეს მატერიალური დახმარება, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაგრამ იმერეთიდან წასვლაზე ბევრმა უარი თქვა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თურქების გასახლების ამბავი მაშინ ბევრს არ სჯეროდა, განსაკუთრებით, ხანდაზმულთ. ისინი ამბობდნენ: მენშევიკური მთავრობაც ეგრე გვპირდებოდა, ამერიკიდან ჩამოტანილი თეთრი ფქვილით სავსე ტომრებიც კი დაგვირიგეს, კახეთს შეხიზნულები უკან დავბრუნდით, მაგრამ მისვლიდან ათი დღის შემდეგ თათრების ტალღამ ისევ გადაგვიარა, ყველაფერი მათ დარჩათ, ჩვენ კი ისევ ავიყარენით დედა-ბუდიანად და გზას ბრძოლით ვიკვლევდით ბაკურიანამდე. ჩვენსავე სამშობლოში ვეძებდით თავშესაფარს; ბრძოლის ველზე ვტოვებდით დაუმარხავ მკვდრებს. ვინც ცოცხალი დავრჩით, ახლა იმერეთს შემოვეხიზნეთო. ამ მოტივით ბევრმა მათგანმა სამკვიდროში დაბრუნებაზე ცივი უარი განაცხადა, ხოლო როცა წასვლაზე ძალა დაატანეს, ზოგიერთმა ფეხზე მდუღარე დაისხა: „მე ამ ფეხით იქ წამსვლელი არ ვარ და თუ ძალით წამიყვანთ, იმასაც ვნახავთო“, ამბობდნენ.

მე, მაშინ უკვე მოზარდს, ძალიან მიკვირდა და მაოცებდა ამგვარი საქციელი, მეგონა, რომ იგი დიდი შიშით იყო გამოწვეული. ახლა კი ვფიქრობ, მათი ამგვარი გადაწყვეტილება მარტო დიდი შიშით კი არა, იქნებ დიდი ინტუიციით იყო ნაკარნახევი. არავის არა აქვს უფლება ამ შიშს, ამ ინტუიციას ანგარიში არ გაუწიოს.

დავფიქრდეთ! ვისაც საქართველოს დღეგრძელობა-სიცოცხლე სურს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მიწა უნდა უყვარდეს. რადგან მშობელი მიწის სიყვარული შობს ყველა სხვა დანარჩენის სიყვარულსა და პატივისცემის გრძნობას!

პავლე ფირფილაშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 14. ხუთშაბათი. 18 იანვარი. 2001 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნი

თავი XXIV

ნიცაში ისინი ჩაფრინდნენ, ისე, რომ პარიზში სხვა თვითმფრინავში გადასხდომისას ცდაც კი არ დასჭირებიათ, პარიზში ისინი ჩაფრინდნენ თორმეტს ოცდახუთი რომ აკლდა ავიაკომპანია „ერ-ფრანსის“ 1529-ე რეისით და უკვე საათისა და ათი წუთის შემდეგ ნიცაში გაფრინდნენ შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტიდან, სადაც ჩვეულებრივად ჩადიოდნენ თვითმფრინავები ბერლინიდან. 316-ე რეისი, რომელზეც მათ რეგისტრაციაში გავლა მოასწრეს, იმ ცოტადანაც ერთ-ერთი იყო, რომელიც სწორედ ამ აეროპორტიდან სრულდებოდა. „ეს ფრანსისა“ და „ერ-ინტერის“ თვითმფრინავების უმრავლესობა ნიცაში ორლის აეროპორტიდან დაფრინავდა და მათ კიდევ თითქმის საათი დასჭირდებოდათ, სანამ იქ ჩავიდოდნენ.

ნიცა მათ თბილი ამინდით დახვდა, თითქოს აქ მარტო გაზაფხული კი არ დამდგარიყო, არამედ ზაფხულიც კი მოძალებულიყო. უკვე აეროპორტში მათ იგრძნეს რბილი სიცხე, ასე დამახასიათებელი რომაა ზღვისპირეთის ლაჟვარდოვანი სანაპიროსათვის. ტაქსები პირდაპირ აეროპორტის შენობასთან იდგნენ, დახლთან კი მონაკოში მიმავალი მგზავრების ბილეთებს ატარებდნენ რეგისტრაციაში. თვით „სათამაშო სამთავროში“ არ იყო აეროპორტი, თვითმფრინავები რომ მიეღო და იქით მხოლოდ ვერტმფრენებით მიემგზავრებოდნენ.

ჩინგიზ აბდულაევი

„გუშინდელი დღე მოდის ხვალეს“

აეროპორტის შენობაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო არა მარტო ნიცას, არამედ მისი არანაკლებ ცნობილი მეზობლების – მონაკოსა და კანის ყველა სასტუმროს ნუსხა. თანაც მსურველს შეეძლო, უფასოდ დაერეკა ნებისმიერ სასტუმროში და ნომერი შეეკვეთა. დრონგომ მაშინვე შეამჩნია მთელ მსოფლიოში ცნობილი ოტელის „ნეგრესკოს“ ფირნიში. მისი მზერა რომ დაინახა, პოტაპჩუკი მოიღუშა. ვარსკვლავების რაოდენობაზე დამატებული „ლუქსით“ ის მიხვდა, რომ დრონგო კვლავ შეუკვეთავდა ყველაზე საუკეთესო, და, რასაკვირველია, ყველაზე ძვირ სასტუმროს. მან უკვე გადადგა ნაბიჯი თანამებრძოლისაკენ, რათა მრისხანედ გაწინააღმდეგებოდა, როცა მან ყურმილი აიღო და ინგლისურ ენაზე ოტელ „ნეგრესკოში“ ორი ერთადგილიანი ნომერი შეუკვეთა.

– ამას რატომ აკეთებთ? – ჰკითხა პოტაპჩუკმა, როცა ტაქსის სადგომისკენ გაემართნენ.

– ჩვევაა, – აღიარა დრონგომ, – მე მხოლოდ ძალიან კარგ ოტელებში ცხოვრება მიყვარს, ან ჩემს სახლში.

– სადაა თქვენი სახლი? – ეჭვით ჰკითხა პოტაპჩუკმა.

– საერთოდ მე ორი ბინა მაქვს. – გამოუტყდა დრონგო, – ორ სხვადასხვა ქალაქში, ახლა ორი სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქები რომ გახდა. მაგრამ ჩემი ბუნებით ცოტათი მაინც „მსოფლიო მოქალაქე“ ვარ. ალბათ, მე უფრო კოსმოპოლიტიკური ვარ, ვიდრე თვითონ ვფიქრობ, ერთნაირად კარგად ვგრძნობ თავს ბუენოს-აირესშიც და ნიუ-იორკშიც, პარიზშიც და მადრიდშიც, სტამბოლშიც და პეკინშიც. იქნებ, ეს უბრალოდ ხეტიალის ჟინია, თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

ისინი ტაქსში ჩასხდნენ და დრონგომ ოტელი დაუსახელა. მძღოლმა თავაზიანად დაუკრა თავი და მანქანა ფართო ტრასაზე გავიდა.

– და ყველგან ძვირფას ოტელში ცხოვრობთ? – ჰკითხა პოტაპჩუკმა.

– ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ. ეს დაუჯერებელი სიამოვნებაა, ვიქტორ ნიკოლაევიჩ. მე მესმის, რომ მივლინებების დროს თქვენ გიხდებოდათ ცხოვრება იქ, სადაც მოხვდებოდით, რათა ზედმეტი ყურადღება არ მიგეპყროთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, მე ვიყავი ოფიციალური პირი, გაეროს ექსპერტი. ჩვენ ჩვეულებრივად უმაღლესი კატეგორიის ოტელებს გვირჩევდნენ, მაგრამ ეს ადრე იყო. ახლა კი საკმაოდ კარგი გამომუშავება მაქვს, რათა თავს ასეთი მცირე ფუფუნების უფლება მივცე.

მათ დაუჯერებლად ლამაზი სანახები გაიარეს. მანქანა თითქმის სულ სანაპიროს მიუყვებოდა. მარჯვნივ თვალწარმტაცი, მრავალ კილომეტრზე გადაჭიმული ბულვარი იყო. მარცხნივ კი არანაკლებ ლამაზი შენობები იდგა. ბულვარში მოსეირნეებს არსად ეჩქარებოდათ. ირგვლივ მოშვებულობა და სიმშვიდე გამეფებულიყო.

– მაგათთვის აქ მუდამ გაზაფხულია, – ამოიოხრა პოტაპჩუკმა.

– თქვენ ამინდის მდგომარეობა გაქვთ მხედველობაში თუ სულისა? – დააზუსტა დრონგომ.

– ერთიც და მეორეც, – პირქუშად უპასუხა პოტაპჩუკმა და ყოველგვარი შესავლის გარეშე დაუმატა, – მე იგნატ საველიევთან ამ შეხვედრისა მეშინია. მან, შეიძლება, ჩვენი ლიკვიდაცია გადაწყვიტოს. ჩვენ კი თან იარაღიც კი არა გვაქვს.

– ნუ ფიქრობ, – შეეპასუხა დრონგო, – მას ხომ მაინც უნდა თავის დოკუმენტების გაყიდვა, მაშ მისთვის რა განსხვავებაა, ვის მიჰყიდის მათ? უფრო ხელსაყრელია, ნაცნობ ადამიანებს მიყიდოს. ჩვენი თავიდან მოცილება კი მას მხოლოდ უსიამოვნებასა და ადგილობრივ პოლიციასთან გართულებას მოუტანს.

– თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს საქმე ჩვენ კი არ გვეხებოდეს, არამედ რომელიღაც საქალაქო პარტიას, – ამოიოხრა პოტაპჩუკმა, – ის ძალზე საშიშია, ძალიან! მას პროფესიონალის დახვეწილი ჭკუა აქვს. თქვენ რაციონალური ანგარიში იცით, ის კი ინტუიციას ეყრდნობა, რაც მას იშვიათად ღალატობს. თქვენ ძალიან გაგიჭირდებათ მასთან გამკლავება, დრონგო. თანაც ჩვენ ჩამოვედით მასთან სტუმრად და არა ის ჩვენთან: მაშასადამე, ჩვენი არცთუ ისედაც დიდი შანსები სწრაფად მცირდება.

– ჯერჯერობით ისინი ჩვენ გვაქვს, ჯერ არაფერია დაკარგული, – ჩაფიქრებულად თქვა დრონგომ, – წინ კიდევ დიდი დრო გვაქვს, რაღაც ჭკვიანური უნდა მოვიფიქროთ.

– მე მიმაჩნია, რომ დოკუმენტებისათვის გაცილებით მეტი უნდა მოვითხოვოთ, – შენიშნა პოტაპჩუკმა.

– ეს, როგორც ჩანს, უმთავრესია, რაც თქვენ გაღელვებთ, – ცივად უთხრა დრონგომ, – ნუთუ არ გრცხვენიათ? თქვენ ხომ ოფიცერი იყავით, სუკში მუშაობდით.

– ეს დიდი ხნის წინათ იყო, ჯერ კიდევ წინა ცხოვრებაში – ჯიუტად შეეპასუხა პოტაპჩუკი, – ეხლა ეს არავის აინტერესებს. ყველასათვის მხოლოდ ფულია მნიშვნელოვანი, რამაც ჩვენ შეგვიცვალა „გონება, ღირსება და პატიოსნება“. ისე რომ, აგიტაციას ნუ გამიწევთ. ვიმედოვნებ, თქვენ არ გინდათ, ეს დოკუმენტები უფასოდ ჩააბაროთ საგარეო დაზვერვის სამსახურს? თუ გინდათ, მაშინ მითხარით, და მე ახლავე გადავალ მანქანიდან.

– ჩვენ ხომ კომპანიონები ვართ, – შეახსენა დრონგომ, – მაშასადამე, ყველაფერი ერთად უნდა გადავწყვიტოთ, მოდი, ჯერ დოკუმენტები მივიღოთ, შემდეგ კი გადავწყვიტოთ, რა ვუყოთ მათ.

ავტომანქანამ მარჯვნივ შეუხვია და ოტელ „ნეგრესკოს“ გამოზნექილ, გვერდებმომრგვალებულ შენობასთან გაჩერდა. იმ ცნობილი ადამიანების მრავალრიცხოვნებით, ამ ოტელში რომ ცხოვრობდნენ, მას ტოლი არ ჰყავდა მსოფლიოში, წარმატებით ეპაექრებოდა პარიზის „რიტცას“ და ნიუ-იორკის „პლაზას“.

– რად გვინდა ასეთი ფუფუნება? – მოესმა დრონგოს უკანიდან, როცა მოიხედა, პოტაპჩუკი დაინახა.

– თქვენ მუდამ ასე ჩუმად დადიხართ?

– ჩვევაა, – ჩაიცინა ლიკვიდატორმა, – მე უკვე შევავსე ბარათები. წავიდეთ, მათ ჩვენი ნომრებამდე გაცილება უნდათ.

მათი ნომრების ფანჯრებიდან შეიძლება დაგენახათ „ნეგრესკოს“ მარჯვნივ მდებარე მუზეუმი და სამორინე „რულიც“, ოტელიდან ხუთი წუთის სავალზე, ინგლისურ სანაპიროზე რომ იყო. როცა ფანჯრები გახსნა და გაღიმებულმა მენეჯერმა სანაპიროზე მიუთითა, რამდენადმე შემცბარი პოტაპჩუკი დაეთანხმა.

– ლამაზია.

– მიაქციეთ ყურადღება, – ინგლისურად თქვა მენეჯერმა, – ჩვენი ტელევიზორები „ოსტანკინოსაც“ ღებულობენ მოსკოვიდან. ჩვენთან ხშირად ჩერდებიან სტუმრები რუსეთიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდან. ჩვენ მუდამ მზად ვართ ნებისმიერი სტუმრის მისაღებად. სხვათა შორის, ახლაც ჩვენთან ცხოვრობს კიდევ ერთი სტუმარი, რომელიც, აგრეთვე საბჭოთა პასპორტით ჩამოვიდა.

– უკვე რამდენი წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან, ჩვენ კი მაინც ამ პასპორტებით ვსარგებლობთ, – ჩაიბუზღუნა პოტაპჩუკმა, – გუშინდელ დღეს ვერ გავცილებულვართ.

– წარსული ზოგჯერ აწმყოსაც ეჭიდება, – დაეთანხმა დრონგო.

– სამაგიეროდ, მდიდარი ადამიანების რიცხვი რუსეთში სწრაფად იზრდება, – შეახსენა პოტაპჩუკმა, – თუ შემდეგშიც ასე გაგრძელდება, მალე ისინი რუსეთიდან ყველა არხს დაიჭერენ. ხომ არ დაგავიწყდათ, საღამოს ჩვენ კაზინოში უნდა ვიყოთ? – შეახსენა მან თანამებრძოლს.

– არ დამავიწყდება, – უპასუხა დრონგომ, – ახლა თქვენთან წაბრძანდით, ახლა შხაპი უნდა მივიღო და ტანსაცმელიც გამოვიცვალო.

თარგმნა
ვალიკო სიმონიშვილმა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 2000 წ. № 313-321, 323-334, 337, 339; 2001 წ. № 2-6, 8-13.

მოკლეს კონგოს პრეზიდენტი

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლორან კაბილა მოკლა თავისმა მცველმა, იუწყება ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

სხვა ინფორმაციის თანახმად, კაბილა ჯერ კიდევ ცოცხალია და იმყოფება დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

როგორც „როიტერის“ სააგენტო იტყობინება, უგანდის სპეცსამსახურის მაღალჩინოსანმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ ლორან კაბილა მოკლეს გადატრიალების მცდელობის დროს.

„იგი დაცხრილეს უცნობმა პირებმა... 101 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ იგი მკვდარია“. როგორც მზვერავმა თქვა, მან კაბილას სიკვდილის ამბავი თავისი კინშასელი კოლეგებისაგან შეიტყო.

კაბილას მისმა ერთ-ერთმა მცველმა ესროლა.

ქვეყნის ლიდერის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამდე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატმა უბრძანა არმიას კონტროლი დაეწესებინა დედაქალაქზე, როცა პრეზიდენტ ლორან კაბილას რეზიდენციასთან სროლა ატყდა. დედაქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

ადმინისტრაციის მეთაურმა პოლკოვნიკმა ედი კაპენდმა უბრძანა ჯარებს გადაეკეტათ დედაქალაქის აეროპორტი. პოლკოვნიკმა კაპენდმა, რომელმაც სახელმწიფო ტელევიზიით წაიკითხა მიმართვა, მოსახლეობას სიმშვიდისაკენ მოუწოდა. მას სროლის შესახებ არაფერი უთქვამს.

სხვა ინფორმაციებით, ამჟამად ჩაკეტილია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა საზღვარი.

ხელისუფლება არაფერს იტყობინება უშიშროების სასწრაფო ღონისძიებათა მიზეზების შესახებ, მაგრამ მეთვალყურეთა აზრით, ქვეყანაში იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

კინშასის ბევრმა მცხოვრებმა ტელემიმართვის შემდეგ სახლებს მიაშურა. ქუჩები თვალის დახამხამებაში დაცარიელდა.

როგორც იტყობინებიან, ბელგიის ელჩმა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თქვა, რომ ქალაქში არ მუშაობს ტელეფონები და შეწყვეტილია რადიოგადაცემები.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქაოსმა მოიცვა 1996 წლიდან. მაშინ ამბოხებულებმა რუანდის მხარდაჭერით დაიწყეს საომარი მოქმედება მაშინდელი პრეზიდენტის მობუტუ სესე-სეკოს წინააღმდეგ.

ამ აჯანყების შედეგად, 1997 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ლორან კაბილა. 1998 წლიდან უკვე მას უწევს ბრძოლა ამბოხებულთა თავდასხმების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერს რუანდა და უგანდა.

სულ ცოტა, ექვსი მეზობელი ქვეყანაა ჩაბმული კონგოს კონფლიქტში. ზოგი მხარს უჭერს კაბილას, ზოგი კი – ამბოხებულებს.

სხვადასხვა პარტიზანული დაჯგუფება ამჟამად აკონტროლებს კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით ნახევარს.

კლინტონს ოპერაცია გაუკეთეს

შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბილ კლინტონს გაუკეთეს ოპერაცია, რომლის დროსაც მას მოკვეთეს კიბოს წარმონაქმნი კანზე, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯეიკ სიევერტმა განაცხადა, ზურგზე წარმატებით მოშორებული ახალწარმონაქმნი ზედაპირული კარცინომა იყო. „ეს კანის კიბოს შედარებით ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც აქვს 800 ათასიდან 1 მილიონამდე პაციენტს“, – განაცხადა ჯეიკ სტივერსტმა.

ბილ კლინტონს, რომლის პრეზიდენტობის ვადა 20 იანვარს იწურება, ნახევარი წლის შემდეგ შეამოწმებენ. როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა თქვა, ახალწარმონაქმნის განმეორების რისკი მცირეა.

ამ დაავადების გარდა ექიმებმა ბილ კლინტონს აღმოუჩინეს მომატებული ქოლესტერინი სისხლში. ამასთან დაკავშირებით მას დაუნიშნეს მკურნალობის შესაბამისი კურსი. როგორც ექიმებმა თქვეს 54 წლის კლინტონის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შეერთებული შტატები 5 მილიონ დოლარს გაიღებს

შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ოფიციალურად დანიშნა ჯილდო 5 მილიონი დოლარი ინფორმაციისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს მას დააპატიმროს ადენის ნავსადგურში ამერიკის საესკადრო ნაღმოსნის „კოულის“ წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის ორგანიზატორები ან მონაწილენი. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა თქვა, რომ შესაბამისი განცხადებები გამოქვეყნდება იემენისა და სპარსეთის ყურის რაიონის, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა პრესაში.

გასული წლის 12 ოქტომბერს მოწყობილი აფეთქების შედეგად დაიღუპა საბრძოლო ხომალზე მყოფი 17 ამერიკელი მეზღვაური. იემენის ხელისუფალნი გამოძიების ფედერალური ბიუროს იქ ნასულ თანამშრომლებთან ერთად განაგრძობენ გამოძიებას. ამ დანაშაულში ეჭვმიტანილია „პირველი საერთაშორისო ტერორისტი“ უსამა ბენ ლადენი, რომელიც თავს აფარებს ავღანეთს. კენიასა და ტანზანიაში ამერიკის საელჩოებთან 1998 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ შეერთებული შტატების მთავრობამ მისი თავი 5 მილიონ დოლარად შეაფასა.

დიალოგი ისრაელში განახლდა

ღაზის სექტორში დიდი დაძაბულობის მიუხედავად, სამშაბათს იერუსალიმში სამსაათიანი მოლაპარაკება გაიმართა ისრაელისა და პალესტინის წარმომადგენლებს შორის.

პალესტინის წარმომადგენელმა შეხვედრის დამთავრების შემდეგ თქვა, რომ მხარეებმა ვერაფერ ახალს ვერ მიაღწიეს.

იმავე დღეს საღამოს კი ერეცის გადასასვლელთან დაიწყო მეორე შეხვედრა. როგორც ისრაელის წყაროები იტყობინებიან, მასზე უნდა განეხილათ უშიშროების საკითხები ღაზის სექტორში შეტაკების შეწყვეტის მიზნით.

რეგიონში დაძაბულობა არ ნელდება ორშაბათიდან, როდესაც ისრაელმა წინა დღეს ებრაელი მოსახლის მკვლელობის პასუხად ღაზის სექტორის ბლოკადა გამოაცხადა.

წინა კვირას მოლაპარაკება ისრაელსა და პალესტინის წარმომადგენლებს შორის საკმარის წარმატებით მიმდინარეობდა და ამის შედეგად ისრაელმა შეამსუბუქა ღაზის სექტორში გატარების რეჟიმი. მაგრამ მთელი ეს პროგრესი არარად იქცა ბლოკადის გამოცხადების გამო.

ებრაელი მოსახლის რონი ცალახის გვამი იპოვეს პალესტინელების კონტროლს დაქვემდებარებული ქალაქის ხან-იუნისის ახლოს მინდორში. წინა დღეს ცალახი მოიტაცეს სოფელ კფარ-იამიდან და ისრაელის პოლიციამ ფართო მასშტაბის ოპერაცია წამოიწყო მის მოსაძებნად.

მკვლელობისა თვის პასუხისმგებლობა იკისრა მოძრაობა „ჰამასთან“ დაკავშირებულმა დაჯგუფებამ.

ჰუსეინი მიმართავს მსოფლიოს

სადამ ჰუსეინის ტელემიმართვა ეძღვნება სპარსეთის ყურეში ომის დამთავრების ათი წლისთავს. მისი სიტყვის ერთ-ერთი თემა იქნება ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების საკითხი.

ომის დაწყების წლისთავამდე რამდენიმე საათით ადრე დაახლოებით 1000 კაცი გამოვიდა ბაღდადის ქუჩებში და თავისი პროტესტი გამოთქვა მსოფლიო გაერთიანების პოზიციის წინააღმდეგ. ერაყისათვის სანქციების მოხსნაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც კი არ არის.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მეთვალყურეთა აზრით, „საშინელია“. ისმის ხმები ჰუმანიტარული კატასტროფის შესახებაც. ერაყის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, ომის დაწყებიდან განვლილ პერიოდში, პროდუქტებისა და მედიკამენტების ნაკლებობის მიზეზით გარდაიცვალა ქვეყნის ყოველი მეოცე მცხოვრები.

საინფორმაციო მოზაიკა

BBC, CNN, საქინფორმი.

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები ათანხმებენ ნავთობის მოპოვების შემცირების საკითხს

ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ხელმძღვანელობამ თავის შეხვედრაზე უნდა შეათანხმოს თუ რა რაოდენობით შეამცირონ ნავთობის მოპოვებას დაქვეითებული ფასების აღსადგენად. ანალიტიკოსები იმედოვნებენ, რომ შემცირება შეადგენს დაახლოებით მილიონნახევარ ბარელს დღეში, მაგრამ რილვანუ ლუკმანმა, რომელიც მალე დატოვებს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტს, განაცხადა, რომ სინამდვილეში ნავთობის მოპოვება შეიძლება შემცირდეს ორი მილიონი ბარელით. ნავთობის იმპორტიორები შეშფოთებულები არიან იმით, რომ თუ ნავთობის მოპოვების შემცირება მნიშვნელოვნად გადააჭარბებს ბაზრის მოლოდინს, ფასები შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს. რასაც თავის მხრივ, მოჰყვება ეკონომიკური დაქვეითება.

ფილიპინების პრეზიდენტს კორუფციაში ადანაშაულებენ

ფილიპინების პრეზიდენტის ჯოზეფ ესტრადას იმპიჩმენტის პროცესი გადაიდო სასამართლო სხდომების მონაწილე ყველა პროკურორის გადადგომასთან დაკავშირებით. თერთმეტი პროკურორი, რომლებიც პარლამენტის ქვედა პალატის – წარმომადგენელთა პალატის წევრები არიან, გადადგნენ სენატის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომლის თანახმად სასამართლოზე არ უნდა განხილულიყო პრეზიდენტის საბანკო ანგარიშების დეტალები, რომელსაც ადანაშაულებენ კორუფციასა და მილიონობით დოლარის მითვისებაში. როგორც უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, პროცესი არ განახლდება, სანამ წარმომადგენელთა პალატა არ გადაწყვეტს, ვინ იქნება ბრალდების წარმომადგენელი.

ჯაკარტაში დაარბიეს დემონსტრაცია

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა დემონსტრანტების გასარეკად, რომლებიც მოითხოვენ პრეზიდენტის აბდურახმან ვაჰიდის გადაგომას იმასთან დაკავშირებით, რომ მას ბრალად ედება ორ ფინანსურ სკანდალში მონაწილეობა. ვაჰიდმა ოთხშაბათს უარი თქვა დასწრებოდა პარლამენტის კომისიის სხდომას, მაგრამ, როგორც იტყობინებიან, იგი მზად არის კომისიის წევრები პრეზიდენტის სასახლეში მიიწვიონ.

ჯეკ სტროუ დაგმო ბავშვებით ვაჭრობა

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუ დაგმო ინტერნეტით ბავშვების ყიდვა-გაყიდვა და ასეთ ვაჭრობას სისაძაგლე უწოდა. როგორც სტროუ თქვა, მთავრობა შეისწავლის ექვსი თვის ტყუპი გოგონების საქმეს, რომლებიც დაიბადნენ შეერთებულ შტატებში, და როგორც ამტკიცებენ, ინტერნეტით გაყიდეს, ახლა ისინი ბრიტანეთში იმყოფებიან. გოგონები კალიფორნიიდან წაიყვანა ბრიტანელმა ცოლქმარმა ჯუდით და ალან კილშოუებმა, რომლებმაც ბროკერს გადაუხადეს ფული მათი შვილების უფლებისათვის. ამავე დროს ამერიკელი ალენების ოჯახი ირწმუნება, რომ უკვე ორი თვე ზრდიდა ტყუპებს, ბროკერს კი წინასწარ გადაუხადეს ფული. როგორც ცოლ-ქმარი ირწმუნება, გოგონების დედამ მოტყუებით წაიყვანა ისინი და შემდეგ ხელახლა მიჰყიდა კილშოუს ოჯახს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან
ლია გოგიჩაიშვილი. კახა ქორიძე.

არ ახალია, ძველია

კორსიკა – საფრანგეთის საშინაო პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი თემა

2000 წელს საფრანგეთის საშინაო პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა კორსიკა. კორსიკის თემას დიდი ადგილი ეკავა მთავრობის და პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში და ფართოდ შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ.

რასაკვირველია, კორსიკის საკითხი ახალი წამოჭრილი არ არის. ის მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ევოლუციას. ბოლო წლების განმავლობაში კი საგრძნობლად გამწვავდა, რადგანაც იმატა სხვადასხვა ნაციონალისტური მოძრაობების და მათი მხარდამჭერების მიერ განხორციელებულმა ტერორისტული აქტების რიცხვმა, როგორც თავად კორსიკაზე, აგრეთვე საფრანგეთის კონტინენტურ ტერიტორიაზე. ტერორისტული აქტების ძირითადი მიზანია მატერიალური ზარალი მიაყენოს ცენტრალური ხელისუფლების განმასახიერებელ შენობა-ნაგებობებს და, როგორც წესი, ადამიანთა მსხვერპლს არ იწვევს. საფრანგეთის მრავალი მთავრობა შეეცადა კორსიკის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას, მაგრამ ამაოდ.

იგივეს შეეცადა ხელისუფლებაში მოსვლისას ჟოსპენის მთავრობა, მაგრამ დიდ მიღწევებს და კუნძულზე რესპუბლიკური წესრიგის აღდგენას ვერც მათ მიაღწიეს. სწორედ ზემოთაღნიშნულმა აიძულა ჟოსპენის მთავრობა 1999 წლის დეკემბრიდან მოყოლებული სისტემატიური შეხვედრები გაემართა სხვადასხვა ნაციონალისტური მოძრაობის წარმომადგენლებთან და კორსიკის მოსახლეობის მიერ არჩეულ ლიდერებთან. შეხვედრების მიზანი იყო საფრანგეთის რესპუბლიკის ფარგლებში კორსიკის თავისებურებებისა და ისტორიის უკეთესი გათვალისწინება, დეცენტრალიზაციის პროცესის უფრო გაღრმავებული ფორმით წარმოება და კუნძულის ადმინისტრაციულ მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხებში ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაფართოება და მყარი სამოქალაქო მშვიდობის დამყარება. ამ მიზნით მთავრობამ კორსიკელებს შესთავაზა რეფორმების ციკლის განხორციელება შემდეგ სფეროებში:

– კორსიკის ადმინისტრაციული მოწყობა და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალი საკითხები;

– კუნძულის ფისკალური სტატუსი, მემკვიდრეობით მიღებული ქონების დაბეგვრა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს დაფინანსება;

– კორსიკული ენის სწავლება.

ამ ზომების დაკონკრეტების და ცხოვრებაში გატარების მიზნით, მთავრობამ გადაწყვიტა 2000 წლის შემოდგომაზე სპეციალური კანონის შემუშავება გასატარებელი რეფორმების ჩამონათვალის და მათი განხორციელების ვადების ჩვენებით. აღნიშნული კანონი 2001 წლის გაზაფხულზე პარლამენტს მისაღებად წარედგინება. ჟოსპენის თქმით მთავრობის მიზანია რეფორმების მოქმედი კონსტიტუციის ფარგლებში განხორციელება. მან, აგრეთვე ცალსახად განაცხადა, რომ სისხლიანი ტერორისტული აქტების განმხორციელებლების, კერძოდ კი კორსიკის პრეფექტის კლოდ ერინიაკის მკვლელების მიმართ არავითარ შეწყალებას ადგილი არ ექნება.

მთავრობის მიერ შემოთავაზებულმა ზომებმა კორსიკელების უდიდესი ნაწილის მოწონება დაიმსახურეს. რამდენიმე თვის წინ ტყვიებით დაცხრილეს კორსიკაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა როსი. გამოძიება არ დამთავრებულა, თუმცა მკვლელობას მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების მოწინააღმდეგეებს უკავშირებენ. კორსიკის მოსახლეობის უკანასკნელი გამოკითხვა მოწმობს, რომ 80 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ რეფორმებს და კორსიკის დარჩენას საფრანგეთის შემადგენლობაში. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მკაცრად გააკრიტიკეს ოპოზიციურმა ძალებმა, თუმცა მათ მხარი დაუჭირა ოპოზიციის ისეთმა ცნობილმა ფიგურებმა, როგორიცაა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ედუარდ ბალადიური და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ფრანსუა ლეოტარი. ლიბერალური დემოკრატების ლიდერმა, ფინანსთა და ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ალენ მადლენმა განაცხადა, რომ მიესალმება მთავრობის გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილების გაფართოება შეეხება არა მარტო კორსიკას, არამედ სხვა რეგიონებსაც. მმართველი კოალიციის თითქმის ყველა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ჟოსპენის მთავრობას, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჟან-პიერ შევენმანმა ოპოზიციის მსგავსად გააკრიტიკა ჟოსპენი და მთავრობის ნაბიჯებში კონსტიტუციის დარღვევის და საფრანგეთის სხვა ნაციონალისტური ძალების გააქტიურების საშიშროება დაინახა, რის გამოც, მიუხედავად შევებულებაში გასვლამდე პრემიერ-მინისტრთან ხანგრძლივი შეხვედრისა, საზაფხულო დასვენებიდან დაბრუნების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა.

საფრანგეთის მთავრობამ შეიმუშავა ზემოთ აღნიშნული სპეციალური კანონის პროექტი და ნოემბერში კორსიკის ასამბლეას განსახილველად გადასცა.

კორსიკის ადმინისტრაციულ მოწყობასთან და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით კანონპროექტი ითვალისწინებს დღეს არსებული ორი დეპარტამენტის შერწყმას და ერთ ტერიტორიულ ერთეულად ჩამოყალიბებას 2004 წლისათვის, რაც თავის მხრივ, ისევე როგორც კანონპროექტის ზოგიერთი სხვა დებულება, საფრანგეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას იწვევს. გათვალისწინებულია ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციის გაფართოება შემდეგ სფეროებში:

– ეკონომიკური განვითარება;

– ტერიტორიის კეთილმოწყობა;

– განათლება;

– კადრების პროფესიული მომზადება;

– სპორტი;

– ტურიზმი;

– გარემოს დაცვა;

– ტრანსპორტი;

– ინფრასტრუქტურების მართვა.

კანონპროექტი ითვალისწინებს, აგრეთვე ტერიტორიული ხელისუფლებისათვის გარკვეული საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემას ზემოთაღნიშნული სფეროების ფარგლებში, რომლებსაც საბოლოოდ პარლამენტი განსაზღვრავს და გადაწყვეტს.

კორსიკის ფისკალური სტატუსის ძირითადი მიზანია ინვესტიციების მოზიდვა, ზოგიერთ პრიორიტეტულ სექტორში წარმოების გაფართოება (სასტუმრო მეურნეობა, ახალი ტექნოლოგიები, მრეწველობა, ენერგეტიკა), კუნძულის ნაკლებადგანვითარებული რაიონების ეკონომიკური აღმავლობისათვის ხელისშეწყობა. გათვალისწინებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის განსაკუთრებული განაკვეთის შენარჩუნება. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ქონების მემკვიდრეობით გადაცემის სფეროში, კერძოდ 2001 წლის 1 იანვრიდან აუცილებელი ხდება მემკვიდრეობით მიღებული ქონების დეკლარირება, ხოლო 10 წლიანი გარდამავალი პერიოდის შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული ქონება დაიბეგრება, ამასთან პირველ ხანებში დაბალი განაკვეთით.

რაც შეეხება კორსიკული ენის სწავლებას, გამოიყოფა შესაბამისი საათები დაწყებით კლასებში და ამ ენას მოსწავლეები შეისწავლიან მშობლების თანხმობის შემთხვევაში, რაც პრემიერ-მინისტრის აზრით გამორიცხავს კორსიკული ენის აუცილებელ შესწავლას და მას ნებაყოფლობითი ხასიათი ექნება.

დეკემბრის დასაწყისში კორსიკის ასამბლეამ ფართოდ იმსჯელა მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტის შესახებ და დიდი უმრავლესობით მოიწონა მასში დაახლოებით 90 შესწორების შეტანის შემდეგ. გადამუშავებული კანონპროექტის პარლამენტისათვის წარდგენა 2001 წლის გაზაფხულზეა გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ყოველნაირად თავს არიდებდა კონკრეტულ საუბარს კანონპროექტის შესახებ და თავისი მოსაზრება პირველად 14 დეკემბრის ტელეინტერვიუში გამოხატა. პრეზიდენტ შირაკის აზრით, ყოველმხრივ მისასალმებელია დეცენტრალიზაციის პროცესი და ტერიტორიული ხელისუფლების კომპეტენციის გაფართოება, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა, რადგან საქმე ეხება ტერიტორიული ხელისუფლებისათვის გარკვეული საკანონმდებლო უფლებამოსილების გადაცემას. პრეზიდენტის აზრით, იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთის სხვა რეგიონებიც მოითხოვენ მსგავს შეღავათებს და უფლებამოსილებას, საფრანგეთი შეიძლება ერთიანი რესპუბლიკიდან რეგიონების ფედერაციად გადაიქცეს, რაც რესპუბლიკურ პაქტს ძირფესვიანად ცვლის და ითხოვს საკონსტიტუციო რეფორმას და რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობას. ამასთან პრეზიდენტი არ დაეთანხმა პრემიერ-მინისტრის შეფასებას კორსიკული ენის სწავლების ნებაყოფლობითი ხასიათის შესახებ და განაცხადა, რომ ამ საკითხში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა.

რასაკვირველია, წინასწარ ძნელია განისაზღვროს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები კორსიკის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ კორსიკის საკითხი მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო საარჩევნო კომპანიების ერთ-ერთი სერიოზული თემა იქნება.

ამბროსი თითბერიძე,
ვლადიმერ ზარიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

პარიზი, 2001 წლის 15 იანვარი.

მოგზაურობა

Ex Africa Semper Novi —
აფრიკას ყოველთვის მოაქვს რაიმე სიახლე.
(ახლო აღმოსავლეთის ძველ ხალხთა თქმულებიდან).

ლეშიჭამია ფრინველები მარტორქას გვამზე.

არნოლდ გეგეჭკორი

წეროების გზით — ტროპიკულ აფრიკაში

სერენგეტი - ფაუნის მარადიული დღესასწაული

მსგავსად ჩლიქოსანთა მოდგმის მრავალი ბინადრისა, ბევრი ტახიც ამჯობინებს ოჯახის, კოლტის გარეშე მყუდრო ცხოვრებას. ტრამალთა მტრულ გარემოში ეულსა და განმარტოებულს ხშირად ემართება ელეთმელეთი. ასეთ შემთხვევაში დაოთხილი შველის თავს. თითქოს საბოლოოდ სურსო დაგამახსოვროს თავი. გაქცეული ფუნჯიან კუდს ანძასავით, შვეულად აპრიხავს.

ეტყობა, ჩვენ მძღოლსაც დაუჯდა ჭკუაში დასრულებული სახით შეგვეხედოს ნადირის ეგზომ ექსცენტრიკული გარეგნობისათვის — მანქანის სიჩქარეს უმატა და ნადირისკენ მკვეთრად შეუხვია. ელდანაკრავმა უსახურობამაც არ დაგვემადლა კუდის ანძად ასროლა და ასე მოქუსლა.

მშვენიერება-სიმახინჯის მეორე პოლუსის წარმომადგენელთა შორის არანაკლები ადგილი უკავია ხალებიან აფთარს. ამ დილით გრუნტის გზის პარალელურად ნადირთა გაკვალულ ბილიკზე ისიც დამარტოხებულა. მოგვიბრუნდა. ამღერეული თვალებით ქვემ-ქვემ იცქირება, თითქოსდა თავს გვაცოდებს: „შეხედეთ, რა მშიერი ვარ, ფერდები არც კი მამჩნევია“.

„ჩვენი თანამგზავრი“ ხალებიანი აფთარი.

— ვინ უფრო საზარელია, მეჭეჭებიანი ღორი, თუ ეს უპროპორციო, კადნიერი ლეშისმჭამელი“, გავიფიქრე გუნებაში. ხედავს, ვერ შეგვეცოდა თავი. მაინც მოგვდევს. საკვირველია, თითქოს მოძუნძულებს, საშუალო სიჩქარით მავალ მანქანას კი არ ჩამორჩა. „ნეტავ რა ეშმაკი უნდა, რომელი ლეში, ანდა დასავარდნად განწირული არსებები ჩვენ გენახა“ — კარგად არ მენიშნა ლეშიჭამიას ეს დაჟინებული სრბოლა ჩვენს შორი-ახლოს.

ანაზდად, თვალი ერასტუსის შაშხანისკენ გამექცა. მის პატრონს კი იგი, რამდენადაც ვიცი, ნაკრძალში სიმბოლურადაც არ გაუსვრია. რას ნიშნავს ამაზრზენი ცხოველი. მისმა გამოჩენამ ისევ აღძრა ჩემში მონადირის დავიწყებული ინსტინქტი.

ასე ახლოს პირველად ვხედავ აფთარს. მაინც ვითხოვე ბინოკლი. თავი სხეულთან შედარებით არასიმეტრიულად დიდი აქვს, მრისხანე, ლეშისმგლეჯელი კბილებით ამოვსებული ყბები — მასიური. ასეთ თავს სულ არ შეესატყვისება აცქვეტილი, მრგვალი ყურები. არა, არ შევმცდარვარ, თვალები მართლაც მღვრიე აქვს. შიში, შიმშილი, სიხარბე, ვერ ვხვდები რა გრძნობაა მათში ჩაბუდებული. ცხვირი ფართოა, ნესტოებდასველებული კადნიერი სახე, კადნიერი ქცევები.

იქნებ სახის გულისამრევი პორტრეტი ტანმა გამოასწოროს. არაფერი მსგავსი. გრძელი და მსხვილი კისერი. წინასთან შედარებით მოკლე უკანა კიდურები, გაბერილი მუცელი, ქეცშეყრილივით, თითქოსდა გასაცვენად გამზადებული, გაფოლცხილი ბალნები, ნახევრად გაქუცული კუდი.

გონებაამღერეული გოია ხატავდა შეშლილ ადამიანთა სახეებს: უაზროდ მომცინარეებს, შლეგებს, დათრგუნულებს, გაავთრებულებს, მჭმუნვარეებს, სრულიად გულგრილებს... ნეტავი როგორ დახატავდა ჭარბად ეგზალტირებული გოია მშიერ, კადნიერ, ერთდროულად მშიშარა ნეკროფაგს?..

ნეკროფაგი... ტყუილად არ შექმნა ბუნებამ ლეშიჭამიად აფთარი. გვამით მკვებავი, ბუნების მიერ მესაფლავედ განწესებული, სწორედ ასეთი გონჯი უნდა ყოფილიყო ეს არსება, რათა ბუნების ყველა შვილს — დიდსა თუ პატარას, ძლიერსა თუ სუსტს, დღეგრძელსა და სიცოცხლე-ეფემერას, მხდალსა თუ გულადს, ჭკვიანსა და შლეგსაც კი შიშის ზარს სცემდეს სიკვდილი, რამეთუ მისი რუდუნებით სულისაგან დაშორებული სხეული სწორედ ასეთი უმსგავსოების, გულშემზარაობის, საძაგლობის სიმბოლოდ მოვლენილის საჯიჯგნი გახდება!

დადიოდა მზესუმზირებით ალალანებულ მინდვრებში ილლიაში მოლბერტამოჩრილი, გონებაამღერეული გოია. სამხრეთ ევროპის ჩახჩახა მზე თვალებს სჭრიდა. ერთხელაც ასეთ ნათელში მის სავალ გზაზე წყვდიადი ჩამოწვა. მყის უხილავმა ყვავ-ყორნებმა დაუბნელეს მზე — მისი ფუნჯის მთავარი მამოძრავებელი ძალა. წამიერად აქაც, მიომბოდ წოდებულ სავანაში, ასევე გადაეფარა სუდარა აქაურობის კიდევ უფრო ბრიალა მნათობს. მალე ყველაფერი გასაგები გახდა. სერენგეტის გამლილ ტრამალთა მძორის მუშტრები — სვავები, ორბები, მათ გუნდში შერეული ყაჯირნი (ძერძერუკები) ერთი მეორის მიყოლებით დაეშვნენ აკაციათა მიღმა.

„აი, თურმე სად მირბის ასე თავქუდმოგლეჯილი აფთარი? მან შორიდანვე დალანდა „კოლეგა“ — ფრინველების მოძრობა. იცის, ისინი ტყუილად არ დაეშვებიან ესოდენ დიდი სიმაღლიდან“.

ვუცვლი მიმართულებას დურბინდს. სვავი-მესაფლავეც როგორ ჰგავს აფთარს! ფრინველების — ყველაზე ლამაზი ხერხემლიანების ფონზე — ისიც უგვანოა. განა შეიძლება შემთხვევითი იყოს ამდენი დამთხვევა? მჯერა, ერთმა ხელობამ დაამსგავსა ხერხემლიანთა ორი სხვადასხვა კლასის წარმომადგენელი ასე ერთმანეთს!

სულ სხვა სურათს ვხედავთ ჭეშმარიტ მტაცებლებში. რაც უფრო ძლიერია მტაცებელი, მით უფრო სრულქმნილია მისი გარეგნობა. აბა, ვინ შეედრება სხეულის სინატიფეში, მოძრაობის დახვეწილობაში, ფერთა და ფორმათა სრულყოფილებაში ლომს, ლეოპარდს, განსაკუთრებით ავაზას (გეპარდს)... ქანდაკებასავით რა თლილი ფორმები, ირაოსა თუ ძირს შვეულად ვარდნის შესრულების როგორი დონე ახასიათებთ არწივს, ქორს, უფრორე შავარდენს?!

მსგავსმა ასოციაციებმა არ შეიძლება არ გადაგვიყვანოს ფილოსოფიური განსჯის სფეროში. სწორედ რომ, ბუნება არგებს ჯალათის მოსასხამს მძორის გამანადგურებელ მესაფლავეს, იგივე დედაბუნება ხვევს რაინდის, მეფის სამოსელში გაბედულსა და ძლიერ მონადირესაც!

ცხოველის მთელი მშვენიერება — დახვეწილი ფორმები, მოხდენილი მიხვრა-მოხვრა, მიმზიდველი ფერები — ბევრად არის დამოკიდებული ცხოვრების წესთან. მას, ვისაც არსებობისთვის ბრძოლაში უწევს სხეულის, გონის ზღვრულ დონემდე დაძაბვა, ელვის სისწრაფით თავდასხმა, მსგავსი რეაქციითვე მტრისაგან გარიდება, თავისი ოჯახის უსაფრთხოებისათვის მუხლჩაუხრელი რუდუნება, გამოირჩევიან მოხდენილი აგებულებით, ძლიერი სხეულით, მახვილი თვალითა და სმენით, სხეულის აბრეშუმივით მბზინავი საფარით... საქმეში ჩახედული ბუნებისმეტყველები ტყუილად როდი ხედავენ მსგავსებას ერთის მხრივ, ავაზას და შავარდენს, ხოლო მეორეს მხრივ, მირონის ბადროს მტყორცნელსა და ვენერა მილოსელის სრულქმნილ აგებულებებს შორის. ესთეტიზმის თვალსაზრისით, ბუნების ჩამოთლილი სრულქმნილობანი ერთდროულად წარმოადგენენ ფიზიკური ჯანმრთელობის, ძლიერების, მოქნილობის, ახალგაზრდული სისხლსავსე ცხოვრების და აქედან გამომდინარე, სიცოცხლის უპირველესი სტრატეგიის — სახეობის, მისი ინდივიდების წარმატებით გამრავლების გარანტს.

ასობით თაობაში ძალის, დინამიზმის, მოქნილობისა და მსგავსი თვისებების ბუნებრივმა გადარჩევამ შექმნა ნადირთა მეფე — ლომი და ფრთოსანთა მეუფე — არწივი, ასევე სხვანიც, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“. მათი შიში და რიდი გააჩნია მოკვდავთა უდიდეს უმრავლესობას. ორნითოლოგთა ჩატარებული ცდებით ხელოვნურად დამზადებულ მტაცებელ ფრინველთა სილუეტებიც კი სათანადო პანიკას იწვევენ პოტენციურ მსხვერპლში. ძლევამოსილნი, უწინარესად, არ აჭაჭანებენ მავნე გენის, ავადმყოფობის მატარებელ სუსტსა და დაავადებულ არსებებს.

ასეთები — მორჭმულნი და ყოვლის მპყრობელნი ადამიანში მისი ცნობიერების დასაბამიდან საერთო თაყვანისცემისა და ალეგორიების წყარონი გამხდარან.

„როცა არწივი თან მახლავს,
მაზის მარჯვენა მხარზედა,
მეფისა მადგას გვირგვინი,
ვზივარ სამეფო ტახტზედა“.
(ვაჟა)

არწივმა ბუნების დიდ მგოსანს სხვა არაერთი დაუვიწყარი მეტაფორული სურათი შეაქმნევინა: „არწივმაც შემოიკეცა თავისი მძლავრი ფრთები და დაემო თავქვე. ეს სურათი ცის მოგლეჯას ჰგავდა“.

ყორნებს კი, ვაჟასავე შემოქმედებაში მხოლოდ ერთი საფიქრალი გააჩნიათ:

„ძოღან ვიარე ბარადა,
კახეთს თოფები ტყვრებოდა,
ბევრი მკვდარი ჩნდა
მინდვრადა,
დედის ერთაიც კვდებოდა.
მე ჩაგიძღვები, ჩავიდეთ
ბრიყვსა დავთხაროთ თვალები,
გემრიელია, დავჭამოთ
მამაცის ყმისა მკლავები...“

ძალა, მოძრობა, სიჩაუქე კვართავს არა მხოლოდ ცოცხალი ბუნების შვილთ, უსულო „უნპირო“ ბუნების ფორმის მიმცემი, მთავარი შემოქმედიც ის არის.

მთის არწივი.

ზიზოქარმა, მოუსვენარმა მდინარე კოლორადომ ერთნახევარი კილომეტრი სიღრმის (!) კალაპოტი გაჭრა არიზონას პლატოში და, ეს ამხელა ნაიარევი დაამჩნია დედამიწის ქერქის განა მხოლოდ რბილ, ზედაპირულ ქანებს, ქვიშად დააწილაკა და უმწეო მასად აქცია მისი გრანიტის ქვედა შრეებიც. ასე წარმოიქმნა მსოფლიო არაორგანული ბუნების ერთ-ერთი საოცრება.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 305-307, 315, 32[illegible], 334.

მხარე

დადიანების სასახლე განახლებული იერით

„ზუგდიდის დადიანების სასახლე საქართველოში ერთადერთი ისტორიული კომპლექსია, რომელიც სრულად ასახავს ქართველ მეფე-თავადთა ყოფის ბრწყინვალებასა და ფეოდალურ ძლევამოსილებას“ (სიმონ ჯანაშია). ამჟამად აქ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო-სამეცნიერო ცენტრი, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმია, რომელიც 1921 წელს დაფუძნდა დადიანთა საგვარეულო რელიკვიების და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებიდან გამოტანილი განძეულობის ბაზაზე.

1992 წელს რეგიონში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო მუზეუმი დაიხურა და აი, სულ ახლახან, კერძოდ კი, 5 ნოემბერს მუზეუმში თანამედროვე ქართული ხელოვნების გალერეა და განახლებული ექსპოზიცია გაიხსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გურამ თევზაძე, სტუდია „აუდიენციის“ ხელმძღვანელი კოკა ყანდიაშვილი, საგამოფენო დარბაზ TMS-ის ხელმძღვანელი ქეთევან კორძახია, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებული ბონდო ჯიქია, მსახიობი ბორის წიფურია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის წარმომადგენლები, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დამუშავებისა და ფონდების დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან თაქთაქიშვილი და სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

წარმოგიდგენთ ინტერვიუს ზემოხსენებული ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორთან, ისტორიკოს გიორგი კალანდიასთან.

— ბატონო გიორგი, თუ შეიძლება ორიოდე სიტყვით ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

— 1999 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ „მასმედიის დემოკრატიზაციისა და განვითარების ასოციაციამ“ მიმართა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ წინადადებით განეხილა ჩვენს მიერ წარდგენილი პროექტი. მან დააფინანსა, რასაც მისი განხორციელება მოჰყვა.

— მაინც რა სამუშაოები ჩატარდა?

— პროექტის ძირითადი მიზანი გახლდათ დადიანების სასახლეში სამუზეუმო ცხოვრების გამოცოცხლება. დაფინანსება 5000 დოლარს შეადგენდა, ამ თანხით ჩვენ გავარემონტეთ სამი საგამოფენო დარბაზის ჭერი, ორი ფონდსაცავი (ფერწერა და ოქროს ფონდი), სეიფი აღიჭურვა სპეციალური ურდულებითა და რკინის კარებით, საგამოფენო დარბაზებში დამონტაჟდა თანამედროვე განათების სისტემა, შეკეთდა სახურავი და განახლდა გამოფენა. მერწმუნეთ, ჩვენ გაცილებით მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ამას პროექტი ითვალისწინებდა, რისი ძირითადი მიზეზიც მუზეუმის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომა და საქმისადმი მათი უსაზღვრო სიყვარული იყო.

— ამ ბოლო დროს გავრცელდა ხმები, რომ თითქოს მუზეუმიდან დაიკარგა დიდი რაოდენობით განძეულობა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?

— ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი სიძველეთსაცავია, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრიობის ინტერესიც მისდამი დიდია, სწორედ, ალბათ, ამიტომაც ვრცელდება მსგავსი ჭორები, მინდა გითხრათ, რომ ზუგდიდის ისტორიულმა მუზეუმმა სრულიად ღირსეულად შეძლო თაობებისთვის შემოენახა ის ისტორიული რელიკვიები, რომლებიც განსაკუთრებული ღირებულებითა და მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა, მაგრამ ისევე როგორც სხვა მუზეუმებმა, ჩვენმა მუზეუმმაც ვერ შეძლო გადარჩენოდა ე. წ. ბოლშევიკურ შემოტევებს, კერძოდ კი, 20-30-იან წლებში „მავნე ჩვევებთან“, „ფეოდალურ და რელიგიურ გადმონაშთებთან“ ბრძოლის საბაბით მთელი ქვეყნის მუზეუმებიდან წითელ აქტივისტებს გაჰქონდათ ეროვნული საგანძური. ამ პროცესმა განსაკუთრებული დაღი დაასვა ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმსაც, სადაც დაახლოებით 7620 ნივთი დაიკარგა, ეს პროცესი, როგორც ჩანს, 1969 წლამდე გრძელდებოდა.

— მას შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

— 1991 წელს საქართველოს სახელმწიფო ისტორიულმა მუზეუმმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან და ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმთან ერთად ჩაატარა ნივთების ინვენტარიზაცია, სწორედ მაშინ აღმოჩნდა ზემოხსენებული დანაკარგები. კომისიის დასკვნა კი სამართალდამცავებს გადაეცა. მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი, ქალბატონი ლილი ბერაია გახლავთ, ადამიანი, რომელმაც უდიდესი ენერგია შესწირა აქ დაცული ნივთების მოვლას და ისინი ჩვენამდე უკლებლივ მოიტანა, მისივე წყალობით აღიწერა, მეცნიერულად დამუშავდა და გამოიცა სამეგრელოს ჯვარ-ხატების კატალოგი, ამ ნაშრომს არა მარტო მეცნიერული მნიშვნელობა ენიჭება, არამედ დაინტერესებულ პირთ თავისუფლად შეუძლიათ სრული ინფორმაცია მიიღონ ოქროს ფონდში დაცული ნივთების შესახებ, ეს კი, მერწმუნეთ, ჩვენ დროში არცთუ ისე ადვილი საქმეა.

— მუზეუმის გახსნის დღეს რომელი მხატვრების ნამუშევრები გამოიფინა?

— გამოფენა მართლაც რომ შესანიშნავი კოლექციისაგან შედგებოდა, რადგან დამთვალიერებელმა იხილა ბევრი ის მხატვრული ტილო, რომელიც მანამდე ექსპონირებული არ იყო. აქ ამჯერად შესაძლებელია იხილონ ფრანც ქსავერ ვინტერ ჰალტერის, იგნაციო პოკონის, ლასალის, დელაროშის, აივაზოვსკის, კრამსკოის, ხარლამოვის, პიერ ბლანშარის და სხვათა ნამუშევრები, აქვე გამოიფინა თანამედროვე ქართველ მხატვართა ის ნამუშევრები, რომლებიც ავტორებმა უსასყიდლოდ, საჩუქრად გადასცეს მუზეუმს. ასე რომ, დადიანების სასახლეში საშუალება გვეძლევა თვალი გადავავლოთ მთელ თანამედროვე ქართულ მხატვრობას. აქვე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო კომპანია „მაგთი **GSM**“-ს, რომელმაც ჩვენი საჩუქრები ესპანეთში დამზადებული სამუზეუმო ჩარჩოებით აღჭურვა, და კიდევ ერთი, ამ დღეს ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმს დაუბრუნდა 1975 წელს სარესტავრაციოდ გატანილი ორი ჭაღი, ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც პირობითად „ვენეციელი ქალბატონი“ ვუწოდეთ, სასადილო ოთახში ჩამოიკიდა, იგი XVIII საუკუნეშია დამზადებული და ეკატერინე დადიანს საქორწილო საჩუქრად მიუძღვნა ვენეციის პრინცმა. ამავე დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების აღწერისა და დამუშავების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან თაქთაქიშვილმა მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს აჩუქა ეკატერინე დადიანის აქამდე უცნობი წერილი, რომელიც 1865 წლით არის დათარიღებული.

— რა მდგომარეობაშია ნიკოს სასახლე, დადიანების კიდევ ერთი სიმდიდრე?

— ნიკოს სასახლე, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია, მას სასწრაფოდ სჭირდება სარემონტო სამუშაოები. სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ილია ანთელავა ყველაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საერთოდ მისი ხელმძღვანელობით აქ ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, გამოცოცხლდა სამეცნიერო მუშაობა, ჩვენი პროექტის წარმატების მთავარი მიზეზიც ბატონი ილიას დიდი მხარდაჭერა იყო, ამიტომ ყოველივე ეს იმედს გვაძლევს, რომ მალე ნიკოს სასახლესაც განახლებული იერი ექნება.

ესაუბრა
ნინო ძავთარაძე.

გამოფენა

ქართველი მხატვრები იუნესკოში

12 იანვარს პარიზში, იუნესკოს შტაბ-ბინაში გაიხსნა გამოფენა „21 ქართველი მხატვარი XXI საუკუნეში“. ახალ ათასწლეულში ქართული სახვითი ხელოვნების ეს პირველი საერთაშორისო გამოფენა გაიმართა საქართველოს კულტურის სამინისტროს ეგიდით ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის სახელმწიფო პროგრამით.

სწორედაც რომ დაფასდა ის უზარმაზარი შრომა და ძალისხმევა, რომელიც გასწიეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ, საფრანგეთში საქართველოს საელჩომ და იუნესკოსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ, რათა ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე ეს ლამაზი გამოფენა პარიზამდე ჩამოსულიყო და მსოფლიოს ყველაზე ჰუმანური იდეალების მსახური საერთაშორისო ორგანიზაციის იუნესკოს ყველაზე პრესტიჟულ დარბაზში, ხუან მიროს სახელობის დარბაზში მომხდარიყო მისი ნათლობა.

გამოფენა, რომელიც ქართველ ფერმწერთა ბოლო ათი წლის მანძილზე შექმნილ ნამუშევრებს მოიცავს (გოგი ჩაგელიშვილი, ქეთი მატაბელი, ლევან ლაღიძე, ლევან ჭოლოშვილი, გია ბუღაძე, გია გუგუშვილი, ირაკლი სუთიძე, შალვა მატუაშვილი, მამუკა ცეცხლაძე, მიხეილ გოგრიჭიანი და სხვები), მსოფლაღქმათა გამოვლენისა და პლასტიკურ რეპრეზენტაციებში წარმოდგენილი, პოსტმოდერნისტული ხელოვნების შესანიშნავი ანარეკლია. იგი აშკარად განსხვავდება დასავლური კულტურისაგან. მხატვართა სტილისტიკა ურთიერთგანსხვავებულია და გამოფენა ჟანრულ-თემატურადაც მრავალფეროვანია. მაგრამ აშკარაა ის საერთო ნიშნები, რაც ლაიტმოტივად გასდევს ნამუშევართა ერთობლიობას — ესაა ზნეობრივ-სულიერი ფასეულობებისადმი ინტერესი, ტოლერანტობისა და ჰუმანური იდეალებისადმი ერთგულება.

გამოფენა გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში, იუნესკოსთან საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გოჩა ჩოგოვაძემ.

იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა კოიშირო მაცუურამ დაბადების 60 წელი მიულოცა გოჩა ჩოგოვაძეს და, ცხადია, უწინარესად, ისაუბრა საქართველოზე, მის პრეზიდენტზე. „საქართველოს იუნესკოსთან უკვე დიდი ხნის სოლიდური ურთიერთობა აკავშირებს, — აღნიშნა მან, — რაც ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, — ეს ჩემი პირადი ურთიერთობებია პრეზიდენტ შევარდნაძესთან. მე მას პირველად ნიუ-იორკში, ცივილიზაციათა დიალოგის მრგვალ მაგიდასთან შევხვდი გასული წლის სექტემბერში და განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე იმ ძლიერმა და შეუდრეკელმა პოზიციამ, რომელიც მან თავის გამოსვლაში განავითარა... მოგვიანებით, მე თავად ჩავედი საქართველოში, სადაც პრეზიდენტის მასპინძლობის სითბო და გულახდილობა გამართული მოლაპარაკებების დროს ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. განსაკუთრებით დავრწმუნდი პრეზიდენტ შევარდნაძის იმ შეუპოვრობასა და მტკიცე ნებაში, რაც მის ქვეყანას საშუალებას აძლევს აშენოს თანამედროვე და დემოკრატიული საზოგადოება გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად.

უნდა ვთქვა, რომ ჩვენს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობა, რომელიც ბევრად სცილდება ოფიციალურ ჩარჩოებს, რაც უეჭველად კიდევ უფრო გააღრმავებს იმ ბრწყინვალე თანამშრომლობას, რომელიც არსებობს საქართველოსა და იუნესკოს შორის მას შემდეგ, რაც საქართველო იუნესკოს წევრი ქვეყანა გახდა.“

ბატონი მაცუურა შეეხო პროგრამა „კავკასიას“, რომლის კოორდინატორია პაატა შევარდნაძე და აღნიშნა, რომ ეს გამოფენა ორგანულად ჩაეწერა ზემოხსენებული პროგრამის კონცეპტუალურ ჩარჩოში.

საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილემ, სახელგანთქმულმა პოეტმა რეზო ამაშუკელმა დიდი სითბოთი ილაპარაკა აქ წარმოდგენილ მხატვართა შემოქმედებაზე და გენერალურ დირექტორს ულრმესი მადლობა გადაუხადა თანადგომისათვის.

გამოფენის უამრავ სტუმარს მიესალმა იუნესკოს კეთილი ნების ელჩი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი ზურაბ წერეთელი, რომელმაც ქართველ მხატვართა ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცა.

გამოფენა 24 იანვრამდე გასტანს.

ვლადიმერ ზარიძე,
„სრ“ სპეც. კორ. პარიზი.

P. S. საქართველოს კულტურის სამინისტრო მადლობას უხდის ავსტრიის ავიახაზების წარმომადგენლობას ოპერატიული და მაღალორგანიზებული მომსახურებისათვის, აგრეთვე, სადაზღვევო კომპანია „ალდაგსა“ და „TBS“ ბანკს, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების ფონდს აღნიშნული პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის.

განათლება

თიანეთელი მასწავლებლები კვლავ საქმეს მიუბრუნდნენ

წლეულს, საქართველოში ისედაც დაგვიანებული სასწავლო პროცესი თიანეთის რაიონში 18 სექტემბერსაც არ დაიწყო. მასწავლებლებზე ათი თვის დაგვიანებული ხელფასების გაუცემლობის გამო, პედაგოგთა გაფიცვა თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. აქციას ის შედეგი მოჰყვა, რომ მათ სამი თვის ხელფასი ერთბაშად მისცეს. ამ საკითხთან დაკავშირებით და რაიონში განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ ვესაუბრეთ რაიონის განათლების განყოფილების გამგეს მერი ბოდაველს.

— ქალბატონო მერი, მარშან მთელმა საქართველომ შეიტყო, დაგვიანებული და გაუცემელი ხელფასების გამო თქვენი რაიონის მასწავლებლები რომ გაიფიცნენ და ახალი სასწავლო წელი ვერ დაიწყეთ. მათ სამი თვის ხელფასი ერთი თვის შემდეგ დაურიგდათ. ვინ დაგეხმარათ აღნიშნული საკითხის მოგვარებაში?

— მართალია. ჩვენი რაიონის მასწავლებლობა იმ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო გაიფიცა, რომელიც სკოლის მუშაკებს ათი თვის და ბაგა-ბაღების აღმზრდელებს 18 თვის გაუცემელი ხელფასების გამო შეექმნათ. ამას თან დაერთო წლევანდელი გვალვიანი ზაფხულიც. მასწავლებელთა ოჯახები, ფაქტობრივად, წლის მოსავლის გარეშე დარჩნენ და პედაგოგებს არ მიეცათ საშუალება ახალი სასწავლო წლისთვის სათანადოდ მომზადებულიყვნენ, შეეძინათ წიგნები, განსაცმელი, ფეხსაცმელი... შვილებისათვის სასკოლო ნივთები, სახელმძღვანელოები, ოჯახისათვის ფქვილი, შაქარი...

რაიონში არ მუშაობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თითქმის არც ერთი დარგი, ამდენად, ძალზე ღარიბია ჩვენი ბიუჯეტი. მშობლებიც კი ჩვენთან ერთად ცდილობდნენ პრობლემების მოგვარებას.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ჩვენი რაიონის მასწავლებლების სახელით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა თიანეთელი პედაგოგების გასაჭირი და არა მარტო სიტყვით, საქმით ამოგვიდგა მხარში: საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**, პარლამენტის თავმჯდომარე **ზურაბ ჟვანია**, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და საფინანსო ეკონომიკური კომიტეტების წევრები, საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **მანანა კობახიძე**, თიანეთის რაიონის დეპუტატი **თამაზ მეჭიაური**, მცხეთა-მთიანეთის მხარის რწმუნებული **კობა ბუჩუკური;** მხოლოდ მათი ჩარევით მოხერხდა ფინანსთა სამინისტროდან ტრანსფერი და ოქტომბერში სამი თვის ხელფასის ერთდროულად გაცემაც შევძელით. უკვე ორ-ორი თვის დაგვიანებული ხელფასები რიგდება.

— რამდენი სკოლის, ბაგა-ბაღის, მასწავლებლისა და მოსწავლის „პატრონი“ ბრძანდებით?

— ჩვენი რაიონის 11 საშუალო, 3 არასრული საშუალო, 14 დაწყებით სკოლაში 404 პედაგოგი ემსახურება 2200 მოსწავლის სასწავლო პროცესს. 15 ბაგა-ბაღში 400 აღსაზრდელია, ასევე, არსებობს ერთი ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

— ალბათ, სასკოლო ინვენტარი მოგიძველდათ, რა მდგომარეობაა სკოლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ; შენობები თუ რემონტდება და ვისი დახმარებით?

— ბოლო ათი წლის განმავლობაში სკოლები კაპიტალურად არ შეკეთებულა (ყველასათვის ცნობილი მიზეზის გამო), მძიმე მდგომარეობაშია სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, გაცვდა სასკოლო ინვენტარი. ძირითადად სკოლის დირექტორების მოსწავლეთა მშობლების თანადგომითა და ხელშეწყობით რემონტდება სკოლები.

წლეულს მხოლოდ ორი — ჟებოტისა და ტუშურების საშუალო სკოლების შენობების კაპიტალურად შეკეთება მოხერხდა. ავარიულია თიანეთის № 1, სიმონიანთხევის საშუალო, ბოჭორმის არასრული საშუალო, არტნის, ჭურჭელაურების, ნადოკრის, საყდრიონის დაწყებითი სკოლები, ზარიძეების, ტუშურების საბავშვო ბაგა-ბაღების შენობები. სსიფ-ის პროგრამაში ჩასმულია თიანეთის № 1, ჟებოტის, ტუშურებისა და ხევსურთსოფლის საშუალო სკოლები. დანარჩენი სკოლებისა და ბაგა-ბაღების საშველად სათანადო დოკუმენტაციები მომზადდა და წარდგენილია სოროსისა და სხვა ფონდები, იმედი გვაქვს სხვადასხვა კაბინეტებისა და კომპიუტერული კლასების გამოყოფისა თუ მოწყობაში მოგვეხმარებიან.

რაიონის 404 პედაგოგიდან 329 სკოლის მასწავლებელია, 20 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლსა და სპორტულ სკოლაშია დასაქმებული, ხოლო ბაგა-ბაღებში — 55. ატესტაცია წარმატებით გაიარა 259 მასწავლებელმა, მათგან უმაღლესი და პირველი კატეგორიის 111-მა.

— ვიცი, რომ თიანელი პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო-შემოქმედებით პრაქტიკულ კონფერენციებში. საქართველოს პრეზიდენტმა მარშან თქვენი რაიონის საუკეთესო მასწავლებლები ღირსების ორდენებითა და მედლებითაც დააჯილდოვა.

— მარშან რამდენიმე მათგანი: ეთერ ბაიაშვილი, მერი ბოდაველი და სხვები ღირსების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვაში გაიმარჯვეს მასწავლებლებმა: ლუხუმ მათურელმა, მერი საგინაშვილმა, ელისო გოგოჭურმა. ჩვენს მიერ გამოცხადებულ წლის საუკეთესო მასწავლებლის რაიონულ კონკურსში ოთხმა გაიმარჯვა: ნათელა სოლოღაშვილმა და ნინო ბაიდაურმა (თიანეთის № 1 საშ.), ქეთევან შარმიაშვილმა (სიონის საშუალო სკოლა) და ლილი ბაიაშვილმა (ნაქალაქარის საშუალო სკოლა), ხოლო მასწავლებელთა რეგიონულ კონკურსში ნათელა სოლოღაშვილმა გაიმარჯვა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ახლახან ღირსების ორდენით დააჯილდოვა, ხოლო მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციამ, თიანეთის რაიონულმა გამგეობამ და განათლების რაიონულმა განყოფილებამ — დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.



მასწავლებლები, მიუხედავად დღეს არსებული სოციალური პირობებისა, სერიოზულ მუშაობას ეწევიან მოსწავლეებთან. ხელს უწყობენ მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას, შედეგიც სახეზეა — სასწავლო-შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენციებიდან, ზონალური და დასკვნითი საგნობრივი ოლიმპიადებიდან ჩვენი მოსწავლეები განათლების სამინისტროს პირველი და მეორე ხარისხის დიპლომებითა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიგელებით ბრუნდებიან.

განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ მოსწავლეები მხატვრული შემოქმედების დასკვნით ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე. ჯილდოებითა და დიპლომებით უხვად არიან დასაჩუქრებული ნაქალაქარის საშუალო სკოლის ხალხურ საკრავთა ანსამბლი (ხელმძღვანელი ლ. მათიაშვილი), სიონის საშუალო სკოლის ანსამბლი „სიონის ზარები“ (ხელმძღვანელი ქ. შარმიაშვილი), თიანეთის პირველი საშუალო სკოლის ვაჟთა ანსამბლი.

წარმატებით მონაწილეობენ რეგიონულ სპარტაკიადებში ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი „იორი“, კალათბურთელ გოგონათა გუნდი, მოჭიდავეები და სხვა. ტარდება რაიონული კონკურსები, კვირეულები, ლაშქრობები, ექსკურსიები, ზეიმები, ვემზადებით და მოსწავლე-ახალგაზრდების მონაწილეობით სათანადოდ აღვნიშნავთ ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 და ქრისტეშობის 2000 წლისთავს.

— ვიცი, რომ თქვენ 1988 წლიდან ჩაუდექით თიანეთის განათლების განყოფილებას სათავეში, მოგეხსენებათ, ორი წლის შემდეგ, რაც მოხდა და, ფაქტობრივად, ამ ათი წლის განმავლობაში, თქვენ თითქმის ცარიელი ხელებითა და ენთუზიაზმით იმუშავეთ. თავად ვინ ბრძანდებით, საიდან მოდიხართ?

— სოფელ სიონიდან ვარ. სკოლა წარმატებით დავამთავრე. ასევე წარჩინებით დავამთავრე თბილისის 35-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, შემდეგ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ამჟამად კვლავ ვსწავლობ იმავე ინსტიტუტის საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სპეციალობის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

თავიდან სიონის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად ვმუშაობდი, შემდეგ თიანეთის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად. ძალიან მძიმე პერიოდში მომიწია განათლების განყოფილების გამგედ მუშაობამ; ბევრი კარგი საქმის გაკეთება მინდოდა, მაგრამ ყველაფერს დღეს ისევ და ისევ ფინანსები წყვეტს. მეუღლე, ტარიელ წიკლაური გზათა მიმოსვლის ინჟინერია, სამი ვაჟიშვილის დედა გახლავართ — დავითი, გიორგი და ლევანი მოსწავლეებია.

დასასრულ, მადლობა მინდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას მოვახსენო იმის გამო, რომ დაინტერესდა ჩვენი რაიონის მასწავლებლების ცხოვრებით. ჩვენდამი გამოჩენილ ყურადღებას ჯილდოდ მივიჩნევთ. მთა მწირია და ნაკლებმოსავლიანი, გვიჭირს, მაგრამ გთხოვეთ, ნურავინ იტყვის აუგს ჩვენს მასწავლებლებზე შემოდგომის გაფიცვის გამო, რადგან რამდენიმე მათგანი სკოლებში სწავლის დაწყებისას, რაოდენ ძნელი სათქმელიც უნდა იყოს, დამიჯერეთ, ნათხოვარი ფეხსაცმლით გამოცხადდა...

ვეცდებით, ღირსეული თაობები გავზარდოთ და თიანეთი არა მარტო მირზა გელოვანის, ალაზა ხაიაურის, ბესიკ ხორნაულის, ტარიელ ხალხელაურის სახელებით იყოს ცნობილი... ჩვენთან კვლავაც გამოჩნდებიან ნიჭიერი ახალგაზრდები.

ესაუბრა
ლეილა არჩემაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილე

კაცის ცხოვრება შინაარსით იზომება

ამბობენ, პირველ შთაბეჭდილებას უდიდესი ძალა აქვს, მიუხედავად იმისა, შეიცვლება თუ არა იგი ჟამთასვლის შესაბამისად. ისეც ხდება, როცა პირველი ხილვითა და ურთიერთობით შექმნილი აზრი ხელს გიშლის, ამ პიროვნებასთან დაკავშირებული მრავალი ეპიზოდი თუ ცხოვრებისეული ნიუანსი ობიექტურად აღიქვა და შეაფასო.

ბედნიერნი არიან ადამიანები, როცა პირველ შეხვედრა-დაახლოებას ათეული წლების განმავლობაში იმედგაცრუება არ მოჰყოლია. უდიდესი სიამაყის გრძნობა გეუფლება, როცა თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გადასახედიდან გადახედავ ამ ურთიერთობას და თითქოს გონების თვალითაც კი ელოლიავები მასთან ერთად გატარებულ ყოველ წუთსა თუ დღეს.

ახლაც ასეთი გრძნობა მომეძალა და მინდა, ჩემი მეგობრის, ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის ერთ-ერთი უანგარო მსახურის ვახტანგ წულუკიძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მის მიერ განვლილი გზის შესახებ გიამბოთ.

დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ცნობილ პიროვნებას, აჭარაში სწავლა-აღზრდის უდიდეს მოამაგეს ვახტანგ წულუკიძეს.

იგი 1925 წლის 22 დეკემბერს დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ ტბეთში. მამა მიხეილ (ხასან) მაქირის ძე წულუკიძე საქართველოში ცნობილი პიროვნება იყო და არა მარტო თავისი სამსახურებრივი საქმიანობით, არამედ განათლებით, გამჭრიახობითა და გარეგნობითაც გამორჩეული, დარბაისელი პიროვნება ბრძანდებოდა. ორ ათეულ წელზე მეტი იმუშავა ტბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სხვადასხვა წლებში იყო უჩამბის, ღლანის, დიდაჭარის და შუახევის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. სადაც იშრომა და იღვაწა, ყველგან სასიკეთო კვალი დატოვა, შრომაც დაუფასდა და სათანადო ჯილდოებითაც აღინიშნა.

ბედნიერება მქონდა ხშირად, პირადად შევხვედროდი ვახტანგის დედას, ქალბატონ ხატიჯე ჯაფარიძეს, ამ ხეთისნიერ, უსათნოეს და კეთილშობილ პიროვნებას. იგი მშრომელი, სოფელსა და სანათესაოში დიდად დაფასებული და გამორჩეული, 4 თაობის აღმზრდელი დიდი ნენე იყო.

ექვსი ათეული წლის ახლო ურთიერთობა მაძლევს საშუალებას, ვთქვა, რომ თუ ვინმეს შეუძლია იამაყოს თავისი მშობლებითა და ოჯახის წევრების საზოგადოებაში დამსახურებული ავტორიტეტით, ვახტანგ წულუკიძეს უდავოდ აქვს საამაყო.

ვახტანგ წულუკიძე დიდებული მშობლების ჭეშმარიტი შთამომავალია, მათსავით გულმხურვალე მამულიშვილი და საქართველოზე მათსავით შეყვარებული. ამიტომაც არის, რომ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება მშობლიური ქვეყნის სამსახურია.

ბრწყინვალე ოჯახმა ოთხი შვილი აღუზარდა ქვეყანას — ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი. პროფესიის მიხედვით ოჯახში პედაგოგები სჭარბობენ.

ვახტანგ წულუკიძემ 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა ხულოს ვაჟთა №3 პედაგოგიური სასწავლებელი და ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა, რომელიც 1945 წელს ასევე წარმატებით დაასრულა. ოთხ წელიწადს მუშაობდა ტბეთის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მესამე კურსზე, რომელიც 1951 წელს დაამთავრა და ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა.

1952-დან 1959 წლამდე სხვადასხვა დროს მუშაობდა ჯერ ხულოს ვაჟთა №3 პედსასწავლებლის დირექტორად, შუახევის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის მდივნად, მეორე მდივნად, შუახევის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. შემდეგ გაგზავნეს მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელიც 1961 წელს დაასრულა. 1961 წლიდან მოყოლებული 25 წლის განმავლობაში ვახტანგ წულუკიძე მუშაობდა აჭარის განათლების მინისტრად. აქ გამოჩნდა ყველაზე უფრო მისი დიდი გამჭრიახობა და ორგანიზატორული ნიჭი. შემდეგ ექვსი წლის განმავლობაში იყო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მთავარი რედაქტორი. იგი პენსიაზე გასვლის შემდეგაც ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო მუშაობას. მისი მდიდარი გამოცდილება უშურველად ხმარდება საერთო-სახალხო საქმეს. უპირველესად კი განათლების დარგს. ჩვენ მისი სახით გვყავდა მინისტრი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის განათლების დარგს ღირსეულად და საქმის ცოდნით უძღვებოდა. იგი პრაქტიკულ მოღვაწეობას პედაგოგიკის თეორიაში მუშაობას უთავსებდა. მას პედაგოგიკურ ჟურნალებში („ნაროდნოე ობრაზოვანიე“ და „სკოლა და ცხოვრება“) გამოქვეყნებული აქვს 25 ნაშრომი, არის 350-ზე მეტი წერილის ავტორი, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდებოდა პედაგოგიურ პრესაში და ჟურნალებში.

მრავალი წლის განმავლობაში დიდი ენერგია შეალია ვახტანგ წულუკიძემ განათლების ისტორიის კვლევას. ამ თავდადებული გარჯის შედეგი გახლავთ მისი ოთხი წიგნი. ბოლო მეოთხე წიგნში „განათლების ისტორიისათვის აჭარაში“ (2000 წ.) განხილულია აჭარაში განათლების დარგის ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის დასასრულამდე, სწავლებისა და აღზრდის, ეროვნული სკოლის მშენებლობის აქტუალური საკითხები. გამოსაცემად მზად აქვს მონოგრაფია „აღზრდის ხალხური საკითხები“.

ვახტანგ წულუკიძის მინისტრად მუშაობის პერიოდში სახელმწიფოში რამდენიმე სასკოლო რეფორმა განხორციელდა, რომლებშიც, ცხადია, იგი აქტიურად მონაწილეობდა. განათლების სამინისტროს და პირადად მინისტრის უპირველესი საზრუნავი იყო სწავლების ხარისხის ამაღლება მოწინავე მეთოდების შესაბამისად, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა, პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, სკოლების მშენებლობა, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა, მასწავლებელთა უწყვეტი დახელოვნებისათვის ზრუნვა და ა. შ. მისი მინისტრად მუშაობის დროს აჭარაში აშენდა 160-მდე რვაწლიანი და საშუალო სკოლის კაპიტალური შენობა, 100-ზე მეტი ბავშვთა ბაღი, სასკოლო და სკოლა-ინტერნატები, სპორტული სკოლები, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მთავრობის დადგენილებით ხორციელდებოდა და ერთ პიროვნებაზე, თუნდაც მინისტრზე მიწერა არ შეიძლება, მაგრამ მოგეხსენებათ, დარგის ხელმძღვანელის ინიციატივაზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ბათუმში ფიროსმანის ქუჩაზე სპორტული კომპლექსი უშუალოდ ბატონ ვახტანგის ძალისხმევით აშენდა, რომლის დასაბუთებულ მოსაზრებას მხარი დაუჭირეს საქართველოს განათლების სამინისტრომ და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ვახტანგ წულუკიძის პიროვნებას, მის გამოცდილებას, დაუღალავ ენერგიულ შრომას დიდად აფასებდნენ და პატივს მიაგებდნენ საქართველოს განათლების სამინისტრო და სხვა ზემდგომი ორგანოები, რაც თავის მხრივ განათლების სისტემის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას ზრდიდა.

ვახტანგ წულუკიძე ერთი შეხედვით მკაცრ პიროვნებად მოგეჩვენებოდა, მაგრამ იგი იყო უაღრესად ობიექტური და პედაგოგის ავტორიტეტისა და ღირსების დამცველი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იცნობდა რესპუბლიკის ყველა სკოლისა და ბაგა-ბაღის მასწავლებელს, აღმზრდელებსა და ხელმძღვანელებს.

საზოგადოებრივი მოღვაწეობა მისი სტიქიაა და ამის გამოც იყო, რომ ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასე სახელოვნად უძღვებოდა აჭარის განათლების სამინისტროს. და იმ წლებში შეძენილი პატიოსანი ადამიანების, თანამშრომლებისა და მეგობრების, სიახლოვითა და სითბოთი სულდგმულობს.

ღვაწლმოსილი ადამიანი ვახტანგ წულუკიძე მუდამ საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მაგრამ, მას ყველაზე დიდი ჯილდო ბუნებით აქვს ნაბოძები — იშვიათი პიროვნული თვისებები. იგი კარგად იცნობს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს და ხელმძღვანელი მუშაკების შრომასა და საზოგადოების წინაშე მათს პასუხისმგებლობას. მუდამ უნარიანი ხელმძღვანელის მხარდამჭერია. ამასთან, პრინციპული და ობიექტური, მაგრამ ვერ იტანს მიკერძოებას, დაუნდობელია, როცა ამჩნევს, რომ განაწყენებულის პოზიციიდან მსჯელობენ რომელიმე პიროვნებაზე ან რაიმე მოვლენაზე. მის ღირსებებზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. წლების განმავლობაში მაღალი თანამდებობრივი რანგის მიუხედავად იშვიათია, მასზე ნაწყენი კაცი იპოვო. ჩვენ, ვახტანგ წულუკიძის მეგობრები, მადლობას ვუხდით მას სიყვარულით გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის, მეგობრობისათვის, პიროვნული სიკეთისა და იმ ვაჟკაცური ხიბლისათვის, რაც დღესაც ასე ამკობს.

ვახტანგ წულუკიძის ბედნიერება, წარმატება და სიამაყეა ის, რომ თავის მეუღლესთან, ქალბატონ შუშანა დავითაძესთან, დამსახურებულ პედაგოგთან ერთად შექმნა სახელოვანი ოჯახი, ჰყავთ ორი შვილი, სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. იგი დღესაც შესაშური ენერგიით კითხულობს ლექციებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკასა და პედაგოგიკის ისტორიაში და ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში განათლების მუშაკებთან — სკოლათმცოდნეობას.

ძველი და ახალი საუკუნის მიჯნაზე, ათასწლეულების გასაყარზე მინდა მივმართო ჩემი დიდი ხნის გულითად მეგობარსა და დიდებულ ადამიანს ვახტანგ წულუკიძეს — ჩვენო საყვარელო ვახტანგ, გულმხურვალედ გილოცავ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს და დიდხანს, სიცოცხლეს გისურვებ.

ზურაბ კომახიძე.

ეკლესია

ქადაგება ჭეშმარიტი სიტყვისა...

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევითა და ღვაწლით საქართველოს საპატრიარქოს რადიომაუწყებლობა „ივერია“ ოფიციალურად გავიდა ეთერში. ამის შესახებ ისაუბრეს გუშინ საპატრიარქოში გამართულ პრესკონფერენციაზე რადიოსადგურ „ივერიის“ დირექტორმა გიორგი ანდრიაძემ და საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსმა ზურაბ ცხოვრებაძემ.

პირველი არასამთავრობო რადიო **FM** 105 და 4 მეტრ სიხშირის ტალღაზე ვრცელდება, მისი გენერალური სპონსორია საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“. აღსანიშნავია, რომ რადიოს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ტელე-რადიო კორპორაციის თავმჯდომარეს ზაზა შენგელიასა და ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს მერაბ ადეიშვილს.

საპატრიარქოს რადიოს მაუწყებლობა მთაწმინდიდან ხორციელდება, ამჟერად გურჯაანის, დედოფლისწყაროს რეგიონებს მოიცავს და ჩრდილოეთით ფასანაურამდე, სამხრეთით — რუსთავამდე ვრცელდება.

საპატრიარქოს რადიოს ერთ-ერთი მიზანია, აამაღლოს საზოგადოებაში ეროვნული და რელიგიური ცნობიერება, მისი თემატიკა მრავალფეროვანია და არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ რელიგიის საკითხებით. მნიშვნელოვანია სალეთისმეტყველო რედაქციის არსებობა, რომელიც ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი, ეთერში იქნება აგრეთვე გადაცემები საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, პოეზიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საპატრიარქოს რადიოს მრავალფეროვანი მუსიკაც ამშვენებს — საგალობლები, ხალხური სიმღერები, პატრიოტული ქართული ესტრადა, სხვა ქვეყნის ხალხური სიმღერები და საგალობლები, კლასიკა.

რადიო „ივერია“ უახლოეს მომავალში მოკლე და საშუალო ტალღაზე გასვლას აპირებს, რომელიც რუსეთის, საბერძნეთის და თურქეთის ტერიტორიებს მოიცავს.

საპატრიარქოს რადიომაუწყებლობა უდიდესი მნიშვნელობისაა, საზოგადოებას საშუალება ეძლევა სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ მოისმინოს ქადაგება ჭეშმარიტი სიტყვისა და, რაც მთავარია, რადიოს ყველა გადაცემა ჩვენი ერის კეთილდღეობის, რელიგიური და ეროვნული ცნობიერების ამაღლებას მოემსახურება.

ლელა დონაძე.

XXI საუკუნე

გამორჩეული დღე

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან არსებული სკოლის (დირექტორი — დიდოსტატი **თამარ ხმიადაშვილი**) მოსწავლეები რამდენიმე წელიწადია საშობაო-საახალწლო ზეიმს აწყობენ. ასე იყო ამჯერადაც, ოღონდ უფრო ლამაზი. დარბაზში, სადაც უხვად იღვრებოდა მუსიკის ჰანგები, ფერიებივით შემოცქრიალდნენ შავ-თეთრი საჭადრაკო ფიგურების ფორმებში გამოწყობილი ნორჩი მოჭადრაკეები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცეკვაში, სიმღერაში, მხიარულ ვიქტორინებში, ლექსების კითხვაში და ყოველივე ბრძენთა თამაშს და გამოჩენილ ქართველ დიდოსტატებს მიეძღვნა, განსაკუთრებით კი — ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს **ნონა გაფრინდაშვილს**, რომელსაც წლეულს იუბილე აქვს.

საზეიმო საღამოზე, რომლის ორგანიზატორი გახლდათ საჭადრაკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ეროვნული ოსტატი **მაყვალა ხანთაძე**, აქტიურობით გამოირჩეოდნენ ნანუკა ყენია, გიორგი ადამაშვილი, მიშიკო მინდაძე, გიორგი ბეკურაშვილი, ლევან თეთრაძე, ეკა კოტრიკაძე, ანანო აბელიშვილი, თამარ მაისურაძე, ნიკა ცინცაძე. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ზურაბ მახარაშვილმა და ალექსანდრე ახალკაცმა.

ზეიმის მონაწილეებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს ნონა გაფრინდაშვილთან. ნორჩ მოჭადრაკეებს არასდროს დაავიწყდებათ ეს დღე.

საგულისხმოა ისიც, რომ საშობაო-საახალწლო ზეიმს წინ უძღოდა მეორეთანრიგოსანთა ტურნირი, რომელიც ქალბატონ ნონას მიეძღვნა. შეჯიბრებაში 18 გოგონა და ვაჟი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებზე, შესაბამისად, სალომე სირაძე, ნაზი პაიკიძე და გიგა ამაღლობელი გავიდნენ.

ლექსო ცინცაძე.

სურათზე: ზეიმის მონაწილენი ნონა გაფრინდაშვილთან ერთად.
ვაჟა დანელიას ფოტო.

ორიენტირი — ათენი

ერის სადიდებლად ყველა უნდა გაისარჯოს

ოთხწლედის შედეგები და პერსპექტივა

სიდნეის ოლიმპიური თამაშების შედეგები კიდევ კარგა ხანს იქნება სპეციალისტთა განსჯის საგანი: რას მივაღწიეთ, რისი გაკეთება შეიძლებოდა? ცხადია, ერთ მნიშვნელამდე ვერასდროს მივალთ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან საკუთარი მოსაზრების დასტურად ყველას თავისი საბუთი აქვს.

მაინც, რას ფიქრობენ სპეციალისტები? დღეს წარმოგიდგენთ საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის ჭიდაობის, კრივის და ძალოსნობის კათედრის გამგეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, დოცენტ გურამ რატიშვილს. იგი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების კონსულტანტი გახლდათ, ამიტომ ჭიდაობის ამ სახეობის წარმომადგენელთა წარმატება-წარუმატებლობაზე საუბარი მასთან მიზანშეწონილად მივიჩნიეთ.

— ამქვეყნად ყველაფერი შედარებითია, ამიტომ მეც ამით დავიწყებ, — მითხრა ბატონმა გურამმა. — ატლანტის ოლიმპიადაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ოთხი ფალავანი გამოდიოდა, სიდნეის საგზური კი შვიდმა მოჭიდავემ დაიმსახურა. ოთხი წლის წინათ საუკეთესო შედეგი მხოლოდ მეოთხე ადგილი გვქონდა, მწვანე კონტინენტზე აკაკი ჩაჩუამ და მუხრან ვახტანგაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, გენადი ჩხაიძე კი მეხუთე ადგილზე გავიდა. საგულისხმოა, რომ ჩხაიძემ თავის ჯგუფში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი პოლონელი ერონსკი და თურქი მსოფლიო ჩემპიონი ბასარი დაამარცხა. არ მიყვარს მარცხის მსაჯებისთვის გადაბრალება, მაგრამ ხომ ფაქტია, ჩაჩუას, სულ მცირე, ვერცხლის მედალი დააკარგვინეს...

ყოველივეს გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი „კლასიკოსები“ სიდნეის ოლიმპიადაზე აშკარად უკეთ გამოვიდნენ. წინსვლის დასტურად ერთი ფაქტიც მინდა მოვიყვანო: 1993-1996 წლებში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა, ახალგაზრდებმა და დიდებმა სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებაზე 21 მედალი მოიპოვეს (მათ შორის — 6 ოქროსი, 4 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოსი), 1997-2000 წლებში კი — 52 მედალი (შესაბამისად, 17, 13 და 22), თანაც 2000 წელს ევროპის პირველობაზე ჩვენმა ახალგაზრდებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ეს ორმაგად გვახარებს, რადგან 2004 წელს ათენში სწორედ ამ ბიჭებს მოუწევთ ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვა.

— ბატონო გურამ, წინგადადგმული ნაბიჯი აშკარაა, მაგრამ ჩვენს ინტერვიუს რომ წაიკითხავს, მავანი შეგვძახებს, „ბრინჯაო“ რა მოსატანია, როცა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ისტორიას საქართველოში გივი კარტოზიას, რომან რურუას, ავთანდილ ქორიძის, ვახტანგ ბლაგიძის, როსტომ აბაშიძის, მიხეილ სალაძის და სხვა ცნობილ ფალავანთა სახელები ამშვენებსო...

— მესმის თქვენი. მდიდარი ტრადიცია გვაქვს, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მაშინ ჩვენი ცნობილი მოჭიდავეები საბჭოთა კავშირის საუკეთესო საწვრთნელ ბაზებზე ვარჯიშობდნენ, უამრავ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, სადაც ფიზიკურ წრთობასთან ერთად ტექნიკურ-ტაქტიკურ გამოცდილებასაც იძენდნენ.

ახალი ოლიმპიური ციკლის დაწყებისას ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიასთან ერთად დავსახეთ პერსპექტიული გეგმა, რომლის შესრულების შემდეგ სიდნეიდან თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი უნდა ჩამოეტანათ ჩვენს „კლასიკოსებს“. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ხშირად გვიხდებოდა მომზადების და საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის გეგმების კორექტირება. სხვას რომ თავი დავანებოთ, შარშან ეროვნული ჩემპიონატის გამართვაც ვერ შევძელით. ნაკრების წევრებს სულ სამიოდე საწვრთნელი შეკრება ჰქონდათ. ამგვარი მომზადების შემდეგ თუნდაც ორი „ბრინჯაოს“ მოპოვება, ვფიქრობ, გმირობის ტოლფასია.

— იქნებ, წვრთნისას დავუშვით რაღაც შეცდომა. საერთოდაც, ჩვენი მწვრთნელების მომზადების დონე თუ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს?

— ორ ფაქტს მოვიშველიებ: შარშან მინსკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჩინებულად იასპარეზეს ბელარუსის ნაკრების წევრებმა. სიდნეიში კი მხოლოდ ერთ ბრინჯაოს მედალს დასჯერდნენ. ყაზახეთის ეროვნული გუნდის ღირსებას სამი მსოფლიო ჩემპიონი იცავდა, მაგრამ ოლიმპიადაზე ერთმა მათგანმაც კი ვერ აიღო მედალი. ასე რომ, ყველაფერი მწვრთნელსა და წვრთნაზე დამოკიდებული არაა, თუმცა, მათი უგულებელყოფა ყოვლად დაუშვებელია. მთავარია, სწორად იყოს შერჩეული მომზადების სტრატეგია. საქართველოში კარგი მწვრთნელები გვყავს, მე ვიტყოდი, ფანატიკოსები, რადგან უსახსრობისა და უშუქობის პირობებშიც ვერ ელევიან საყვარელ საქმეს. ახალგაზრდებთან ისეთებიც მუშაობენ, რომლებსაც სათანადო მომზადება აკლიათ. მათთვის აუცილებელია სემინარების მოწყობა, სტაჟირებაზე გაგზავნა საზღვარგარეთ, სათანადო ხელშეწყობა, რაც კვლავ თანხებთან არის დაკავშირებული. თუ ეს პრობლემა დროულად არ გადავჭერით, შეიძლება იოლად დავთმოთ პოზიციები მსოფლიო სარბიელზე.

— ბევრი სახელმოხვეჭილი ფალავანი გვყავს. ნუთუ მათ არ შეეძლოთ, მსგავსი წარმატებისთვის მწვრთნელობითაც მიეღწიათ?

— საკამათო საკითხია, შეიძლება თუ არა ცნობილი სპორტსმენი ჩინებული მწვრთნელიც გახდეს. ასეთი თანხვედრა იშვიათია, რადგან დიდი სპორტსმენი საბრძოლო მზადებისას დიდძალ ფიზიკურ და ნერვულ ენერგიას ხარჯავს, ამიტომ აღარ ჰყოფნის იგი სხვადასხვა ხასიათის მოზარდებთან სამუშაოდ.

— კი მაგრამ, საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარ მწვრთნელობას ხომ ჩინებულად გაართვეს თავი ანატოლი კოლესოვმა, ვიქტორ იგუმენოვმა, ივან იარიგინმა, გენადი საპუნოვმა...

— მეძლევს, თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ მაშინ საბჭოთა ნაკრებს ეხმარებოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკის ცნობილი მწვრთნელები და კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საუკეთესო პედაგოგები, ექიმები, ბიოქიმიკოსები და ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები. მერე, როგორი მატერიალური უზრუნველყოფა ჰქონდათ?! მაშინ არ იყო საფიქრალი გათბობა, ცხელი წყალი, ხელფასი. ასეთ პირობებში თუ კაცს ოდნავ მაინც უჭრიდა გონება, ნაკრების ხელმძღვანელობა ძნელი არ იყო. როცა ერთ პიროვნებაში თავმოყრილია ჩინებული სპორტსმენისა და მწვრთნელის ფენომენი, ეს უნიკალური შემთხვევაა.

— ბატონო გურამ, თქვენ ბრძანეთ, რომ ჩვენმა „კლასიკოსებმა“ ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ საკმაოდ წაიწიესო. ცხადია, ამ ეტაპზე შეყოვნება დაუშვებელია, რადგან წინ ათენის ოლიმპიური თამაშებია. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო საქართველოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შემდგომი განვითარებისათვის?

— უპირველესად, აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, რომ უფრო ხარისხიანი იყოს სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშები და შეკრებები. მხედველობაში მაქვს საჭიდაო და ძალოსნობის დარბაზების კეთილმოწყობა — შესაძენია თანამედროვე ხალიჩები, სავარჯიშო მანეკენები, შტანგები, ტრენაჟორები, სასწრაფო შეკეთება სჭირდება საჭიდაო დარბაზს ბორჯომში, სადაც შეიძლება საწვრთნელი შეკრებების მოწყობა. ასევე სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი მწვრთნელთა და დამხმარე პერსონალის ხელფასებით უზრუნველყოფის საკითხი, თორემ სულ მალე ჭიდაობის მსურველები კი გვეყოლება, მაგრამ მწვრთნელებს ველარ შევინარჩუნებთ.

მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მოსამზადებლად აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხშირად გავმართოთ შეჯიბრებები სხვადასხვა ასაკის მოჭიდავეებისთვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. ცხადია, ეს გაზრდის კონკურენციას თითოეულ წონაში ეროვნულ ნაკრებ გუნდში მოსახვედრად. შარშანდელივით საქართველოს ჩემპიონატიც თუ ვერ გავმართეთ, მაშინ ჭიდაობის განვითარებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მახსოვს, მეოცე საუკუნის მიწურულს გიორგი მაკასარაშვილის ინიციატივით ეწყობოდა გუნდური ასპარეზობები ქართულ ჭიდაობაში ქალაქებსა და სოფლებს შორის, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ურიგო არ იქნება, ამგვარ შეჯიბრებებს ჭიდაობის ყველა სახეობაში თუ დავნერგავთ. მესმის, რომ ყველაფერს ფული სჭირდება, საკმაოდ ბევრიც, მაგრამ ზოგჯერ მინიმალური დანახარჯებითაც შეიძლება დიდი საქმის კეთება. აი, მაგალითად, შარშან ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობის კათედრის მიერ მოწყობილ უნივერსიადაში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 14 უმაღლესი სასწავლებლის 90 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ ბათუმის, ქუთაისის, ოზურგეთისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებიც.

ასე რომ, სპორტის განვითარებისთვის ყველამ უნდა იზრუნოს — მთავრობამაც, სპორტულმა ფედერაციებმაც, ქალაქებისა და რაიონების, დაწესებულებების ხელმძღვანელებმაც, ბიზნესმენებმაც, რადგან ფიზიკური კულტურა და სპორტი მარტო ჯანმრთელობა როდია, იგი ქვეყნის სარკეცაა. ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე აფრიალებული ეროვნული დროშა და აჟღერებული ჰიმნი ერის სახელია. მის სადიდებლად კი ყველა უნდა გაისარჯოს, თანაც ახლავე, რადგან უკვე სამ წელიწადში ათენის ოლიმპიური თამაშებია...

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათზე: გურამ რატიშვილი (მარცხნიდან — პირველი, წინა პლანზე) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად 2000 წელს მოსკოვის ოლიმპიურ სოფელში.

რამაზ ხარშილაძე-50

ნაცარგორელი ფალავანი



ხაშურის რკინიგზელთა კულტურის სახლში 50 წლის საიუბილეო საღამო მოუწყვეს ამ რაიონის სოფელ ნაცარგორის მკვიდრს, მონრეალის XXI ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელს, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რამაზ ხარშილაძეს**.

მედგარი მებრძოლი, გამარჯვებისაკენ სწრაფვის ნამდვილი დიდოსტატი რამაზ ხარშილაძე რვაჯერ იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ძიუდოში და სამბოში, 35 საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული; მან ორჯერ მოიგო სსრკ ხალხთა სპარტაკიადა, გაიმარჯვა სხვა შეჯიბრებებში.

რამაზის ყველაზე კარგი თვისება იყო იმედი, რომელიც მუდამ ჰქონდათ მის თანაგუნდელებს და მწვრთნელებს. გუნდის ინტერესებისათვის რამაზ ხარშილაძე ტატამზე ცეცხლს ანთებდა, რომ იტყვიან, კბილებით იბრძოდა და იგებდა.

ყველაფერი კი ქართული ჭიდაობის უბრალო მოედნებიდან დაიწყო სოფლებში ნაცარგორაში, გომში, ალში, ვაყაში, აგარაში და ა. შ.

დაბადების „მრგვალი“ თარიღი ფალავანს თანამებრძოლებმაც მიულოცეს: ოლიმპიურმა ჩემპიონებმა **შოთა ჩოჩიშვილმა** და **შოთა ხაბარელმა**, დამსახურებულმა მწვრთნელებმა — **გურამ პაპიტაშვილმა** და **ბიძინა მაზიაშვილმა**, სამბოს ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ექვთიმიშვილმა**, ევროპის ჩემპიონმა ძიუდოში **ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილმა**, ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **იური იმერლიშვილმა**, აგრეთვე ხაშურის რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა; ხაშურელმა ხელოვნების მუშაკებმა კი ფალავანს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს.

იყო მრავალი საჩუქარი, ყვავილები, „მრავალჟამიერი“ და, რაღა თქმა უნდა, შესაფერისი პურობაც.

ბესიკ გაბრიაძე.

სურათზე: რამაზ ხარშილაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ყოველი მხრიდან

ლიდერები ყაიმს დასჯერდნენ

თოთხმეტი დიდოსტატი აგრძელებს ბრძოლას ჰოლანდიაში, ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში. მესამე ტური იმით გამოირჩეოდა, რომ სწორედ მსოფლიო ჭადრაკის „თავკაცები“ ხვდებოდნენ ერთმანეთს — ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი „მასპინძლობდა“ ფიდეს ვერსიით ახალ მსოფლიო ჩემპიონს ვიშვანათან ანანდის, ხოლო გარის „ტახტიდან ჩამომგდები“ ვლადიმირ კრამნიკი შეხვდა მსოფლიო რეიტინგით მე-4 მოჭადრაკეს მაიკლ ადამსს. მართალია, ორივე პარტია ყაიმით დასრულდა, მაგრამ ისინი მწვავე ბრძოლით გამოირჩეოდა, ასევე დაზავდნენ შიროვ-ფედოროვი, ტივიაკოვ-ივანჩუკი და პიკეტ-ლეკო.

სამაგიეროდ, მოროზევიჩმა შავებით უკვე 21-ე სვლისათვის მილეწ-მოლეწა ლიუ ვან ველის პოზიციები, ხოლო ტიმანმა 32-ე სვლაზე „წამოაჩოქა“ ტოპალოვი.

სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს „დუეტი“ — კასპაროვი და მოროზევიჩი. 2-2 ქულა აქვთ კრამნიკს, ანანდს, ტიმანს და შიროვს 1,5-1,5 ქულა — ადამსს, ივანჩუკს და ლეკოს.

მწვანე კონტინენტის ცხარე დღეები

მელბურნში დაწყებული „დიდი მუზარადის“ პირველი მთავარი ტურნირი ახლა ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრშია. რასაკვირველია, წინ დიდი დაძაბული ბრძოლებია, მაგრამ შეჯიბრებების პირველმა ორმა დღემაც ბევრი ცვლილება შეიტანა ტურნირის შედეგების პროგნოზებში.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახლანდელი ლიდერი (ქულების ახლებური ათვლით) ჩილელი მარსელო რიოსი პირველსავე წრეში გამოეთიშა ტურნირს. ის ესპანელ კარლოს მოიასთან დამარცხდა.

არც ამჟამინდელ მსოფლიოს პირველ ჩოგანოსანს ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს გამოუჩნდა ხუსტი მეტოქე — არგენტინელმა გასტონ გაუდიომ მას დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ერთი პარტია მოუგო კიდეც.

მარათონული (3 საათი და 42 წუთი) გამოდგა მასპინძლის ლეიტონ ჰიუისტისა და შვედ იუნას ბორკმანის ორთაბრძოლა. ერთხანს შვედი დაწინაურდა — 2:1 და ყველას ეგონა, რომ შეხვედრას გამარჯვებამდე მიიყვანდა, მაგრამ ავსტრალიელმა მთელი ძალები მოიკრიბა და მეორე წრეშიც გავიდა.

ქალთა შორის იოლად დაჯაბნა მეტოქე მარტინა ჰინგისმა, გაიმარჯვეს დებმა უილიამსებმა, დემენტიევამ, პიერსმა და სხვა.

გამოქვეყნდა მსოფლიოს 20 საუკეთესო ქალი ჩოგბურთელის სია, მას ისევ მარტინა ჰინგისი, ლინდსეი დევენპორტი და ვინუს უილიამსი ლიდერობენ.

სურათზე: მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერი გუსტავო კუერტენი.

ვინ იქნება მეტოქე?

მსოფლიოს ჩემპიონი **WBC** და **IBF** ვერსიებით, მძიმეწონოსანი მოკრივე ლენოქს ლუისი თავისი საპატიო წოდებების დაცვას აპირებს წლეულს, 21 აპრილს, თუმცა ჯერ გაურკვეველია, ვინ იქნება ბრიტანელის მეტოქე, ყოველ შემთხვევაში არა მაიკ ტაისონი.

ორშაბათს ლენოქსმა თქვა, რომ შესაძლებელი ოპონენტების სიაში ამერიკელი ჰასიმ რაჰმანი და ნიგერიელი დევიდ იზონი არიანო. „მე შევიტყვე, რომ ტაისონი კვლავ ვარჯიშობსო, — შენიშნა მან, — მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იჩხუბოს, არამედ რათა არ გასუქდეს, ერთხელ კიდევ ვაცხადებ, მზად ვარ, გავიდე რინგზე მის წინააღმდეგ ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ადგილას“.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

თბილისელ წარჩინებულ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში. შუაში ზის პედაგოგი თამარ ჯიქიძე. ქვიშხეთი, 1949 წელი.

ფოტო მოგვაწოდა ლოლო მაჭავარიანმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.

განცხადება

2001 წლის 30 იანვარს, 14 საათზე გაიმართება კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოსყიდული ქონების ბაზაზე სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრება ჩატარდება ჭადრაკის სასახლეში (მისამართი: კოსტავას ქ. №37 ა). კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ინსტიტუტის იმ თანამშრომლებს, ვინც მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის ქონების პირდაპირი წესით შესყიდვაში.

დღის წესრიგი:

კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი კოლექტივის მიერ ინსტიტუტის გამოსყიდული ქონების ბაზაზე სააქციო საზოგადოების დაარსება.

რეგისტრაცია იწარმოებს 2001 წლის 30 იანვარს 12-დან 14 საათამდე.

საპრივატიზაციო კომისია.

SIC!

ეშმაკები... უპატრონო ბიბლიოთეკასაც ეპატრონებიან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკას (ყოფილი ჯაფარიძის სახელობის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა), რომელიც ქალაქის ცენტრში, შეროზიას ქუჩაზე მდებარეობს, დაარსებიდან 90 წელიწადი შეუსრულდა. თავდაპირველად ის მარჯანიშვილის თეატრში გაიხსნა... 1909 წელს, ძმები ზუბალაშვილების შემწეობით, ბიბლიოთეკისთვის ახალი კაპიტალური შენობა გამოუყვეიათ.

დღეს კი, როგორც ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებს, ჯავახიშვილის სამეცნიერო ბიბლიოთეკასაც გაუქმების საფრთხე ემუქრება, რადგან წლობით გაურემონტებელ შენობაში მუშაობა მეტად საშიშია. აქ კედლები თითქმის გახსნილია, იატაკი ჩავარდნილი, წიგნთსაცავში წყალი ჩამოდის, მიუხედავად გეოლოგების არაერთი გაფრთხილებისა, ბიბლიოთეკის თანამშრომლები არ ტოვებენ აქაურობას. ამ ნახევრად დანგრეულ შენობას მათ ხან ვინ ედავება და ხან ვინ. აღრეულ წლებში 30 ათასამდე მუდმივი მკითხველი ახსოვთ, სადაც გაიზარდნენ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტი ახალგაზრდობა, სადაც შეეძლოთ უნიკალური სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება. ბიბლიოთეკას, სადაც 273 ათასამდე წიგნი ინახება, სამწუხაროდ, ყურადღებას არავინ აქცევს, თუ ერთი საუკუნის წინათ დაარსებული ბიბლიოთეკის გადარჩენა შეეძლოთ ჩვენს მეცენატებს, ნუთუ დღეს არავის ჭირდება დიდი ტრადიციის მქონე კულტურის საგანმანათლებლო ცენტრი? იქნებ, ჩვენმა ბიზნესმენებმა ხელი გაგვიმართონ და დანგრევას გადაარჩინონ ეს ობიექტი. ბიბლიოთეკის ფართობი 300 კვადრატულ მეტრს შეადგენს, თვითონაც ისარგებლონ და ჩვენც გვასარგებლონ. შველას ითხოვენ აქ მომუშავე ქალბატონები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ციალა კალმახელიძე, ბიბლიოთეკის პროფკავშირის თავმჯდომარე თინა ჩაგანავა, აბონენტის განყოფილების გამგე ლილი გორდელაძე, უფროსი ბიბლიოთეკარი ლენა საკიანი.

— მკითხველთა რაოდენობა სადღესიოდ 3 ათასამდე შემცირდა, სამკითხველო დარბაზი არ თბება, შუქი მაშინ მოდის, როდესაც ჩვენ სამსახურიდან მიედივართ, თუმცა, ჩვენ ამ პირობებშიც კი ერთგული მკითხველი არ დაგვიკარგავს, ისინი ტრადიციას არ ღალატობენ, რადგანაც უწიგნოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. მიუხედავად უმაღლესი კომერციული სასწავლებლების ზრდისა, სტუდენტი ახალგაზრდობა წიგნთან მწყრალადაა, გულისტკივილით აღნიშნავს ქ-ნი თინა ჩაგანავა, რომელიც 50 წელიწადია აქ მუშაობს და ელოლიავება თითოეულ წიგნს.

ვფიქრობ, დიდი ისტორიის მქონე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკას კეთილი მეცენატები გამოუჩნდებიან, თავიანთ სიტყვას იტყვიან, ხელს წაადშველებენ, რომ ეშმაკები ველარ დაეპატრონონ!

ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკა ჭეშმარიტ თანამდგომს ითხოვს.

ნანა სულავა.

სურათებზე: ამ კადრებს კომენტარი, მართლაც, არ სჭირდება — აი, რა დღეშია „საცოდავი" ბიბლიოთეკა.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ტელევიზია

ხუთშაბათი, 18 იანვარი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 09.45, 17.30 უთუოდ 09.50, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.25 მეალომანია 11.55, 18.15 სერიალი **"სენ-ტროპე"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 O_2 12.35 საქმე 13.00 ნაშუადღევს 14.05 ენერგია 14.25 მე ქალი ვარ 15.15 მხ.ფ. **"შეუსრულებელი მისია-2"** 17.15 დრო და ადამიანები 17.35 მესაკუთრე 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 19.05, 02.25 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "თბილისის დროით" 22.00 კედელი 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.50 ტელე-სინე ვიდეო 00.20 მხ.ფ. **"ამომავალი მზე"**

19.00 ინფორმაცია 19.30 იყო და არა 20.00 სერიალი **"ფსიქფაქტორი"** 20.30 მე პატარა მომღერალი გოგონა ვარ 21.00 ავტოსპორტი 21.20 საუკუნის ჰიტები 21.40 დოსიე 22.00 ინფორმაცია 22.15 შვიდეული 23.15 მხ.ფ. **"უდანაშაულო"**

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, პაპირუსის თავგადასავალი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი **"ბლანკოს ქვრივი"** 09.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი **"ჯუნგლების წიგნი"** 11.10 სერიალი **"სამანტა"** 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.00 კურიერი 18.20 **"ჯუნგლების წიგნი"** 19.00 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 19.50 სერიალი **"სამანტა"** 21.50 სერიალი **"ნიკიტა"** 00.05 მხ.ფ. **"ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"** რეჟ. მილოშ ფორმანი. მთ. როლში ჯეკ ნიკოლსონი. 02.10 კლასიკა

იბერია მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 20.00 მულტფილმი "მშვენიერი დღე" 20.10 აღსავალი 20.15 მხ.ფ. **"მატყუარა, მატყუარა"** 21.55 მუს. ტალღა 22.10 მხ.ფ. **"მაიამის რაფსოდია"**

ევრიკა 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 მხ.ფ. **"რაინდული რომანი"** 12.15 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. **"ჯადოსნური სიყვარული"** 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 ზღაპრის ტელედარბაზი 18.30 მხ.ფ. **"პასპორტი პარიზში"** 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 "სალონი" 23.00 საუბრები მწვანე ბუხართან

08.00 "ბისი". მხ.ფ. **"ფანატიკოსი"** 09.55, 17.55, 19.45, 21.30, 00.00 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 17.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 19.10 "Co.მედია" მხ.ფ. **"სანტა კლაუსი"** მთ. როლში ტიმ ალენი 20.00 პროგრამა "F" მხ.ფ. **"ჯოჯოხეთური თხრილი"**. მთ. როლში ბოიდ კასტნერი 21.45 "ბრავო". მხ.ფ. **"მატრიცა"** მთ. როლში კიანუ რივზი 00.15 "ლამურა" მხ.ფ. **"რა დავაშავე ასეთი?"**. მთ. როლში კარმენ მაურა 02.00 ნონ-სტოპი

09.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "ქვეყანა ოზის ჯადოქარი" 09.40 მხ.ფ. **"ორეული"** 11.40 ევროპის სტადიონებზე 12.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 12.25, 21.55, 23.40, 01.55 მუსიკა 12.40 მხ. ფილმი **"აღდგომა"** 14.25, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.20 მხ.ფ. **"კოქტეილი"** მთ. როლში ტომ კრუზი. 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 "საუბრები სტუდიაში" 22.00 მხ. ფილმი **"სამიზნე ჯოკერისათვის"** რეჟ. ჯეკ ერგრადო 00.15 მხ. ფილმი **"ამერიკული იმპერიის ნგრევა"** რეჟ. დენი არკანი

19.00, 01.00 "დღეს" 19.20 მულტფილმები 20.00 ქართ. მხ.ფ. 21.05 კონცერტი "ჯიპრი კინგი" 22.00 "დღეს" 22.40 დიპლომატია და დიპლომატები 23.30 მხ.ფ. 01.30 მხ.ფ.

ღიმილის დოზა

საყვარელი ურეკავს საყვარელს:

— მოდი, შევხვდეთ.

— შევხვდეთ.

— სად?

— ჩემთან.

— შენი ქმარი?

— არ არის, ინტერნეტშია.

* * *

კაცი ფსიქოლოგთან მივიდა და ეუბნება:

— ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ მძაფრი შეგრძნებები მაკლია. თითქოს ყველაფერი ვსინჯე — პარაშუტითაც გადმომეხტარვარ, ზღვის ფსკერზე აკვალანგით ჩამიყვინთავს... რაღაც ახალი მინდა.

ფსიქოლოგი ეუბნება:

— გაიჩინეთ საყვარელი.

— სამი მყავს.

— მოუყევით იმათ შესახებ თქვენს მეუღლეს.

* * *

ორი ახალი რუსი ერთმანეთს შეხვდა. ერთი ძალიან მოწყენილია და იწყებს საუბარს:

— რა სწრაფად გარბის დრო! მოხედვას ვერ მოასწრებ და — გავარდა 10 წელიწადი. აი, ჩემი ბიჭი უკვე 10 წლის გახდა.

— მაგას რა სჯობია, თანამემწე გეზრდება, შენ კი შეწუხებული ხარ...

— შეწუხებული ვარ — სკოლაში მიბარება დაგვავიწყდა.

* * *

მოდელიორები ბოლოსდაბოლოს 180 გრადუსით შემობრუნდნენ მომხმარებლებისკენ — ახალი ტანსაცმლის დამუშავება დაიწყეს დაბალი და მსუქანი ქალებისთვის.

უნდა ნახოთ, რა სასაცილოდ ჰკიდიათ სუპერმოდელებს ეს ახალი კაბები.

* * *

— სად მუშაობს თქვენი ქმარი?

— მესამე თვეა, ლიქიორარყის ქარხანაში დაიწყო საქმიანობა.

— მოსწონს?

— არ ვიცი, ჯერ შინ არ მოსულა.

ჩვენი მკითხველების საყურადღებოდ!

ახალი ათასწლეული — ერთად!

2001 წლიდან
„საქართველოს რესპუბლიკაზე"
ხელმოწერა იაფდება!

ძვირფასო მკითხველო! ვინც სისტემატურად კითხულობს საქართველოს დღევანდელი, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების მემატიანეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას", დაგვეთანხმება, რომ ის ყველაზე სანდო, უტყუარ, პრინციპულ, ქვეყნის გადარჩენისთვის, ერთობისთვის, გამთლიანებისთვის, ურთიერთთანადგომისთვის გამიზნულ ინფორმაციას ფლობს.

ჩვენი გაზეთი ყველა რანგის ხელმძღვანელის (თბილისშიც და საქართველოს მხარეებშიც) სამაგიდო გამოცემაა. აქ და სწორედ აქ იბეჭდება სახელმწიფოებრივი, მართლაც სახელმძღვანელო დოკუმენტები. და მარტო ეს? „საქართველოს რესპუბლიკა" ყოველმხრივ დააკმაყოფილებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, კულტურის, ხელოვნების, სოციალური ყოფის, ჯანმრთელობის, სპორტის პრობლემებით დაინტერესებულ ადამიანებს.

„საქართველოს რესპუბლიკა" მხოლოდ სწორ, მრავალმხრივ შემოწმებულ ინფორმაციას აწვდის მკითხველს, რათა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი.

ჩვენო პირუთვნელო მკითხველებო, ვიცით, რომ ფინანსურად მალიან გიჭირთ, მაგრამ უამგაზეთოდ კიდევ უფრო გაგიჭირდებათ! ამიტომაც შეგახსენებთ, რომ ნამდვილად ღირს „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა და მის პროფესიონალ კოლექტივთან სისტემატური თანამშრომლობა.

მით უფრო, რომ ჩვენ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთეთ და ახალი, 2001 წლიდან საგრძნობლად შევამცირეთ ხელმოწერის თანხა.

„საქართველოს რესპუბლიკა" ყოველდღიურად გამოდის და ერთი თვით ღირს 13 ლარი, სამი თვით — 39 ლარი, 6 თვით — 78 ლარი. ასე რომ, ვინც ექვსი თვით გამოიწერს გაზეთს, გასულ წლებთან შედარებით, 12 ლარით ნაკლები დაუჯდება (სამი თვით — 6 ლარით ნაკლები და ა. შ.). ჩვენი ინდექსია — 66434.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა"

სარედაქციო კოლეგია.

ხსოვნა

თენგიზ პატიაშვილი

გარდაიცვალა **თენგიზ პატიაშვილი**, ჩვენთვის, 60 წელს ეს-ესაა გადაბიჯებულთათვის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი.

ახალგაზრდობიდანვე, მაშინ მართლა ახალგაზრდები ვიყავით, ქვეყნის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა — დაუღლელად და საქმის ერთგულებით. არიან ასეთი ჩუმი მამულიშვილები, ვინც უხმაუროდ ეწირება სამშობლოს, ქვეყნისთვის იხარჯება და ცხოვრობს ისე, არავის რომ აწუხებს, მეგობრებსაც კი.

თავად — მუდამ გულგახსნილი მეგობრებისთვის, ადამიანებისთვის, ყველასთვის, ვისაც დასჭირვებია ოდესმე. დასჭირვებია კი ბევრს, მაშინაც, როცა საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მოღვაწეობდა, მაშინაც, როცა ასპინძისა და თეთრი წყაროს რაიონებს ხელმძღვანელობდა, აქაც, იქაც, და ყველასთვის უშურველად დახარჯულა, და მადლობელი ბევრი ჰყოლია.

ჩუმად წავიდა ამ ქვეყნიდან, არავინ შეუწუხებია.

მაშინ, ძალიან ახალგაზრდები რომ ვიყავით, თენგიზს მამა გარდაეცვალა. გასვენებაზე საოცარი რამ გვითხრა: ახალი ფეხსაცმელები მამაჩემს პირველად ჩავაცვითო.

უპატიოსნესი ხალხი იყო მამა-შვილი.

დღეს თენგიზს იმ ფუძიდან გაასვენებენ, საიდანაც მამამისი ზეციური საქართველოს გზას შეუდგა.

მეგობრების ჯგუფი.

გურამ გოგიაშვილი ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა საყვარელი ბიძაშვილი

ზაურ შალვას ძე
გოგიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის უზომოდ დამწუხრებულ ოჯახს. დაკრძალვა 20 I 2 სთ. სოფელ ზემო ხანდაკში (კასპის რაიონი).

ძმები ბორისი, კოტე, ოთარი, რძლები იზო ნარსია, მერი ვერულაშვილი, დოდო კვარაცხელია, ზეინაბ ჩხიკვაძე, ძმისწულები მანანა, ეკა, ანანო, ქეთი, კიაზო, მალხაზი, გოგი, ირაკლი, ნიკა, კახა ნადარეიშვილები, დეიდა თამარა ძაგანია, ბიცოლა ნინა ძაგანია, დეიდაშვილები მერი, ქორა კანკავები, ამირან, ნანული ცისკაძეები, ბიძაშვილები ლილი, ირმა ძაგანიები, ვახტანგ ნადარეიშვილი, მამიდაშვილები ლუნა, ლეილა ლორთქიფანიძეები, დინა, დოდო ძაძამიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი პავლეს ასული
ნადარეიშვილი

პანაშვიდი 18, 19 I, 4 სთ. დაკრძალვა 20 I, 2 სთ. წყნეთის ქ. №1, IV სადარბაზო, IX სართული.

მეუღლე კობა დანიელოვი, დედა ლილი კინწურაშვილი, და თეა, ძმა თემიკო კინწურაშვილები ოჯახებით, მამიდა დონარა კინწურაშვილი, დედამთილი ლენა, მულები მერი, ზემფირა, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუნუ ირაკლის ასული
კინწურაშვილი

პანაშვიდი 18, 19 I 4 სთ. გამოსვენება 20 I 2 სთ. ა. წერეთლის გამზირი, 8 კ. II სად. ბინა 42.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი და საქართველოს ისტორიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, პროფესორ

აბელ სურგულაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ თემურ რატიანს გარდაეცვალა დედა

ნუნუ საგარელი-რატიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ხსოვნა

ემა (მერი) ნადარეიშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს სს „საქპრესის" გენერალური დირექტორის მოადგილე **ემა (მერი) პავლეს ასული ნადარეიშვილი.**

დაიბადა 1938 წლის 8 აპრილს ქალაქ გაგრაში. 1954 წელს დაამთავრა ქ. გაგრის ეგ. ნინოშვილის სახელობის ქართული საშუალო სკოლა და 1957 წლიდან სწავლა განაგრძო ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1963 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1978 წლიდან დაინიშნა პრესის გავრცელების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 1995 წლიდან კი მუშაობდა სს „საქპრესის" გენერალური დირექტორის მოადგილედ.

მერი ნადარეიშვილი გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებითა და საქმისადმი ერთგულებით, იყო კარგი მამულიშვილი. ახალგაზრდა კოლეგებისთვის წარმოადგენდა მაღალი პროფესიონალიზმისა და ადამიანური ღირსებების ორგანულად შერწყმის საუკეთესო მაგალითს. იყო მეგობრული და გულისხმიერი, გამოირჩეოდა პრინციპულობითა და ადამიანური თანადგომით, რის გამოც მას კოლეგები მუდამ დიდ პატივს მიაგებდნენ.

ქალბატონ მერის კეთილსინდისიერი შრომა ბევრჯერ აღნიშნულა და სათანადოდაც დაფასებულა. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, ღირსების მედლით, საპატიო სიგელებით, გამოცხადებული ჰქონდა მადლობები...

წავიდა ჩვენგან დიდებული ადამიანი, მაგრამ დარჩა კვალი კეთილი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მერი ნადარეიშვილის სული. მისი სახელი არასოდეს წაიშლება კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო; კავშირგაბმულობის, ფოსტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი; სს „საქპრესა".

დიმიტრი კაპანაძე

სახალხო განათლების მუშაკთა რიგებს 68 წლის ასაკში გამოაკლდა კიდევ ერთი თვალსაჩინო პედაგოგი, ლვაწლმოსილი აღმზრდელი, შესანიშნავი მამულიშვილი **დიმიტრი ვიქტორის ძე კაპანაძე.**

1962 წლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა პარტიის საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორად, შემდეგ კი გარდაბნისა და სართიჭალის პროფსასწავლებლების დირექტორად. 1990 წლიდან დღემდე გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სპორტული პროფილის კომპლექსური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი იყო.

ბატონმა დიმიტრიმ დამსახურებულად მოიპოვა სოფელ სართიჭალაში საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსახლებული მოსწავლეებისა და მათი მშობლების სიყვარული, სოფლის ახალგაზრდობას ზრდიდა ადამიანობისა და კაცურ-კაცობის მაგალითით. მისი ხელმძღვანელობით სკოლის მრავალრიცხოვანი პედაგოგიური კოლექტივი ერთსულოვნად, დარაზმულად შრომობდა.

იგი მუდამ დინჯი, დაფიქრებული, პიროვნული ღირსებით აღსავსე, კაცურ-კაცობით გაჯერებული იყო. ადამიანებად, ნამდვილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის მაგალითს აძლევდა ახალგაზრდობას. სწორედ ამიტომაა, რომ მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა დასტირის ბატონ დიმიტრის, სოფლის მოამაგეს, შესანიშნავი მეოჯახის, მზრუნველი მამის მოულოდნელად წასვლას ამ ქვეყნიდან.

მისი ნათელი ხსოვნა მარადიული იქნება მისი აღზრდილების, მეგობრებისა და მთელი რაიონის პედაგოგიური საზოგადოებისათვის.

გარდაბნის რაიონის გამგეობა; განათლების განყოფილება.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა —
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.